# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 14 მარტი 2001 №44 (1317) | ფასი 50 თეთრი


# მილანში და პარიზში მაგრად გაუტყდათ: სახელიც და თავიც

UEFA CHAMPIONS LEAGUE

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 3 |
| შტურმი | 0 |
| ვალენსია | 2 |
| პანათინაიკოსი | 1 |

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| მილანი | 1 |
| დეპორტივო | 1 |
| პარი სენ ჟერმენი | 2 |
| გალატასარაი | 0 |



მილანი — დეპორტივო. ხუან კაპდევილამ თომას ჰელვეგს (№2) პენალტი დასტყუა

REUTERS მილანიდან

გუშინ „სან სიროზე" ალბერტო ძაკერონის უსახურმა „მილანმა" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის საგზურისთვის თავგამოდებით კი იბრძოლა, მაგრამ ხავიერ ირურეტას დაწყობილ „დეპორტივოს" ვერაფერი დააკლო, 74-ე წუთზე ბრაზილიელი ჯალმინიას პენალტით გატანილს უკრაინელი შევჩენკოს პენალტითვე უპასუხა, ოღონ ქულა მიითვალა და ძაკერონის დარად თავჩაქინდრულმა დატოვა „სან სირო", რადგან გუნდს სამეოთხედფინალოდ, მწვრთნელს კი მილანური კარიერის მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდათ.

B ჯგუფის მეორე მატჩში მეოთხედფინალის საგზურდაბევებულმა „გალათასარაიმ" პარიზში 0:2 წააგო. შეხვედრის 59-ე წუთზე მსაჯმა თამაში დროებით შეწყვიტა: ტრიბუნებზე ფრანგ და თურქ ფანებს მუშტი-კრივი გაეჩაღებინათ და თავპირდასისხლიანებულ მსხვერპლთა ნაწილმა მინდორს მიაშურა.

„ოლდ ტრეფორდზე" კი „მანჩესტერ იუნაიტედმა" იოლად სძლია ავსტრიულ „შტურმს" და „პანათინაიკოსის" დამმარცხებელ „ვალენსიასთან" ერთად მეოთხედფინალს უწია.

იხილეთ მეორე გვერდი



მილანი — დეპორტივო.
ჯალმინიას პენალტი უბადლო იყო

REUTERS მილანიდან



ფრანგულ-თურქული თავისტეხანი „პარკ დე პრენსზე"

AP პარიზიდან

## 1256 ვარდი ხორვატიის დედოფლისთვის



კუჭ, ფეხ და მხარმტკივანმა იანიცა კოსტელიჩმა მსოფლიოს თასი მოიგო

## ქმნა მართლისა სამართლისა...

European Nations Cup / Championnat Européen des Nations

ესპანეთი: „ევროპის ერთა თასზე" საქართველოს მორაგბეთა ნაკრების მორიგი მეტოქე



REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერ იუნაიტედი — შტურმი. ცოტა დაგვიანდა და იაპ სტამიც გაიტანდა



AP ვალენსიიდან

ვალენსია — პანათინაიკოსი. რუბენ ბარახას და „ვალენსიის“ ბარაჯალა, გეორგიოს სეიტარიდისს (№16) და „პანათინაიკოსს“ მომავლის იმედიდა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# ფუხელ

## ჩემპიონთა ლიგა
## II ეტაპი. VI ტური

### A ჯგუფი

**მანჩესტერ იუნაიტედი 3:0 შტურმი**

1:0 ბათი (5), 2:0 შერინგემი (20), 3:0 კინი (86)

მანჩესტერ იუნაიტედი: ბარტეზი, გ. ნევილი, ირვინი, სტამი, სილვესტრი, ბათი, კინი, სქოულზი (გრინინგი 75), ჩედვიკი, სოლსკაიერი, შერინგემი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

შტურმი: სიდორჩუკი, ნოიკირხნერი, იბერტსბერგერი, შოპი, მაელიხი (გლინკა 46), შუპი (მარტენსი 65), ფლურკინი, კორსოში, მინავანდ ჩალი (საბიჩი 46), პაასი, ვასტიჩი

მწვრთნელი: ივიცა ოსიმი

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

66 404 მაყურებელი

**ვალენსია 2:1 პანათინაიკოსი**

0:1 ბასინასი (27პ), 1:1 ხუან სანჩესი (39), 2:1 ანგლომა (75)

ვალენსია: კანისარესი, ჯუკიჩი, აიალა, ალბელდა (აიმარი 64), ანგლომა, ბარახა, დეშამპი (ბიორკლუნდი 28), ზაჰოვიჩი, ვისენტე, დიეგო ალონსო (კარეუ 69), ხუან სანჩესი

მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

პანათინაიკოსი: კალკასი, ოლივარესი, გუმასი, ფოკოლოსი, ფისასი, კარაგუნისი, ლიბეროპულოსი (სიგურდსონი 72), ვლაოვიჩი (ვარჟიხა 55), სეიტარიდისი, ბასინასი, ნასიოპულოსი (კუცურესი 46)

მწვრთნელი: სტრატოს აპოსტოლაკისი

გაფრთხილება: აიალა, გუმასი, კარაგუნისი

მსაჯი: კნუდ ერიკ ფისკერი (დანია)

30 000 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 6 | 3 | 3 | 0 | 10:2 | 12 |
| მანჩესტერ იუნ. | 6 | 3 | 3 | 0 | 10:3 | 12 |
| შტურმი | 6 | 2 | 0 | 4 | 4:13 | 6 |
| პანათინაიკოსი | 6 | 0 | 2 | 4 | 4:10 | 2 |

„ვალენსია“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ გავიდნენ მეოთხედფინალში

### B ჯგუფი

**მილანი 1:1 დეპორტივო**

0:1 ჯალმინია (74პ), 1:1 შევჩენკო (86პ)

მილანი: როსი, როკე ჟუნიორი, კოსტაკურტა (ბა 61), მალდინი, ჰელვეგი, გატუზო, ალბერტინი, კოკო (სერჯინიო 70), ბობანი (ბირინდელი 61), შევჩენკო, ხოსე მარი

მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი

დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, რომერო, ნაიბეტი, დონატო, ემერსონი, მაურო სილვა (პელდერი 23), ვიქტორი, ჯალმინია, ფრანი (კაპდევილა 64), მაკაი (პანდიანი 81)

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

გაფრთხილება: პელდერი, ალბერტინი, კოსტაკურტა, გატუზო

მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)

70 103 მაყურებელი

**პარი სენ ჟერმენი 2:0 გალათასარაი**

1:0, 2:0 კრისტიანი (3, 26)

პარი სენ ჟერმენი: ლეტიზი, ალვერინო, რაბესანდრატანა, დეუ, დისტინი, ლუქსენი, არტეტა (ბენარბია 36), ე. სისე, დიუკრო, კრისტიანი (მადარი 70), ლეროა (ბენაკური 86)

მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი

გალათასარაი: ტაფარელი, ემრე ასიქი, პოპესკუ (ფათიჰი 58), კაპონე, აჰმეთი (ფარუკი 46), სუათი (ბიულენთ აქინი 46), ერგუნი, ემრე ბელოზოღლუ, უმითი, სერქანი, ჟარდელი

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

გაფრთხილება: სუათი, დიუკრო, სისე, დისტინი, ლუქსენი

გაძევება: დიუკრო (87)

მსაჯი: ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)

31 254 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 6 | 3 | 1 | 2 | 10:7 | 10 |
| გალათასარაი | 6 | 3 | 1 | 2 | 6:6 | 10 |
| მილანი | 6 | 1 | 4 | 1 | 6:7 | 7 |
| პარი სენ ჟერმენი | 6 | 1 | 2 | 3 | 8:10 | 5 |

„დეპორტივო“ და „გალათასარაი“ გავიდნენ მეოთხედფინალში

## ინგლისი

I დივიზიონი

გადადებული მატჩები

**უოტფორდი 0:1 ბარნლი**

0:1 ტეილორი (72)

**ძრიუ 1:0 ნოტინგემი**

1:0 რივერსი (76)

**გრიმსბი 1:1 უიმბლდონი**

0:1 ეგიმენგი (5), 1:1 ენუა (90)

II დივიზიონი

გადადებული მატჩები

**უიკომბი 0:1 სტოკი**

**როვერსი — პიტერბრო**

გადაიდო

III დივიზიონი

გადადებული მატჩები

**პლიმუთი 1:1 ჰალი**

**კარლაილი 1:0 ლეიტონი**

**იორკი 2:0 დარლინგტონი**

**შრიუსბერი 0:4 კარდიფი**

**კიდერმინსტერი 0:0 სკანთორპი**

## შოტლანდია

გადადებული მატჩი

**აბერდინი 1:0 ჰიბერნიანი**

1:0 ყუნტვეტი (2)

## ავსტრია

XXV ტური

**აუსტრია 0:1 გრაცერი**

## საფრანგეთი

ლიგის თასი. 1/4 ფინალი

**ტრუა 0:1 ნანტი**

0:1 მოლდოვანი (33)

**ნახევარფინალის წილისყრა**

10 აპრილს: ლიონი — ნანტი

11 აპრილს: მონაკო — ნიორი (II)



ზურაბ ხიზანიშვილი (შუაში) შოტლანდიელ ჟურნალისტებს გიორგი ნემსაძემაც (მარცხნიდან მეორე) წარუდგინა

# ხიზანიშვილს ორ კვირაში აამუშავებენ

ეს ბიჭი ჯერ 19 წლისაა და უკვე ეროვნული ნაკრების უცვლელი წევრია, შოტლანდიის „დანდის“ ფეხბურთელია და დღეს აზერბაიჯანელების წინააღმდეგ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც ითამაშებს.

ასაკის მიუხედავად, ერთი ისეთი ამბავი ატყდა მის გარშემო, კაცი სკანდალურსაც უწოდებდა, თავად კი თავის საქმეს აკეთებდა და ამჟამად რომელიმე ქართველ ფეხბურთელზე თუ ითქმის, დიდი მომავალი აქვსო, ამ ბიჭზე — ზურაბ ხიზანიშვილზე, რომელიც თბილისში გუშინ გამთენიისას ჩამოფრინდა და ახლა შოტლანდიურ პრემიერლიგაში ახალი გუნდის შემადგენლობაში სათამაშოდ ბრიტანეთში მუშაობის უფლების მოლოდინშია.

— არ ვიცი მუშაობის უფლებას როდის მომცემენ — გვითხრა ზურაბ ხიზანიშვილმა — ერთი პრობლემაა, მე ეროვნულ ნაკრებში მატჩების 75 პროცენტი არ მითამაშია და საქმე ამიტომ ჭიანურდება. ხომ იცით, ბრიტანული კანონის თანახმად, ინგლისის და შოტლანდიის პრემიერლიგებში სხვაგვარად ვერ ითამაშებ. ისე, დამაიმედეს, დაახლოებით ორ კვირაში ყველაფერი მოგვარდებაო, ჩემი ასაკი გაუთვალისწინებიათ და იმედია, არ გამაწვალებენ.

**— ფეხბურთელი რომ სამუშაო ვიზის მოლოდინშია, ბრიტანეთი უნდა დატოვოს. თბილისში ამის გამო ჩამოხვედი თუ ახალგაზრდულ ნაკრებში გამოგიძახეს?**

— არა, ახალგაზრდულში მომიწვიეს. რუმინეთთან მატჩამდე სათამაშო პრაქტიკა ჭირდებაო.

**— აბა, აზერბაიჯანელების წინააღმდეგ ითამაშებ, მერე შოტლანდიაში დაბრუნდები და 20 მარტს გერმანიაში შეუერთდები ეროვნულ გუნდს რუმინელებთან მატჩისთვის მოსამზადებლად? არ დაიღლები ამდენი მგზავრობით?**

— აქ დავრჩები და 20-ში პირდაპირ გერმანიაში გავემგზავრები. 28-ში რუმინეთთან ვითამაშებ და ეგებ ამ დროისთვის შოტლანდიაში მუშაობის უფლებაც მომცენ.

**— ახლა „დანდიზე“ გვითხარი, კმაყოფილი ხარ?**

— ძალიან მეგობრული გუნდია, ყურადღებას არ მაკლებენ, მამხნევებენ. კონტრაქტი რომ გავაფორმე, მეორე დღეს ეს ამბავი თითქმის ყველა შოტლანდიური გაზეთის ფურცელზე მოხვდა. „დანდის“ ერთ-ერთი მატჩის დროს კი სტადიონზეც გამოაცხადეს, 19 წლის ხიზანიშვილი და ავსტრალიელი რობინსონი ჩვენი გუნდის წევრები არიანო. მერე ჩემი და იმ ავსტრალიელის საზოგადოებისთვის წარსადგენად პრესკონფერენციაც მოაწყვეს. ერთი სიტყვით, შოტლანდიელთა სითბოსა და პატივისცემას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობ.

**— აქამდე სულ 13-ნომრიანი მაისურით თამაშობდი. „დანდიშიც“ ასე იქნება?**

— არა. კი მსურდა და ვითხოვე კიდეც მე-13 ნომერი, მაგრამ სხვისი ყოფილა. „დანდიში“ ალბათ 20-ნომრიანით ვითამაშებ. ყოველ შემთხვევაში, აქ წამოსვლამდე ერთხელაც მკითხეს, რომელი ნომერი გინდაო და მეოცე-მეთქი.

**— ბრიტანეთში მუშაობის უფლება, დავუშვათ, ხვალვე მიიღე. უახლოეს ტურში ითამაშებ?**

— „დანდის“ მწვრთნელმა ივანო ბონეტიმ მითხრა, ოღონდ სამუშაო ვიზა მიიღე და მაშინვე გათამაშებო.

**— „დანდიში“ გადასვლამდე, კარიერა ინგლისურ „ფულემში“ უნდა გაგეგრძელებინა. რა მოხდა?**

— რაღაც გაუგებრობა. უკრაინასთან მატჩის შემდეგ გადაწყვეტილი იყო, რომ თბილისიდან „ფულემში“ მივდიოდი. ჩემი პირადი მენეჯერი და იმ კლუბის ხელმძღვანელობა თითქმის ყველაფერზე შეთანხმებულნი იყვნენ, მაგრამ...

**— იქამდე საკმაო ხანს „ვესტ ჰემში“ ვარჯიშობდი, იქ რაღა მოხდა?**

— არაფერი ისეთი, უბრალოდ, მზად არ ვიყავი ინგლისის პრემიერლიგაში სათამაშოდ. „ვესტ ჰემის“ მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა პირდაპირ თქვა, ისეთი ფეხბურთელი მსურს, რომელსაც მეორე დღესვე ძირითადში ვათამაშებო. მე კი იმ მომენტისთვის „ვესტ ჰემის“ მცველებს ჯო კოულს, ლამპარდსა და კარიკს მომზადების დონით ჩამოუვარდებოდი. რედნაპმა მენეჯერს უთხრა, ეს ბიჭი სათადარიგოთა სკამზე რომ დავსვა, ხელს არც მე მაძლევს, არც თქვენო. მეგობრულად დავშორდით ერთმანეთს.

**— ინგლისურ და შოტლანდიურ ვარჯიშებს შორის არის განსხვავება?**

— სხვა შოტლანდიური კლუბები როგორ ვარჯიშობენ არ ვიცი, მაგრამ „დანდისა“ და „ვესტ ჰემს“ შორის კი არის სხვაობა. „დანდის“ იტალიელი მწვრთნელი ჰყავს და ხომ იცით იტალიელების ამბავი, აქცენტი მაინც დაცვაზეა გადატანილი. ივანო ბონეტიც დაცვითი ფეხბურთის მიმდევარია.

**— „დანდის“ კონტრაქტით სამი თვე და ორი წელი ეკუთვნი. რამდენად რეალურია, რომ შოტლანდია ამ სეზონის დასრულების შემდეგ დატოვო?**

— თუ ჩემი თამაშით „დანდიზე“ უკეთესი გუნდი დაინტერესდება, ეგებ დავტოვო გუნდი. ყოველ შემთხვევაში, „დანდი“ ჩემს სანაცვლოდ უსაშველო თანხას არ მოითხოვს.

**— ყველაზე სახელოვანი „დანდიში“ ახლა არგენტინელი კანიჯაა. უკვე გაიცანი?**

— გავიცანი კი არა, თითქმის ყოველდღე იტალიურ რესტორანში ერთად დავდივართ. ის და გიორგი ნემსაძე დამეგობრდნენ, მე კი სულ გიორგისთან ერთად ვარ და ჩვენ სამნი ვსადილობთ და ვვახშმობთ. რომ არ იცნობდე კანიჯას, ვერც წარმოიდგენ, თუ ამ კაცს დიდი ფეხბურთი უთამაშია.

**— მართალია, თითქოს თბილისის „ლოკომოტივმა“ შენს სანაცვლოდ „დანდისგან“ დაახლოებით 200 ათასი დოლარი მიიღო?**

— არ ვიცი, პირველად მესმის. ფიფას თქმით, მე არავის ვეკუთვნოდი.

**— დაბოლოს, ზურა, საქართველოს ნაკრებზეც. რუმინელებთან მატჩი ახლოვდება. შანსებს როგორ აფასებ?**

— 50 პროცენტი აქეთ, 50 — იქით. ღმერთმა ინებოს, ყველაფერი ჩვენდა გასახარად დამთავრდეს. დღევანდელი ჩვენი ნაკრები საკმაოდ ძლიერია. თუ თამაში ავაწყვეთ, მაშინ ნაღდად შევძლებთ რუმინელების დამარცხებას. დარწმუნებული ვარ, ნაკრების ყველა წევრი 28 მარტს თავს დადებს და ძალების დაუზოგავად ითამაშებს. ვიცი, ყველა ამ მატჩზე მეტს ფიქრობს, ვიდრე თავის გუნდზე. ამას წინათ, შოტლანდიაში საქართველოს ტელევიზიის პირველ არხს ვუყურეთ მე და გიამ. საქართველოს ნაკრებზე იყო გადაცემა, 28-ში ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი ელის ეროვნულ გუნდსო. ამან ჩვენზე ძალიან იმოქმედა. გიამ უცხოეთში მოთამაშე ნაკრების წევრებს ჩამოურეკა და სწორედ ამ მატჩის თაობაზე ელაპარაკა. ვნახოთ, რა იქნება. ფაქტია, ყველანი ძალიან სერიოზულად ვფიქრობთ რუმინელების დამარცხებაზე.

**კოკა ინასარიძე**

# ლოკომოტივმა დასავლეთში დაკარგა, ტორპედომ აღმოსავლეთში



„მერანი“ — „დინამო“. მერანელ დავით გოდერძიშვილს (შუაში) არჩილ სახვაძემ (მარცხნივ) და რამაზ სვანაძემ გზა ჩაუხერგეს

**ქართულმა** ფეხბურთმა ძმობა-მეგობრობა განა არ იცის, მაგრამ ახლა დალგა მომენტი, როცა ახლობელი არავის ახსოვს. ანაც რა დროს ძმობაა, როცა ექვსეულზეა ლაპარაკი.

„ლოკომოტივი“, „ტორპედო“, „დინამო“ და „ვიტ ჯორჯია“... ჯერჯერობით მათი ამბავი გარკვეულია. დანარჩენებს კი ძნელი ბრძოლების გადატანა მოუწევთ.

სამი გუნდი იბრძვის დარჩენილი ორი ადგილისთვის. „კოლხეთმა“, ყველას ექვსეულში გასული რომ გვეგონა, ზედიზედ სამი ფრე ითამაშა და ძალიან გაირთულა საქმე. „მერანმა“, ურთიერთშეხვედრებში ფოთელებს რომ სჯობნის, დარჩენილ ორ მატჩში (ერთიც დღეს აქვს თადარიგში) სამი ქულა თუ დააგროვა, უეჭველად გაძვრება სანუკვარ ექვსეულში. „ბათუმი“ პირად შეხვედრებში ჩამოუვარდება „კოლხეთს“; ფრედ აქვს ნათამაშევი „სინათლეზე“ და კვირას შინ ელის „მერანს“. ყველა დასაშვებ შემთხვევაში ასლან ბალაძის გუნდმა დარჩენილი ორივე შეხვედრა უნდა მოიგოს.

რა თქმა უნდა, უკეთეს მდგომარეობაში ფოთელები არიან. მათ ორ მატჩში ქულაც ჰყოფნით, თუმც შინ „ვიტ ჯორჯიასთან“ და სტუმრად საკმაოდ შესუსტებულ, მაგრამ გავეშებულ „დილასთან“ თამაში სახუმარო სულაც არ გახლავთ.

ასეთი სურათი დაიხატა მეოცე ტურის შემდეგ, რომელიც აშკარად სტუმართა უპირატესობით გაილია. მასპინძლებმა მხოლოდ ერთი მატჩი მოიგეს, სამ თამაშში ფრეს მიაღწიეს და ორჯერაც დამარცხდნენ. თოთხმეტი გატანილი გოლიდან მხოლოდ ხუთი მოვიდა მასპინძელთა ანგარიშზე.

ვერ გაამართლა ტურის ცენტრალურმა თამაშმა. „ფაზისზე“ სტუმარ-მასპინძელი ყოველგვარი რისკის გარეშე ბურთაობდა. თანაც უხარისხო მოედანი გვიშლიდა ხელს და შედეგიც ლოგიკური გამოვიდაო, თქვეს მწვრთნელებმა.

„ლოკომოტივში“ დებიუტი ჰქონდა მურთაზ შელიას. აღსდგა მრავალნაცადი დუეტი ცხადაძე — შელია. სოსო ფილიამ ისევ არ თუ ვერ ათამაშა ჯონი შალამბერიძე.

„მერანმა“ უფერულად დაიწყო „დინამოსთან“. ორი გოლით დაწინაურდა მეტოქე, თუმც ზირაქიშვილის ორს მეორე ტაიმში გოდერძიშვილმაც ორით უპასუხა. გამარჯვებაც ძალუძდათ ავჭალელებს, მაგრამ ხან სტუმართა მეკარემ ივარგა და აუღებელი აიღო, ხანაც ძელი მოევლინა „დინამოს“ მხსნელად.

უკმაყოფილო დარჩნენ დინამოელები, მსაჯს პირველი გოლი რომ არ ჩაეთვალა (მათი აზრით, თამაშგარე იყო), მოვიგებდითო. ოთარ გაბელიამ კი პირველი ტაიმიც მეორეს მსგავსად რომ გვეთამაშა, მეტოქეს შანსი არ ექნებოდაო. ცოცხალი თამაში ყოფილა, ისეთი, ცენტრალურობასაც რომ იკისრებდა.

...მოედნის ცენტრში მიიღო გელა ქორიძემ ბურთი. იარა, იარა და ისეთი ძალით დააქუხა მეტოქის კარისკენ, მამისს რომ სჩვეოდა. მილოცვისას სწორედ ეს აღნიშნეს თანაგუნდელებმაც.

„ბათუმმა“ მძიმე გამოცდას გაუძლო. სიმტკიცეც საკმარისი გამოიჩინა და გამოცდილებაც ეყო. ყველაფერი სწორად გათვალა ასლან ბალაძემ. „ბათუმი“ ექვსეულისთვის კიდევ რომ იბრძვის, მისი დამსახურება გვგონია.

მეოცე ტურის შემდეგ გადადგა „დილას“ თავკაცი ვაჟა ხაჩირაშვილი. „დილა“ კი ისევ ბოლოდან მეორე და ძალიან საშიშ ზონაშია. გუნდს ერთგული ქომაგებიც ვერას შველიან, არადა, ადრე ნახევარ საქმეს აკეთებდნენ. არა, ძალ-ღონეს არც ახლა იშურებენ, ზოგჯერ ზედმეტიც კი მოსდით, მაგრამ „დილა“ მაინც უძლურია.

შვიდი მცველით დაუპირისპირდა „ტორპედო“ „გორდას“: ორი ნახევარმცველი და ერთი თავდამსხმელი საქმეს ვერ აუვიდა, ვერ შეითავსეს ამპლუით მცველებმა გოლეადორობა.

აგებდა ძოძუაშვილის გუნდი. ამდენ მცველს, მცველმა ბურნაძემ გაუტანა. „მიხიჩამ“ შეცვლა გამოიცნო და „ტორპედოც“ ქულას დასჯერდა. არადა, „ლოკომოტივთან“ სხვაობის მინიმუმამდე თუ ვერა, საკმაოდ შემცირება შეიძლებოდა.

„ვიტ ჯორჯიამ“ ძმობა და მეგობრობა სულ დაივიწყა და გაზაფხულზე შაბათამდე დაუმარცხებელ თსუ-ს მოუგო. ერთი შანსი კი ჰქონდათ ახალგაზრდა სტუდენტებს, მაგრამ უფროს მეგობარს ხარიხაც წაეშველა.

კიდევ ერთი, საბჭოეთის დროინდელი მოთამაშე დაუბრუნდა ეროვნულ ჩემპიონატს. კახა კაჭარავამ გააძლიერა „იბერია“, მაგრამ...

გაბისონიამ დაარტყა, დავითაშვილმა შედეგიანად დაამატა. მერე პირიქით მოხდა და „სიონმა“ მოიგო. რომ არა ბოლნისელთათვის დასანანი მარცხი შინ „მერანთან“, „სიონი“ დღეს ექვსეულისთვის მებრძოლი იქნებოდა.

ყველაფრის გარკვევამდე კიდევ ორი ტურია. ვითარება ნელ-ნელა იძაბება, თუმც თამაშის ხარისხი ისევ ძალიან დაბალია. აქა-იქ მსაჯთა მომჩივნებიც გამოჩნდნენ.

**მამუკა ძგანტალიანი**



„გორდა“ — „ტორპედო“.
ტორპედოელი მიხეილ აშვეთია (№10) დავით ბერიძეს ეპარება

საქართველოს უმაღლესი ლიგა 12 ჩემპიონატი მეორე წრე

## 20 ტური

### სტატისტიკა

| | |
|---|---|
| მატჩი | 6 |
| გოლი | 14 |
| მასპინძელთა მოგება | 1 |
| ფრე | 3 |
| სტუმართა მოგება | 2 |
| საერთო დასწრება | 12 600 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 2 100 |
| საუკეთესო დასწრება (კოლხეთი — ლოკომოტივი), (მერანი — დინამო), (დილა — ბათუმი), (გორდა— ტორპედო) | 3 000 |
| მწირი დასწრება (ვიტ ჯორჯია — თსუ), (იბერია — სიონი) | 300 |

| კოლხეთი 0:0 ლოკომოტივი | | |
|---|---|---|
| 15 | დაჯარიმდა | 16 |
| 5 | კუთხური | 2 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 0 | კარში დარტყმა | 0 |
| 3 | თამაშგარე | 5 |

| მერანი 2:2 დინამო | | |
|---|---|---|
| 6 | დაჯარიმდა | 12 |
| 5 | კუთხური | 4 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 7 | კარში დარტყმა | 3 |
| 1 | თამაშგარე | 1 |

| დილა 0:4 ბათუმი | | |
|---|---|---|
| 19 | დაჯარიმდა | 23 |
| 3 | კუთხური | 0 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 7 |
| 1 | კარში დარტყმა | 6 |
| 4 | თამაშგარე | 5 |

| ვიტ ჯორჯია 2:0 თსუ | | |
|---|---|---|
| 10 | დაჯარიმდა | 12 |
| 9 | კუთხური | 2 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 8 | კარში დარტყმა | 0 |
| 5 | თამაშგარე | 1 |

| გორდა 1:1 ტორპედო | | |
|---|---|---|
| 11 | დაჯარიმდა | 14 |
| 1 | კუთხური | 7 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 12 |
| 5 | კარში დარტყმა | 5 |
| 1 | თამაშგარე | 3 |

| იბერია 0:2 სიონი | | |
|---|---|---|
| 21 | დაჯარიმდა | 18 |
| 1 | კუთხური | 1 |
| 2 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 2 | კარში დარტყმა | 6 |
| 2 | თამაშგარე | 7 |

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 14 | ზირაქიშვილი | დინამო |
| 11 | დ. გოდერძიშვილი | მერანი |
| 9 | იონანიძე | ტორპედო |
| | გადელია | დინამო |
| 8 | რუსია | ლოკომოტივი |
| | ა. მუჯირი | ბათუმი |
| 7 | გ. გ. მიქაძე | დინამო |
| 6 | გ. შენგელია | ლოკომოტივი |
| | აფხაზავა | ბათუმი |
| | ლ. მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| | ფუფუნაშვა | ვიტ ჯორჯია |

### სიმბოლური ნაკრები

დავით გოდერძიშვილი — მერანი
გია ივიდაძე — ტორპედო
ზაზა ზირაქიშვილი — დინამო
ალიკო გოგობერიშვილი — ვიტ ჯორჯია
მალხაზ ასათიანი — ტორპედო
გელა ქორიძე — ბათუმი
გიორგი მიქიანი — ვიტ ჯორჯია
დავით ბერიძე — გორდა
სანდრო ბურნაძე — გორდა
ზურაბ მინდაძე — ბათუმი
ზურაბ ბათიაშვილი — დინამო

გუნდი: მერანი
მწვრთნელი: ოთარ გაბელია

### უმაღლესი ლიგა

| № გუნდები | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლოკომოტივი | 20 | 16 | 2 | 2 | 35:7 | 28 | 50 | 10 | 9 | 0 | 1 | 22:3 | 19 | 27 | 10 | 7 | 2 | 1 | 13:4 | 9 | 23 |
| 2 ტორპედო | 19 | 13 | 4 | 2 | 31:7 | 24 | 43 | 10 | 7 | 2 | 1 | 17:4 | 13 | 23 | 9 | 6 | 2 | 1 | 14:3 | 11 | 20 |
| 3 დინამო | 20 | 13 | 3 | 4 | 47:19 | 28 | 42 | 10 | 8 | 0 | 2 | 30:7 | 23 | 24 | 10 | 5 | 3 | 2 | 17:12 | 5 | 18 |
| 4 ვიტ ჯორჯია | 20 | 10 | 6 | 4 | 28:14 | 14 | 36 | 10 | 7 | 1 | 2 | 13:2 | 11 | 22 | 10 | 3 | 5 | 2 | 15:12 | 3 | 14 |
| 5 კოლხეთი | 20 | 8 | 6 | 6 | 21:16 | 5 | 30 | 10 | 5 | 4 | 1 | 8:4 | 4 | 19 | 10 | 3 | 2 | 5 | 13:12 | 1 | 11 |
| 6 მერანი | 19 | 7 | 7 | 5 | 20:19 | 1 | 28 | 9 | 4 | 5 | 0 | 12:6 | 6 | 17 | 10 | 3 | 2 | 5 | 8:13 | -5 | 11 |
| 7 ბათუმი | 20 | 7 | 4 | 9 | 28:27 | 1 | 25 | 10 | 5 | 2 | 3 | 19:14 | 5 | 17 | 10 | 2 | 2 | 6 | 9:13 | -4 | 8 |
| 8 სიონი | 20 | 6 | 4 | 10 | 15:28 | -13 | 22 | 10 | 2 | 3 | 5 | 8:13 | -5 | 9 | 10 | 4 | 1 | 5 | 7:15 | -8 | 13 |
| 9 გორდა | 20 | 3 | 9 | 8 | 15:25 | -10 | 18 | 10 | 3 | 5 | 2 | 12:8 | 4 | 14 | 10 | 0 | 4 | 6 | 3:17 | -14 | 4 |
| 10 თსუ | 20 | 5 | 3 | 12 | 19:35 | -16 | 18 | 10 | 3 | 1 | 6 | 9:16 | -7 | 10 | 10 | 2 | 2 | 6 | 10:19 | -9 | 8 |
| 11 დილა | 20 | 4 | 3 | 13 | 13:39 | -26 | 15 | 10 | 3 | 2 | 5 | 11:17 | -6 | 11 | 10 | 1 | 1 | 8 | 2:22 | -20 | 4 |
| 12 იბერია | 20 | 0 | 3 | 17 | 3:39 | -36 | 3 | 10 | 0 | 2 | 8 | 1:19 | -18 | 2 | 10 | 0 | 1 | 9 | 2:20 | -18 | 1 |

# რა დაუშავა ბოხუმმა ტყუპებს?

## ბულგარულ-ქართულმა ვარიანტმა ნივას ვერ უშველა

**ზამთრის** ძილისგან ჩრდილოელებმაც გამოიღვიძეს. ამ უქმეებზე რუსეთში დაიწყო, ხოლო უკრაინაში სეზონი განახლდა. თუმცა, ლამის ოთხთვიანი შესვენების მერე „განახლება" ცოტა უცნაური სიტყვაც კია.

დრო გავიდა და ქართულ ლეგიონშიც, ცხადია, ცვლილებებია. რუსეთით დავიწყოთ. აშვეთია და წერეთელი „ალანიიდან" წამოვიდნენ, გვარამაძე „კრილიადან". სამაგიეროდ, ვლადიკავკაზურ კლუბში ითამაშებენ „ნიჟნი ნოვგოროდზე" გულაცრუებული ზურაბ ფოფხაძე და თორნიკე რუხაძე. დებიუტანტ სარატოვის „სოკოლში" ექს-ტორპედოელები, ზურაბ იონანიძე და ვახტანგ ხვადაგიანი მოსინჯავენ ძალას. ზაზა ჯანაშია, ოთარ ხიზანეიშვილი და დავით ხმელიძე კი თავის გუნდებში დარჩნენ, თუმცა მათგან „ძირითადის კაცი" მხოლოდ ჯანაშიაა.

მოკლედ, რუსეთის უმაღლეს ლიგაში მოღვაწე შვიდი ქართველიდან პირველ ტურში მხოლოდ ორმა, ჯანაშიამ და ფოფხაძემ ითამაშეს, ორივემ შეუცვლელად. ფოფხაძე გაფრთხილებით გამოირჩა, ხოლო ჯანაშია ძელს გარტყმული ბურთით და კიდევ იმით, რომ მაისურაზე მე-9 ნომერი ეწერა, ტრუსზე — მე-20...

უკრაინაში ორი კიევის დინამოელი გამოგვაკლდა. აი, რა თქვა ორიოდ დღის წინ უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა: „გვინდოდა კალაძეს კიევში ბოლომდე ჩაემთავრებინა სეზონი, მაგრამ მისმა დაჟინებამ გუნდში ნერვოზული სიტუაცია წარმოშვა. ამიტომაც შევწყვიტეთ მოლაპარაკება და მილანისკენ გზა დავულოცეთ. ძალით ხომ არ გავაჩერებდით.

ასევე მგონია, რომ დემეტრაძესაც ჯერ-ჯერობით კიევში უნდა ეთამაშა. მას „ალანიაში" ყოფნისასაც ვაკვირდებოდი, ძალიან ნიჭიერი თავდამსხმელია. მაგრამ, სამწუხაროდ, რატომღაც გუნდს ვერ მოერგო".

კიდევ ორი გუნდი, სადაც ჩვენები თამაშობენ, დამარცხდა. „ტავრიამ" „დნიპროსთან" 0:3 წააგო, ხოლო „ნივამ" ცსკა-სთან 1:3. ერთადერთი საპასუხო ტარიელ კაპანაძემ გაიტანა, მაგრამ არმიელები უკეთ თამაშობდნენ და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს. „ბულგარულ-ქართულმა ვარიანტმა „ნივას" ვერ უშველა" — წერს „უკრაინსკი ფუტბოლი". მართლაც, გუნდში ოთხი ქართველია, ზედ სეზონის წინ კი სამი ბულგარელიც მიიყვანეს, ცენტრალური მცველი ტანიმირ სტანევი, საყრდენი ვასილ კოლევი და თავდამსხმელი იულიან ნეიჩევი. ესენი ყველა მინდორზე იყვნენ და როგორც ჩვენი უკრაინელი კოლეგები აღნიშნავენ, აშკარად შეუთამაშებლები გახდნენ, ფიზმომზადებაც დაეწუნებოდათო.

„ნივა" ერთობ რთულ სიტუაციაშია, 9 ქულა მოუგროვდა და ლიგიდან გავარდნა ემუქრება. მის ქვემოთ მხოლოდ რვაქულიანი „ვორსკლა" და ხუთქულიანი „სტალი" არიან. კიდევ კარგი, რომ ამათაც წააგეს, თორემ...

ასევე გავარდნის კანდიდატია მამია ჯიქიას „რუხიც", რომელმაც პოლონეთის ახალგანახლებული ჩემპიონატის პირველივე ტურში „ვიძევთან" წააგო. ქართველს არ უთამაშია, მაგრამ განა ეს რაიმეს ცვლის?

სამაგიეროდ, შვეიცარიაში სტუმრად „ლუგანოსთან" მოიგო ჯამარაულ — ყაველაშვილის „ციურიხმა" და მესამე ადგილზე აცოცდა, თუმცა იმდენივე ქულა აქვს, რამდენიც ლიდერ „სენტ გალენს" და მეორეს — „სერვეტს". ჟილბერ გრესის გუნდის ამოცანა უეფას თასზე მოხვედრაა, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, ხომ გაგიგონიათ, მადა ჭამაში მოდისო...

ახლა კი ბობოლათა ჩემპიონატებზეც ვთქვათ. „მილანმა" სერია A-ს ზედიზედ მეხუთე ტური ისე გალია, არ მოუგია. ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად მებრძოლი გუნდისთვის ნამეტანი ხომ არ არის?

მწვრთნელი ალბერტო ძაკერონი იმედს მაინც არ კარგავს და ჩემი ბიჭებით კმაყოფილი ვარო — იმეორებს. არადა, „ატალანტასთან" პირველ ტაიმში მართლაც კარგად ითამაშეს. განსაკუთრებით კალაძე და მალდინი გამოირჩეოდნენ. გოლიც კალაძის აქტიურობას მოჰყვა. ქართველმა მოედნის სიღრმიდან მეტოქის კარისკენ ჩააწოდა, მასპინძელი ლორენცი კი ახტა და თავურით საკუთარ მეკარეს გაუტანა. აი, მეორე ტაიმში კი მასპინძლებმა შავი დღე აყარეს ნაქებ „როსონერებს" და თუ მხოლოდ გათანაბრება მოახერხეს, ეს მეკარე როსის ჯადოსნური თამაშის შედეგია.

გამოირჩნენ ტყუპი არველაძეებიც. არჩილმა გერმანიაში „ბოხუმს" გაუტანა, შოთამ ჰოლანდიაში „გრონინგენს". ისე, საინტერესოა, რა დაუშავა „ბოხუმმა" არველაძეებს. 1997-ის შემოდგომაზე იყო, უეფას თასის მერვედფინალში შოთამ რომ აიკლო — ამსტერდამშიც გაუტანა და ბოხუმშიც. ახლა, გასულ შაბათს, პირველ ნახევარ საათში 2:0 უგებდნენ „კიოლნს". მერე არჩილმა ერთი საპასუხო შეაგდო და თამაშიც მოტრიალდა — „კიოლნმა" 3:2 მოიგო...

ბუნდესლიგაშივე ალექსანდრე იაშვილის მონდომება „ფრაიბურგს" ლიდერ „დორტმუნდთან" ტოლ-სწორად თამაშში დაეხმარა. ქართველი ბევრს მოძრაობდა, ერთი-ორჯერ კი სტუმართა გამოცდილი მცველები ისე გააპამპულა, რომ თქვენი მოწონებული. „კიკერისგანაც" კარგი შეფასება მიიღო. ეტყობა ფიზიკურადაც კარგ ფორმაშია, ყოველ შემთხვევაში, „ბორუსიასთან" ასე ჩანდა — ორთაბრძოლისას სწრაფად მოტრიალდებოდა და მერე ბურთს კორპუსით ისე ფარავდა, ახლოს ვერავინ მიდიოდა. ესეც მისი „ფიზიკა"...

**სოლომონ გულისაშვილი**



არჩილ არველაძემ მეხუთე ბუნდესლიგური გოლი მიითვალა

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | | | | | | | | |
| ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | დორტმუნდი 2:2 | 90 | | 20 | 4 | 10 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | დორტმუნდი 2:2 | 0 | დისკვალიფიცირებულია | 21 | 6 | 10 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | დორტმუნდი 2:2 | 0 | ტრავმირებულია | 19 | 0 | 10 |
| გიორგი კიკნაძე | ფრაიბურგი | შ | დორტმუნდი 2:2 | 0 | | 0 | 0 | 10 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | ს | ბოხუმი 3:2 | 62 | 1 გოლი, შეცვალეს | 20 | 5 | 8 |
| მეორე ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | როიტლინგენი | ს | კიკერსი 0:1 | 31 | შეცვალეს | 4 | 0 | 6 |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | შ | ზანქტ პაული 5:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 4 |
| **ინგლისი** | | | | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ვულვზი | ს | გრიმსბი 2:0 | 0 | | 14 | 3 | 13 |
| **იტალია** | | | | | | | | |
| სერია A | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ატალანტა 1:1 | 90 | | 6 | 0 | 8 |
| **ესპანეთი** | | | | | | | | |
| პრიმერადივიზიონი | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | სოსიედადი | ს | რეალი 0:4 | 0 | ტრავმირებულია | 1 | 0 | 18 |
| **ჰოლანდია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | ს | გრონინგენი 3:3 | 90 | 1 გოლი | 17 | 8 | 3 |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | | | | ტური გამოტოვა | 1 | 0 | 1 |
| **ბელგია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | ს | ჰარელბეკე 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 21 | 1 | 10 |
| ლაშა ჯაკობია | აალსტი | შ | ბეერსხოტი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 3 | 1 | 14 |
| **შვეიცარია** | | | | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | ს | ლუგანო 1:0 | 58 | შეცვლაზე ითამაშა | 23 | 9 | 3 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | ს | ლუგანო 1:0 | 90 | | 22 | 11 | 3 |
| **რუსეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | ს | როსტსელმაში 0:0 | 90 | | 1 | 0 | - |
| ოთარ ხიზანეიშვილი | სპარტაკი | შ | სოკოლი 0:0 | 0 | | 0 | 0 | - |
| ზურაბ ფოფხაძე | ალანია | ს | სატურნი 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 1 | 0 | - |
| თორნიკე რუხაძე | ალანია | ს | სატურნი 0:1 | 0 | | 0 | 0 | - |
| ზურაბ იონანიძე | სოკოლი | ს | სპარტაკი 0:0 | 0 | | 0 | 0 | - |
| ვახტანგ ხვადაგიანი | სოკოლი | ს | სპარტაკი 0:0 | 0 | | 0 | 0 | - |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | შ | ლოკომოტივი 0:0 | 0 | | 0 | 0 | - |
| **უკრაინა** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | ს | დნიპრო 0:3 | 90 | | 11 | 1 | 7 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | ს | დნიპრო 0:3 | 90 | | 8 | 2 | 7 |
| სოსო გიგიაძე | ტავრია | ს | დნიპრო 0:3 | 0 | | 0 | 0 | 7 |
| ავთანდილ კაპანაძე | ნივა | შ | ცსკა 1:3 | 90 | | 12 | 6 | 12 |
| ტარიელ კაპანაძე | ნივა | შ | ცსკა 1:3 | 90 | 1 გოლი | 12 | 1 | 12 |
| შოთა ჩომახიძე | ნივა | შ | ცსკა 1:3 | 90 | | 9 | 1 | 12 |
| ლევან მიქაძე | ცსკა | ს | ნივა 3:1 | 90 | | ? | 0 | 5 |
| **პოლონეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | ს | ვიძევი 0:1 | 0 | | 7 | 0 | 15 |
| **ისრაელი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| კობა ნიტაიშვილი | ი. რიშონი | შ | ბეითარი 0:2 | 90 | | 23 | 12 | 9 |
| **საბერძნეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ლევან ქებაძე | იანინა | ს | იონიკოსი 1:1 | 7 | შეცვლაზე ითამაშა | 13 | 0 | 10 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# არჩილ არველაძემ გაიტანა, იტკინა და გაარტყა

*იყოჩაღეს ამ უქმეებზე ჩვენმა ლეგიონერებმა. ვინ გოლი გაიტანა, ვინ სხვას გაატანინა, მათმა გუნდებმაც მნიშვნელოვანი ქულები მიითვალეს.*

*ყველაზე მეტად კი, ალბათ, დაგვეთანხმებით, არჩილ არველაძემ და მისმა „კიოლნმა" იყოჩაღეს. მეზობლად ბოხუმს ესტუმრნენ და თავიდან 0:2-ს რომ აგებდნენ, შინ სამი ქულით დაბრუნდნენ. ერთი გოლი არველაძემ გაიტანა, გუნდის წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანა და მერე შესაცვლელიც შეიქნა.*

— ჩათვალეთ, რომ „ბოხუმი" დავასამარეთ — გვითხრა არჩილ არველაძემ, როცა კიოლნში შევეხმიანეთ — სასწაული უნდა მოხდეს, ამ გუნდმა ჩვენთან წაგების შემდეგ ბუნდესლიგაში ადგილი შეინარჩუნოს. „ბოხუმისთვის" დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მატჩს. მათთვის ბოლო შანსი იყო. თამაში მასპინძლებმა ძალიან კარგად დაიწყეს და პირველი ტაიმის შუაში უკვე 2:0-ს გვიგებდნენ. თანაც, ჩვენ ერთი ფეხბურთელი გაგვიძევეს, კაცნაკლულნი დავრჩით და თამაშის შემოტრიალებაც წარმოუდგენელი იყო, თუმცა, მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად დამთავრდა. ერთი საპასუხო გოლის გატანა შესვენებამდე მოვახერხეთ.

**— ლამაზი გოლი გაგიტანია...**

— მეც მომეწონა. მარჯვენა ფლანგზე მკერდზე მივიღე ბურთი, შუაში შევიწიე, ბურთი მცველს თავზე გადავუგდე, გავისწორე და სადღაც საჯარიმოს კუთხიდან დავარტყი. ნაწვიმარი იყო და, ეტყობა, მეკარესაც გაზონზე ფეხი დაუცდა. ბურთი მისგან შორეულ დაბალ კუთხეში შეგორდა. მერე, ხუთ წუთში, „ბოხუმის" ერთ-ერთი ფეხბურთელიც გააძევეს და ანგარიშის გასათანაბრებლად უკეთესი შანსი მოგვეცა. მე კი საზარდული დამეჭიმა და ვიფიქრე, მწვრთნელს შეცვლას ვთხოვმეთქი, თუმც გადავიფიქრე და მეორე ტაიმიც დავიწყე.

**— მაინც შეგცვალეს და ტრავმა რატომღა გაიმიზეზე?**

— ტკივილმა ძალიან შემაწუხა. შესვენებაზე ექიმებმა მასაჟი გამიკეთეს და მეგონა, თამაშს შევძლებდი. ჯობდა, შესვენების შემდეგ მოედანზე აღარ გავსულიყავი. არადა, მეორე ტაიმში ერთი ისეთი მომენტი გავაცუდე, რომ გამეტანა, ამ ტრავმას აღარც ვახსენებდი. მეკარეც მოვატყუე და ცარიელ კარში დავარტყი, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა, მახვილი კუთხე იყო და...

**— მოგება მაინც მოახერხეთ.**

— ძალიან მნიშვნელოვანი სამი ქულა ავიღეთ. ახლა უეფას თასზე თამაშზეც შეიძლება ვიფიქროთ. ისე კი, „ბოხუმთან" რომ დავწინაურდით, მსაჯმა კიდევ ორი ფეხბურთელი გაგვიძევა და ანგარიში ძლივს შევინარჩუნეთ.

**— შენი ტრავმა სერიოზულია?**

— არც ისე. ორი დღე დავისვენე და პარასკევს ალბათ ვითამაშებ კიდეც. თანაც სამი ფეხბურთელი, რომლებიც „ბოხუმთან" გააძევეს, დაგვაკლდება და სხვა გზა არც არის.

**— ნატკენი ფეხი არ გაგიმიზეზდება?**

— არა მგონია. ექიმებმა გამსინჯეს და სანერვიულო არაფერიაო, მითხრეს.

**— ახლა ჩვეულ ფორმაში ხარ?**

— ძალიან კარგად ვგრძნობ თავს. ძველი ტრავმა საბოლოოდ მოვიშუშე და ნელ-ნელა ფორმაც აღვიდგინე. უკვე მწვრთნელიც მენდობა და ძირითადში მათამაშებს. რუმინელებთან მატჩსაც კარგად მომზადებული შევხვდები.

**კობა ინასარიძე**

## დღეს

თბილისი. „კინოთლე“. 14 მარტი. 15 საათი

### მერანი — ტორპედო

მსაჯები: ა. შილაკაძე, ზ. დოლიძე, ი. შალამბერიძე (სამივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

*მე-18 ტურის გადადებული მატჩი*

თბილისი. „შევარდენი“. 14 მარტი. 13 საათი. ახალგაზრდული ნაკრებები

### საქართველო — აზერბაიჯანი

მსაჯები: მ. მალმლურაძე, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); დელეგატი: ბ. სიჭინავა


მაგთი GSM

მაგთი MAGTI GSM

ფილარმონია. 26 მარტი. 20 სთ

წარმოგიდგენთ

XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიას

„ვარსკვლავები“

ღონისძიების ორგანიზატორები შ.პ.ს. „ვერიტა“, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქტელერადიო კორპორაცია. საინფორმაციო მხარდაჭერა რადიო „ფორტუნა“ და „ფორტუნა პლიუსი“, გაზეთები „ლელო“, „ალია“, „სარბიელი“.

*გენერალური სპონსორი მაგთი GSM*

თქვენ გელით შეხვედრა ქართული ფეხბურთის ელიტასთან.

VERITA

სარბიელი


## ანკეტა

საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელების, მწვრთნელის, მსაჯის, გუნდის, გოლის გამოსავლენად ტარდება ფეხბურთის გულშემატკივართა, სპეციალისტთა გამოკითხვა პრესის, ტელეფონის და ინტერნეტის მეშვეობით შემდეგ ნომინაციებში:

1. საუკეთესო ფეხბურთელი ..............................
2. საუკეთესო მეკარე ..............................
3. საუკეთესო მცველი ..............................
4. საუკეთესო ნახევარმცველი ..............................
5. საუკეთესო თავდამსხმელი ..............................
6. საუკეთესო მწვრთნელი ..............................
7. საუკეთესო მსაჯი ..............................
8. საუკეთესო გუნდი ..............................
9. მნიშვნელოვანი (საუკეთესო) გოლი ..............................

..............................

გამოკითხვაში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეგიძლიათ ამოჭრათ, შეავსოთ ანკეტა და გამოგზავნოთ გაზეთის რედაქციაში ან ჩააბაროთ გაზეთების გასაღების პუნქტებში. გამოკითხვაში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონებზე: 99 96 43; 99 56 14 ან მოგვაწოდოთ ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით:

WWW. gff. ge - ვებ გვერდი

gff@ acces. sanet. ge - E-mail

---

საქართველოს პირველი ლიგა 12 ჩემპიონატი მეორე წრე

# 19 ტური

# გურულებს ბორჯომი ყელზე დაადგათ

ლანჩხუთი
9 მარტი
15 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
1000 (ტევადობა 22 000)

**გურია 0:0 თორი**

გურია: დოლიძე, კირკიტაძე, ორბელაძე, გაბრიჭიძე, ფაცურია, ჯღარკავა, ძნელაძე, განეფი (სამხარაძე 87), სულაკაძე (ჩხეტია 62), ენდელაძე, ბატარაია (ცაკაძე 46)
სათადარიგონი: შეყრილაძე, მ. კუკულაძე, ტ. კუკულაძე
თორი: სულავა, სადილიანი, ქოხონელიძე, კობესაშვილი, წიქარიშვილი, სუხიაშვილი, ფირცხალავა (ხოსროშვილი 56), სეფერთელაძე, ზარანდია, კ. ჯანაშია, ტარიელაშვილი
სათადარიგონი: სამხარაძე, შალიკაშვილი
გაფრთხილება: ხოსროშვილი (60), სეფერთელაძე (68)
მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); დ. სანაია (სოხუმი)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. მალაფერიძე

გოჩა ჯანაშია ლანჩხუთიდან

„გურიამ“ მნიშვნელოვანი ქულების დაკარგვით ჩინებული შესაძლებლობა გაუშვა, ექვსეულამდე ერთი ნაბიჯი ისე გადაედგა, მდევრებისთვის მინიმუმ ოთხი ქულით გაესწრო. ამ ფრის შემდეგ კი სხვაობა ოდენ ორი ქულაა.

ბედმა გასწირა გურულები — ვინ დათვლის, რამდენი შანსი გაუცუდდათ — მარტო ძელ-ხარიხამ ხუთჯერ იხსნა ბორჯომელთა კარი. ამას სულავას დამაჯერებელი თამაშიც დაემატა და ექვსეულისთვის მებრძოლმა „თორმა“ ლანჩხუთიდან ქულა წაიღო.

წვიმისგან დამძიმებულმა გრუნტმაც შეუშალა ხელი მასპინძლებს. ასეთ პირობებში შეტევის ორგანიზებაზე უფრო იოლი მისი ჩაშლა იყო. ჰოდა, ბორჯომელებს იმ დღეს მინდვრის საფარი და იღბალიც უწყობდათ ხელს.

პირველი წუთებიდან მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა და „გურიამ“ თამაშის სადავეები ტაიმის ბოლო მესამედში იგდო ხელთ. საგოლე შანსი შესვენებამდე გურულებს ორი ჰქონდათ. პირველად 32-ე წუთზე, როცა გაბრიჭიძის თავური ოდნავ ასცდა „თორის“ კარს. მეორედ კი, აქედან ხუთ წუთში, როცა ძნელაძის ასევე თავური დარტყმა ძელმა აისხლიტა.

თამაშის განახლება და „გურიის“ მთელი ძალით ამოქმედება ერთი იყო. სამიოდ წუთში ფაცურიას მართებდა გატანა, მაგრამ ცაციათი დარტყმული ოდნავ არაზუსტი გამოუვიდა. მალე შეცვლაზე შესულმა ვასაძემ საჯარიმოს გარედან დაურტყა სულავას, რომელსაც მშველელად ხარიხა მოევლინა.

„თორი“ ჯიგრიანად იცავდა თავს და ერთხელ იქით შეეძლო გატანა. გაბრიჭიძე შეცდა და აქტიურმა ტარიელაშვილმა ბურთი მოჰპარა. შედეგად დოლიძესაც დაუპირისპირდა, მაგრამ ვერაფერი დააკლო. არცთუ ძლიერ დარტყმულს გურულთა მეკარემ ფეხი დაუხვედრა.

ეს იყო და სტუმრები საკუთარ საჯარიმოში გამაგრდნენ. 65-ე წუთზე მათმა თავგამოდებამ კიდევ ერთხელ გამოიღო შედეგი. ფაცურია ხუთიოდ მეტრიდან დაემუქრა კარს და თავით დაარტყა კიდეც. სულავამ რეაგირება შეძლო, ხოლო მცველებმა სიტუაცია იქვე განმუხტეს.

ხუთ წუთში „თორი“ სასწაულებრივ გადაურჩა გოლს. სულავამ გამოსვლაზე ბურთი ვერ დაიმორჩილა და ფაცურიამ ცარიელ კარში დაარტყა. თითქოს უნდა გაეტანა, მაგრამ ბურთი ჯერ მარცხენა ძელს მოარტყა, იქიდან ასხლეტილი ბორჯომელთა მცველს თავზე მოხვდა და ძელსვე მიენარცხა, კარის ხაზი კი არაფრით არ გადაკვეთა.

ბოლო წუთებზე „გურიამ“ ნამდვილი შტურმი მოუწყო მეტოქეს. ყოველი შეტევა სახიფათო იყო, მაგრამ აქედან რომ არაფერი გამოვიდა, ანგარიშიდანაც ცხადად ჩანს.

მსაჯის სასტვენს ბორჯომელები აღტაცებით შეხვდნენ. ამ ქულამ ხომ კიდევ უფრო გაუღვივა მათ ექვსეულში მოხვედრის იმედი. აი, გურულებს კი ორი ქულის დაკარგვა, შესაძლოა, ძვირად დაუჯდეთ, რადგან წინ ორი ურთულესი საგარეო მატჩი ელით „მეტალურგთან“ და „სამგურალთან“. ასე რომ, „გურიას“ ლიდერობას წყალი შეუდგა.

ისე კი, ასეთი შედეგი გარკვეულწილად მოსალოდნელი იყო. გურულებს ხომ შუასასეზონო სამზადისი საერთოდ არ გაუვლიათ და აგერ, „თორთან“ მაინც იჩინა თავი.

---

ხობი
9 მარტი
15 საათი
კოლხეთი
600 (ტევადობა 8 000)

**ხობი 0:0 შუქურა**

ხობი: გოგია, ჯამბურია, ფიფია (ხორავა 88), ლ. ჯაბუა, ი. ჯაბუა, ა. ჯიქია, ლიპარტია (ხურცილავა 60), თორია, ბიბილაძე, დ. დანელია, როგავა
სათადარიგონი: მ. ტყებუჩავა; თოლორდავა
შუქურა: გოგუა, ოქროპირიძე, გეგეშიძე, ქუტიძე, ბ. ფუტკარაძე (კაცაძე 29), მესიაჩენკო, ბაჟუნაშვილი, კვირკველია, კალანდაძე, ბერიძე, კაკალაძე
სათადარიგონი: გაბუნია; ლომთათიძე, ჩახუნაშვილი, კოროტკოვი, მესხიძე, დიასამიძე
გაფრთხილება: ხურცილავა (73), ქუტიძე (75), კვირკველია (85)
მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ი. აფციაური (დუშეთი), ე. ნარმანია (ტყვარჩელი); მ. მაისურაძე (თბილისი)

ძველი ანაგა
9 მარტი
15 საათი
ცენტრალური
1000 (ტევადობა 3 000)

**მილანი 2:0 თბილისი**

1:0, 2:0 ტოკლიკიშვილი (3, 54)
მილანი: გ. სომხიშვილი, ტარუღაშვილი, ლუდუშაური, კობაიძე, მეტონიძე, გვარამაშვილი (გოძიაშვილი 61), ქყონია, ზარამიძე (დ. ლეკიშვილი 63), გამცემლიძე (სოსელია 46)
სათადარიგონი: ძამუნაშვილი; ჩიტაური, დავითაშვილი, მ. სომხიშვილი
თბილისი: კუპატაძე, გ. ჩალაძე, მახარაძე, სტურუა, ნ. ჯღარკავა (ა. მუმლაძე 85), ქუხილავა, აბრამიშვილი, დ. სულავა (პ. ფირცხალავა 32), მისაბიშვილი (მანაგაძე 61), სანიკიძე, კოხრეიძე
სათადარიგონი: კოდალაევი; ნიკურაძე, გოგმაჩაძე
გაფრთხილება: მანაგაძე (80)
მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ზ. მენთეშაშვილი, კ. თბილელი; ლ. ფანიაშვილი (სამივე თბილისი)

მარანი
9 მარტი
15 საათი
ცენტრალური
150 (ტევადობა 500)

**ოკეანე 5:3 ზუგდიდი**

1:0 თოდაძე (8პ), 2:0 ხურციძე (27), 3:0 ტონია (29), 4:0 ცომაია (64), 4:1 ჯურხაძე (71პ), 4:2 გამსახურდია (81), 4:3 ჯურხაძე (87), 5:3 ცომაია (90)
ოკეანე: ჩომახიძე (ქარდავიშვილი 46), ტონია, ლომინაშვილი, თოდაძე (ტყეშელაშვილი 65), თ. მალაკელიძე, გოგია, ცომაია, ხურციძე, ხელაძე, ო. ფხაკაძე (ჩიგოგიძე 46), ჯიქიძე
სათადარიგონი: ბაკურაძე, ჯულაყიძე, მეგენეიშვილი
ზუგდიდი: კვარაცხელია, საჯაია, გ. ქურლულია, გეგენიძე, ლემონჯავა, გამსახურდია, ბერულავა, ი. ქურლულია, სიჭინავა, ჯურხაძე, ა. ჯიქია (ანთია 47)
სათადარიგონი: ბულია; დიდიძე, ვახანია
მსაჯები: პ. დოგრაშვილი; გ. კაკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი), ლ. რაზმაძე (გორი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

გორი
9 მარტი
15 საათი
ქართლი
200 (ტევადობა 2 000)

**ცხინვალი 3:2 სამგურალი**

0:1 კვერნაძე (24), 0:2 ქუთათელაძე (44), 1:2 ბოჭორაძე (47), 2:2, 2:3 ნასუაშვილი (53, 61)
*ელისაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (50)*
ცხინვალი: ქესანაშვილი, ხოხობაშვილი (ზ. მაისურაძე 46), ელისაშვილი, ტყემალაძე, გრ. ფაჩლავაშვილი, მოსიაშვილი, თალაკვაძე (კობაური 60), მარგიევი, გლუნჩაძე (ციცქიშვილი 46), ნასუაშვილი, ბოჭორაძე
სათადარიგონი: რაზმაძე; ჩაჩიბაია
სამგურალი: ბოდოკია, ქობულაძე (თირქია 12), ფრანგიშვილი, ქელიძე, ბანძელაძე, ზ. ფხაკაძე, ჯინჭარაძე, დარსაძე (ცუცქირიძე 46), კიკვიძე, კვერნაძე, ქუთათელაძე (დ. ჯიქია 46)
სათადარიგონი: ვარდანიძე
მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ქიათურა), ო. ხეცაძე, ა. კრიჟაშვილი (ორივე თბილისი)

ხაშური
9 მარტი
15 საათი
ჯრიგოლ ჯომართიძე
1000 (ტევადობა 8 000)

**ივერია 3:1 მეტალურგი**

1:0 ტილკავაშვილი (43), 1:1 გუნაძე (59), 2:1 ვარდიაშვილი (61), 3:1 დ. ოდიკაძე (65)
ივერია: ხარშილაძე, მელაძე, მ. ლომიძე, გ. ლომიძე, ნეკრაშვილი, მინაძე (გოგალაძე 83), ჯობაძე, ჩადუნელი (თ. ხაჩიძე 66), ტილკავაშვილი, ჯაფარაშვილი, ინასარიძე
სათადარიგონი: ხვედელიძე; გ. ვაჩლავაშვილი, ვეშაპიძე, ულუმბელაშვილი
მეტალურგი: თ. ოდიკაძე, პ. ლურსმანაშვილი, მერებაშვილი, ორმოცაძე (მეზარნიშვილი 66), გუნაძე, კაციაშვილი, მაჭარაძე (გურეშიძე 23), ი. მალაკელიძე, დ. ოდიკაძე, ვარდიაშვილი, გოგაძე
სათადარიგონი: მერკვილიშვილი; ფანცხავა, მახათაძე, მხეიძე
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ვ. ელისაბედაშვილი, ა. ნონიკაშვილი; მ. მალალურაძე (სამივე თბილისი)

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 14 | ქუთათელაძე | სამგურალი |
| 13 | გვირჯიშვილი | ცხინვალი |
| | ბოჭორაძე | ცხინვალი |
| 12 | გ. გვაჟავა | მეტალურგი |
| | კალანდაძე | შუქურა |
| 11 | ტოკლიკიშვილი | მილანი |

### მეოცე ტური

17 მარტი, შაბათი

თორი — ოკეანე
ზუგდიდი — ხობი
შუქურა — ცხინვალი
სამგურალი — მილანი
თბილისი — ივერია
მეტალურგი — გურია

### პირველი ლიგა

| № გუნდები | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 გურია | 19 | 11 | 5 | 3 | 28:20 | 8 | 38 | 10 | 8 | 2 | 0 | 20:6 | 14 | 26 | 9 | 3 | 3 | 3 | 8:14 | -6 | 12 |
| 2 ცხინვალი | 19 | 11 | 3 | 5 | 43:21 | 22 | 36 | 10 | 9 | 1 | 0 | 34:7 | 27 | 28 | 9 | 2 | 2 | 5 | 9:14 | -5 | 8 |
| 3 მილანი | 19 | 11 | 3 | 5 | 28:15 | 13 | 36 | 10 | 10 | 0 | 0 | 22:3 | 19 | 30 | 9 | 1 | 3 | 5 | 6:12 | -6 | 6 |
| 4 მეტალურგი | 19 | 10 | 6 | 3 | 31:17 | 14 | 36 | 9 | 8 | 1 | 0 | 22:5 | 17 | 25 | 10 | 2 | 5 | 3 | 9:12 | -3 | 11 |
| 5 შუქურა | 19 | 10 | 4 | 5 | 25:14 | 11 | 34 | 9 | 7 | 2 | 0 | 16:1 | 15 | 23 | 10 | 2 | 3 | 5 | 7:14 | -7 | 9 |
| 6 სამგურალი | 19 | 9 | 3 | 7 | 32:20 | 12 | 30 | 9 | 8 | 1 | 0 | 26:7 | 19 | 25 | 10 | 1 | 2 | 7 | 6:13 | -7 | 5 |
| 7 თორი | 19 | 8 | 3 | 8 | 21:15 | 6 | 27 | 9 | 6 | 1 | 2 | 17:6 | 11 | 19 | 10 | 2 | 2 | 6 | 4:9 | -5 | 8 |
| 8 ზუგდიდი | 19 | 7 | 3 | 9 | 29:39 | -10 | 24 | 9 | 6 | 3 | 0 | 19:8 | 11 | 21 | 10 | 1 | 1 | 8 | 11:29 | -18 | 4 |
| 9 ხობი | 19 | 4 | 6 | 9 | 11:22 | -11 | 18 | 10 | 3 | 6 | 1 | 5:2 | 3 | 15 | 9 | 1 | 0 | 8 | 6:20 | -14 | 3 |
| 10 ოკეანე | 19 | 4 | 3 | 12 | 20:38 | -18 | 15 | 10 | 4 | 2 | 4 | 13:14 | -1 | 14 | 9 | 0 | 1 | 8 | 7:24 | -17 | 1 |
| 11 ივერია | 19 | 4 | 3 | 12 | 12:34 | -22 | 15 | 10 | 4 | 3 | 3 | 9:10 | -1 | 15 | 9 | 0 | 0 | 9 | 3:24 | -21 | 0 |
| 12 თბილისი | 19 | 3 | 2 | 14 | 7:32 | -25 | 11 | 9 | 3 | 1 | 5 | 6:8 | -2 | 10 | 10 | 0 | 1 | 9 | 1:24 | -23 | 1 |

# დელ ბოსკემ ბელგიელებს ბანკეტი ჩაუშალა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## დღეს ჩემპიონთა ლიგა. II ეტაპი. VI ტური



პირველი წრის არსენალი — ბაიერნი ფრედ კი დასრულდა, თუმც გაწევ-გამოწევა არცთუ იშვიათი იყო.

### C ჯგუფი
### ბაიერნი — არსენალი

„ვფიქრობ, საინტერესო თამაშის მოწმენი გავხდებით. ორივე გუნდი თავგამოდებით იბრძოლებს, სასწორზე ხომ მეოთხედფინალში გასვლა დევს“ — ამბობს „არსენალის“ მწვრთნელი არსენ ვენგერი. მართლაც, ამ ჯგუფში ბოლო ტური ერთობ საინტერესო იქნება. „სპარტაკის“ გარდა სამივე გუნდს მეოთხედფინალში გასვლის შანსი აქვს და ცხადია, მინდორზე ყველა მოსაგებად გავა. თუმცა, „ბაიერნს“ პლეი ოფში ფრეც გაიყვანს.

წარუმატებლობებს თითქოს ბოლო მოეღო. შაბათს მიუნხენელებმა ბუნდესლიგაში „კოტბუსს“ იოლად მოუგეს და სალიგოდ კარგი ფსიქოლოგიური განწყობა შეიქმნეს. ეგ არის, ზედმეტი ყვითლების გამო მთავარი კაცი, გამთამაშებელი შტეფან ეფენბერგი არ ეყოლებათ. ასევე ვერ ათამაშებენ დაშავებულ ვილი სანიოლს. შედეგად, სასტარტოში, შესაძლოა ჭაბუკი ინგლისელი ოუენ ჰარგრივსი ვიხილოთ.

სავარაუდოდ, არ ითამაშებს სამუელ კუფურიც, რომელსაც „ბარსელონას“ სკაუტ ბერნდ შუსტერთან თვითნებურად წამოუწყია მოლაპარაკება და ამისთვის 10 ათასი მარკით დააჯარიმეს.

„ძალიან გაგვიჭირდება — ამბობს ბავარიელთა დამრიგებელი ოტმარ ჰიცფელდი — „არსენალი“ ვარსკვლავებით დაკომპლექტებული, ჩინებულად შეთამაშებული გუნდია. ასეთებთან ყოველთვის დიდი სიფრთხილეა საჭირო“.

პრობლემები არც ლონდონელებს აკლიათ. ჰოლანდიელი დენის ბერხკამპის ფრენისადმი შიში კარგად მოგეხსენებათ. ის მიუნხენში მანქანით გამგზავრებას აპირებდა, მაგრამ „ბლექბერნთან“ სათასო მატჩში დაშავდა და თავისიანებს ვერაფრით დაეხმარება. თუმცა, მეთოფეთა ბანაკში მიაჩნიათ, რომ ანრი — ვილტორდის შემტევი წყვილიც ერთობ სახიფათო იქნება. „არსენალმა“ ხომ სწორედ ამ თავდამსხმელებით მოიგო ლიონში. ბერხკამპი მაშინაც არ თამაშობდა. თუ გაუჭირდათ, შეცვლაზე ნიგერიელი ნვანკვო კანუ ჰყავთ, რომელიც ამასწინანდელი სანაკრებო შეკრებიდან უვნებელი დაბრუნდა.

გერმანული გაზეთები ბავარიელებს ახსენებენ, რომ ჩემპიონთა თასი ბოლოს 25 წლის წინათ, 1976-ში მოიგეს და დროა ევროპული საკლუბო ფეხბურთის მთავარი ჯილდო ისევ დაიბრუნონ. შარშანწინ, გეხსომებათ, ლიგის ფინალში „ბაიერნი“ უკვე თასის აწევას აპირებდა, როცა „მანჩესტერმა“ ზედიზედ ორი ბურთი გაუტანა და მშრალზე დატოვა. შარშან კი ნახევარფინალში მომავალ გამარჯვებულ მადრიდის „რეალთან“ დამარცხდა.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბაიერნი:** კანი, ლინკე, პ. ანდერსონი, ლიზარაზუ, ჰარგრივსი, ფინკი, იერემისი, სალიჰამიჯიჩი, შოლი, ელბერი, პაულო სერჯიო

**არსენალი:** სიმენი, დიქსონი, ადამსი, გრიმანდი, ეშლი კოული, ლორენი, ვიეირა, ლიუნგბერგი, პირესი, ანრი, ვილტორდი

**მსაჯი:** ანდერს ფრისკი (შვედეთი)

### სპარტაკი — ლიონი

„ყოველთვის ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ: ჩვენი ბედი ჩვენს ხელთაა. „ლიონმა“ დაამტკიცა, რომ ნებისმიერი მეტოქის ძლევა ძალუძს. მოსკოვშიც იმიტომ მივდივართ, რომ მეოთხედფინალისკენ მიმავალ გზას დავადგეთ. ბიჭები საბრძოლველად აენთნენ და მჯერა, საწადელს მიაღწევენ“ — „ლიონის“ მწვრთნელმა ჟაკ სანტინიმ კარგად იცის, როგორ შეაგულიანოს ფეხბურთელები.

შაბათს საფრანგეთის თასის მერვედფინალში „ლიონმა“ მხოლოდ პენალტებით მოუგო მეოთხედივიზიონელ „ფონტენს“, თუმცა მცველი პატრიკ მიულერი დარწმუნებულია, რომ ის 120 წუთიანი მარათონი მოსკოვში არანაირი პრობლემის საბაბი არ გახდება: „ვიცით, როგორ მოვიქცეთ მოსკოვში. ვფიქრობ, მატჩის ფსიქოლოგიური გასაღები ჩვენს ხელთ იქნება“ — განაცხადა მიულერმა.

„ლიონს“ მხოლოდ ერთადერთი დისკვალიფიცირებული ერიკ დეფლანდრე დააკლდება. სამაგიეროდ, მწყობრშია „ბაიერნთან“ წინა თამაშის გმირი სიდნეი გოვუ. დღეს გოვუ სტივ მარლეს მხარდამხარ შეუტევს. გეხსომებათ, გერმანელებთან გოვუ მარლეს არყოფნისგამო შეიყვანეს ძირითადში და მერე ორი ფანტასტიკური „ცხრიანიც“ გაჭედა.





დღეს მიუნხენში დენის ბერხკამპი ოლივერ კანს არ შეაწუხებს

„ლიონი“ „ლიონად“, მაგრამ, განა „სპარტაკი“ გოჯის დამთმობია? შარშანდელიც კი ახსოვთ, ის 0:3 „ლიონისგან“, რის მერეც მოსკოველებმა ჯგუფში კიდევ სამი თამაში წააგეს, თანაც ისე, რომ გოლი არ გაუტანიათ. არათუ ლიგაში, „წითლებს“ საკუთარ ჩემპიონატშიც „ჩაეკეტათ“. აი, შაბათს დებიუტანტ „სოკოლსაც“ ვერაფერი დააკლეს (0:0), თანაც ლიბერო დმიტრი ანანკოც დაუშავდათ, რომელიც დაახლოებით ერთ თვეს ვერ ითამაშებს.

და მაინც, „სპარტაკი“ შურისძიებას შეეცდება.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**სპარტაკი:** ფილიმონოვი, კოვტუნი, ჩუისე, პარფიონოვი, მიტრეიკო, ბარანოვი, ბულატოვი, ტიტოვი, კალინიჩენკო, შირკო (ან ირისმეტოვი), რობსონი

**ლიონი:** კუპე, ბრუმე, ედმილსონი, ბაკი, ლეგლუ, ვიოლო, დორასო, ს. ანდერსონი, მარლე, გოვუ

**მსაჯი:** კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:5 | 10 |
| არსენალი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:7 | 8 |
| ლიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:3 | 7 |
| სპარტაკი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:9 | 3 |

### D ჯგუფი
### ანდერლეხტი — რეალი

რას მიაღწია მავანმა რუბენ გონსალესმა, „რეალი C“-ს ფეხბურთელმა? საფეხბურთო კარიერა იქვე რომ დაამთავროს, სათქმელად ექნება, ჩემპიონთა ლიგაში მითამაშიაო. მაგრამ იმავე რუბენ გონსალესმა მატჩის ორგანიზატორებს გვარიანი საზრუნავი გაუჩინა.

თადარიგიანი ხალხი ყოფილან ბელგიელები. ნოემბერში მეორე ჯგუფური ეტაპის წილისყრის დასრულებისთანავე უფიქრიათ, ბოლო ტურში „რეალი“ გვეწვევა და დიდებულ შოუსაც მოვაწყობთო. მაშინვე ჩამოწერეს მოზრდილი სია ბობოლა თანამემამულეებისა და წერილები დაუგზავნეს, მატჩზე მობრძანდით, „ანდერლეხტის“ გმირობა ნახეთ და მერე ჩვენს მოწყობილ ბანკეტზე ნუგბარ კერძებსაც გაუსინჯეთ გემოო. მაშინ ბრიუსელური კლუბის მესვეურებს არც უფიქრიათ, „ანდერლეხტისთვის“ არათუ ბოლო, ბოლოსწინა ტურიც ფორმალობად რომ იქცეოდა. არადა, ყველაფერი რა კარგად დაიწყო — „ანდერლეხტმა“ „ლაციო“ დაამარცხა...

ახლა კი, რა შერჩათ? არაფრის მომცემი მატჩი და ვილაც რუბენი, ფიგუსა და რაულის ნაცვლად. მოწვეულ სტუმართა დიდმა ნაწილმაც ბილეთი უკან დააბრუნა, ექსპერიმენტული შემადგენლობების საყურებლად ჩვენი ძვირფასი დრო გვენანება და ეს გაუთავებელი ბანკეტებიც მოგვბეზრდაო. არა, ზრდილობიანი ხალხი, ცხადია, ხმამაღლა ამას არ იტყოდა, მაგრამ გულში ხომ გაიფიქრებდა?

უკვე რამდენჯერ ნახსენებ რუბენ გონსალესს ვისენტე დელ ბოსკე ფერნანდო იეროს პოზიციაზე უპირებს თამაშს. მის გარდა მწვრთნელს მადრიდელთა B გუნდიდან ფელიქს რობლესიც წაუყვანია და სათადარიგოდ ეყოლება.

ლუიშ ფიგუ ყვითელი ბარათების დაგროვებისთვის ვერ ითამაშებს, ხოლო რაული მარადონას მიბაძვისთვის, რის თაობაზეც დღევანდელ „სარბიელში“ ცალკე ვწერთ.

დისკვალიფიცირებულია კლოდ მაკელელეც, გუტი ფეხს იტკიებს, იერო კი უბრალოდ ისვენებს.

შემადგენლობიდანაც და სატურნირო ვითარებიდანაც აშკარად ჩანს, რომ „რეალს“ მარცხი გულს დიდად არ დასწყვეტს, მაგრამ დელ ბოსკეს უთქვამს, სახელს გაფრთხილება უნდაო.

„ანდერლეხტის“ მწვრთნელ ემე ანტუნესს ერჩივნა, „რეალი“ უძლიერესი შემადგენლობით ჩასულიყო. თუ დამარცხდა, წამოაძახებენ, სათადარიგოებმა მოგიგესო. „რეალის“ B გუნდი? ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს. „რეალი“ ერთია და რამდენი კაციც არ უნდა აკლდეს, მსოფლიოში უძლიერესი გუნდი იქნება“ — ანტუნესმა წაგების შემთხვევაში წინასწარ თავი დაიზღვია. აკი ვთქვით, ბელგიელები თადარიგიანი ხალხიაო.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ანდერლეხტი:** მილოშევიჩი, კრასონი, დოლი, დე ბოეკი, ილიჩი, ბასეჯიო, ვანდერეიკე, სტოიკა, გოორი, იულა, რაძინსკი

**რეალი:** სესარი, ჯერემი, კარანკა, რუბენი, რობერტო კარლოსი, ელგერა, სელადესი, სოლარი, მაკმანამანი, მორიენტესი, მუნიტისი

**მსაჯი:** ალან სარსი (საფრანგეთი)

### ლიდს იუნაიტედი — ლაციო

„ლიდსსაც“ და „ლაციოსაც“ შანსი დაკარგული აქვთ — ინგლისელებს „რეალის“ გადასწრების, ხოლო იტალიელებს ჯგუფიდან გასვლის. მიუხედავად ამისა, ლიდსელი მცველი იან ჰარტი გვარწმუნებს, „ელანდ როუდზე“ აუცილებლად მოდით, მაგარ თამაშს გიჩვენებთო. სტადიონზე წასვლა ლიდსელ გულშემატკივრებს მივანდოთ, ჩვენ კი ჰარტს მოვუსმინოთ: „ლიდსში“ პროფესიონალები ვთამაშობთ და ჩვენს სანახავად მოსულ ხალხს ვერ გავაწბილებთ. მით უმეტეს, ახლა ჯგუფიდან გასულები ვართ და უფრო ლაღად ვითამაშებთ. მოკლედ, კარგ შოუს გპირდებით. ამასთანავე დასამტკიცებელი გვაქვს, რომ რომში შემთხვევით არ მოგვიგია და „ლაციოს“ დონის გუნდთან დუბლის შესრულებით განწყობილებასაც ერთიორად გავიუმჯობესებთ — მეოთხედფინალის წინ ეს აუცილებლად გვჭირდება“.

„ლიდსს“ დღეს ჯონათან ვუდგეიტი და ლუკას რადებე არ ეყოლება. ვუდგეიტი, რაც სასამართლოში დაარბენინებენ, მოედანზე არ გამოჩენილა, თუმც ამის მიზეზი გაუთავებელი დაკითხვები კი არა, კოჭის ტრავმაა. ლიდსელთა სამხრეთაფრიკელ კაპიტანს კი მუხლი სტკივა და დენი მილსი ან დომინიკ მატეო შეცვლის.

ამათ გარდა დევიდ ოლირიმ, შესაძლოა, ერიკ ბაკე და ალან სმიტი სათადარიგოთა სკამზე დასვას. ამ ფეხბურთელებს დისკვალიფიკაციამდე თითო ყვითელი ბარათი უკლიათ და ვარაუდობენ, მწვრთნელი არ გარისკავსო. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია, რა იქნება, ვნახოთ.

დინო ძოფმა გუნდი ლიდსში ჩაიყვანა, მაგრამ გონებით „სტადიო ოლიმპიკოზეა“, სადაც კვირას „იუვენტუსთან“ მოუწევს ჭიდილი. ამ უქმეებზე „ბოლონიასთან“ მარცხმა „ლაციო“ „იუვენტუსთან“ ხუთით, ხოლო სერია A-ს ლიდერ „რომასთან“ თერთმეტი ქულით დააშორა. ერთი წაგებაც და „ლაციოს“ ტიტულის შენარჩუნება ეგებ აუხდენელ ოცნებად ექცეს.

ამ მიზეზის გამო დინო ძოფი ზოგიერთი ფეხბურთელის დასვენებას აპირებს და თითქმის იგივე შემადგენლობას გამოიყვანს, ერთი კვირის წინ „ანდერლეხტთან“ რომ ჰყავდა.

კაპიტანი და დაცვის ბურჯი ალესანდრო ნესტა ჯერაც ტრავმირებულია და მის ადგილს „ბოლონიასთან“ გაძევებული ფერნანდო კოუტუ დაიკავებს.

იტალიელებს შეუტყვიათ, ინგლისში ძროხებს ცოფი შეჰყრიათო (უკვე მერამდენედ) და ლიდსში პროდუქტებით დატვირთული მზარეულიც იახლეს.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ლიდსი:** მარტინი, კელი, ფერდინანდი, მატეო, ჰარტი, დაკური, ბეტი, ბოიერი, კიუელი, ვიდუკა, სმიტი

**ლაციო:** მარკეჯანი, ნეგრო, ფერნანდუ კოუტუ, კოლონეზე, ფავალი, პანკარო, სტანკოვიჩი, ბარონიო, რავანელი, ს. ინძაგი, კლაუდიო ლოპესი

**მსაჯი:** კონრად პლაუცი (ავსტრია)

სოლომონ გულისაშვილი
გიორგი დარჯანია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 5 | 4 | 1 | 0 | 14:7 | 13 |
| ლიდსი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:7 | 9 |
| ლაციო | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | 4 |
| ანდერლეხტი | 5 | 1 | 0 | 4 | 5:12 | 3 |



„ლიონის“ ფეხბურთელებმა მატჩამდე წითელი მოედანი მოინახულეს

# რაულ გონსალესი რომ რაუფ გონჯალ ოღლი იყოს...


რაულს ხელის ამბავი გაუხმაურდა

**არაფერმა** გაჭრა, არც საკუთარი უდანაშაულობის მტკიცებამ და არც ფეხბურთის ფედერაციის წერილმა, ასეთი კორექტული ფეხბურთელი ესპანეთში მეორე არ გვყავსო — უეფამ რაული „ლიდსთან" შეხვედრაში ხელით გატანილი გოლისთვის დასაჯა.

სასჯელი უმნიშვნელოა — თორმეტი ათასი დოლარი და ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია. აღნიშნული თანხა რაულის ჯიბეს დაღს რომ არ დაასვამს, დღესავით ნათელია, ხოლო დღეს „ანდერლეხტთან" თავისი ვარსკვლავის არყოლას ვისენტე დელ ბოსკე დიდად არ ინაღვლებს.

რაულის დასჯამ კი მაინც დიდი ხმაური გამოიწვია — მისთვის აქამდე წითელი ბარათი არ უჩვენებიათ და გაფრთხილებაც შვიდი წლის მანძილზე მხოლოდ ცამეტჯერ მიეღო.

„რეალი" აღშფოთდა, უეფამ რაღა რაულით დაიწყო ფეირ პლეის დაუწერელი კანონების დაცვაო. კლუბმა უეფას საპროტესტო წერილი გაუგზავნა.

ლუიშ ფიგუმ კი მეგობრის დასაცავად კლუბის სახელით თქვა: „ასეთი გადაწყვეტილებით ყველანი აღშფოთებულნი ვართ. როგორც ჩანს, უეფას სადისციპლინო კომიტეტში ის ხალხი მუშაობს, რომელთაც ფეხბურთი არასდროს უთამაშიათ. სხედან ოფისში და მტყუან-მართალს არჩევენ. ეს ძალიან იოლია. უეფამ საშინელი პრეცენდენტი დაუშვა. თუკი რაულს ასეთი რამისთვის სჯიან, მაშინ, მართლაც სერიოზულ დანაშაულზე რა უნდა მოიმოქმედონ? „რეალის" თამაშს ყველა უყურებს, მაგრამ, ვთქვათ, აზერბაიჯანში იგივე რომ მოხდეს, უარესი თუ არა, ვერავინ შენიშნავს, ამიტომ ჩვენ გვსჯიან, სხვას კი — არა".

რაულს ყველაზე განთქმული „მეხელე" ფეხბურთელი დიეგო მარადონაც გამოექომაგა, უეფას ჩინოვნიკებს ფეხბურთის არაფერი გაეგებათ, მათ ბურთი მფრინავი თეფში ჰგონიათ, რა მოხდა მერე, ხელი თუ მოარტყაო.

**გიორგი დარჯანია**

# მსაჯი და ქაჯი-ჰაჯი ააგდეს და გააგდეს



**როდესაც** ჰასანს „გენჩლერბირლიგის" კარში გატანილი გოლი არ ჩაუთვალეს, 36 წლის რუმინელი ვარსკვლავი, უბერებელი გეორგ ჰაჯი გაცოფდა, მსაჯს, ეროლ ერზოის მივარდა და მიაფურთხა. „კარპატების მარადონა" ამით არ დაკმაყოფილებულა, ერზოის ფეხზე ფეხი დააბიჯა და შემდეგ, მისი თანაგუნდელები და მწვრთნელი, რუმინელი მირჩა ლუჩესკუ რომ არა, ვინ უწყის, რას მოიმოქმედებდა.

ეს ამბავი ამ უქმეებზე მოხდა, „გალათასარაისა" და „გენჩლერბირლიგის" შეხვედრაში, რომელიც გამორჩეული არაფრით ყოფილა, თურქეთის ჩემპიონატის ჩვეულებრივი თამაში გახლდათ და „გალათასარაიმ" 2:1 მოიგო.

როგორც მოგახსენეთ, ჰაჯი 36 წლის კაცია და ჭეშმარიტად დიდი ვარსკვლავი. ერთი სიტყვით, ყველა პირობა აქვს საიმისოდ, მოედანზე დარბაისლურად რომ ირბინოს და მშვიდობის დესპან-კლასიკოსის როლი შეასრულოს, მაგრამ აი, იფურთხება. მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებმოვლილი, „რეალსა" და „ბარსელონას" ნაჩვევი, თურქეთში 1996 წელს გადავიდა და... მარტო ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგის ორი მატჩი „ცუდი ყოფაქცევისთვის" გამოტოვა, ხოლო წინა სეზონში, უეფას თასის ფინალში გააძევეს არსენალელი ტონი ადამსის ზურგზე შემოხტომისთვის. ახლა ნაკრების ამბებიც გავიხსენოთ: შარშან ზაფხულს, ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში, იტალიასთან შეხვედრაში, მეტოქის საჯარიმოში ყასიდად წაქცევისთვის იხილა წითელი ბარათი, ხოლო თავის მოგიჟიანებულ გადახოტვრებსა და თმის ყვითლად შეღებვებს აქ აღარ ჩამოვთვლით.

დავუბრუნდეთ „გენჩლერბირლიგისთან" ნაფურთხი და ჩასრესილი მსაჯის ამბავს, რომელზეც ჰაჯიმ ასე თქვა: „ის ქურდია. მოედანზე ჩვენთვის სამი ქულის მოსაპარად იყო გამოსული. ის საერთოდ ამით არის დაკავებული. ფედერაცია ხომ იმას ცდილობს, რომ ჩვენ დაგვჩაგროს და ჩემპიონობა „ფენერბაჰჩეს" მიართვას".

ჩავხედოთ ცხრილს: 57 ქულით „ფენერბაჰჩე" ლიდერობს, „გალათასარაი" რვა ქულით ჩამორჩება, მაგრამ თამაშით ნაკლები აქვს. რაც შეეხება სტამბოლის ამ ორი გუნდის მტრობას, ეს ძველისძველი ამბავია და, შესაძლოა, შარშანდელიც გახსოვდეთ, „ფენერბაჰჩეს" ქომაგებმა ქუჩაში „გალათასარაის" ფანი რომ გამოიჭირეს, მანქანაში ჩაისვეს, სადღაც წაიყვანეს, ყურები მოაჭრეს და მერე გამოუშვეს.

შემდეგ ჰაჯიმ ბოდიში მოიხადა: „ბოდიშს ვიხდი, გონება დავკარგე, მაგრამ მსაჯმა პროვოკაციაზე წამომაგო. ეს კაცი ჩვენთვის მუდმივი პრობლემაა. მისთვის ჰაჯის გაძევება დიდი მოვლენაა. მე თუ მკითხავთ, ის მსაჯი კი არა, უბრალოდ ტიპია შავ ტრუსში".

გუშინ „გალათასარაი", მოგეხსენებათ პარიზში იყო, ჩემპიონთა ლიგაში „პარი სენ ჟერმენთან" სათამაშოდ. სტამბოლელთა მწვრთნელს, მირჩა ლუჩესკუს ჰაჯის საქციელის კომენტირება იქაც მოუხდა.

„დარწმუნებული ვარ, მსაჯმა მას სამარცხვინო პროვოკაცია მოუწყო. ჰაჯიმ განაცხადა, რომ კვირის საქციელს ინანიებს და ვერც კი ხვდება, ეს ყველაფერი როგორ მოხდა. ამასთან, მინდა მოგახსენოთ, რომ თამაშის დაწყების წინ არბიტრმა მას უთხრა, ფრთხილად იყავი, დღეს შენს გაძევებას ვაპირებო. ცხადია, ეს ფეხბურთელის საქციელს არაფრით ამართლებს, მაგრამ იმედია ხალხი მომხდარის მიზეზს გაიგებს".

ამ ინციდენტის შემდეგ გაირკვა, რომ „კარპატების მარადონას" თურქეთში თამაში კრძალდ და ფეხბურთის თამაში ზოგადად მობეზრებია. თუმცა დღეს საკითხი ასე დგას: აცლიან კი გეორგ ჰაჯის დიდი კარიერის საკუთარი ნებით დასრულებას? მას ხომ სამუდამო და სამარცხვინო დისკვალიფიკაცია ემუქრება.

ცნობისთვის: „გალათასარაისა" და რუმინელი ვარსკვლავის კონტრაქტს მაისში ვადა გასდის.

**ბაჩუნა ძიძია**


ფიგუს სახელს „ბარსას" ისტორიიდან შლიან

# საგადასახადო ფიგუს 20 მილიონ დოლარს სთხოვს

**ზაფხულში,** როცა ლუიშ ფიგუ „ბარსელონადან" „რეალში" გადაბარგდა, კატალონიელთა პრეზიდენტი ხუან გასპარი დაიმუქრა, ფიგუს ღალატი ძალიან ძვირად დაუჯდებაო. ეს სიძვირე რასაც ნიშნავს, ახლაღა გაირკვა — დაახლოებით ოცი მილიონ დოლარს.

შარშანდელი ცხელი ზაფხულის ამბები გავიხსენოთ. „ბარსა" ფიგუს არ თმობდა. „რეალის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა ამის გამო ხერხს მიმართა და პორტუგალიელის კონტრაქტის იმ პუნქტს ჩაებღაუჭა, რომლის მიხედვითაც ფიგუს 56,1 მილიონი დოლარის საფასურად „ბარსელონადან" თავის დახსნა შეეძლო. დანარჩენი ტექნიკის საქმე იყო: „რეალმა" ფეხბურთელს აღნიშნული თანხა ჩაუთვალა, ამან კიდევ „ბარსას" სალაროს ჩააბარა.

თითქოს ყველაფერი ზუსტადაა გათვლილი, მაგრამ... ესპანური და არა მარტო ესპანური კანონებით, საჩუქრის ღირებულება რაღაც თანხას თუ ასცილდა, დასაჩუქრებულმა სახელმწიფო ბაჟი უნდა გადაიხადოს. 56 მილიონის შემთხვევაში ქვეყნის ბიუჯეტს ფიგუსგან დაახლოებით ოცი მილიონი ერგება. საგადასახადო სამსახურის თანამშრომლებმა „რეალისგან" მიღებული ფული (თუნდაც რეალურად სხვისთვის გადასაცემად განკუთვნილი) ფიგუს საჩუქრად ჩაუთვალეს და მიადგნენ.

ფეხბურთში კონტრაქტის გამოსყიდვის გზით ტრანსფერი ფიგუმდეც არაერთხელ განხორციელებულა, მაგრამ ბაჟის თავიდან ასაცილებლად კლუბები მუდამ ჯენტლმენურად არ რიგდებიან, ისე, რომ, ფულის ჩუქების ფაქტი არ ჩანდეს. მაგრამ ერთიცაა, ჯენტლმენური გარიგება ერთმანეთისადმი კეთილგანწყობილ კლუბებს შორის ფორმდება, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ამაზე ლაპარაკი სასაცილოა.

მადრიდელები ნერვიულობენ, ბარსელონელები სიამოვნებით ხელებს იფშვნეტენ, ეგრე გინდათო, ფიგუ კი მშვიდადაა. მართალია, ფული მისი გადასახდელია, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რეალურად ვისაც მოუწევს ჯიბეზე ხელის გაკვრა. „სანერვიულო არაფერი მაქვს, ამ საქმეზე „რეალის" იურისტები მუშაობენ" — თქვა ფიგუმ.

„რეალის" იურისტებმა კი, რა უნდა ქნან, ერთადერთი ის შეუძლიათ, კატალონიელებს შეეხვეწონ, გადასახადების ამკრებებს უთხარით, ფული „რეალისგან" მივიღეთ, ფიგუსთვის არაფერი უჩუქებიათო — ამ შემთხვევაში გადასახადი ბევრად ნაკლებია.

სხვათა შორის, ესპანელთა უმრავლესობას ჰგონია, რომ ყველაფრის მიუხედავად, „ბარსელონა" ჯენტლმენურ გარიგებაზე წავა.

ფიგუს მილიონებთან რა მოსატანია, მაგრამ მაინც ვთქვათ — ბაიერნელი სამუელ კუფური ბერნდ შუსტერთან ლაპარაკისთვის კლუბმა ათი ათასი მარკით დააჯარიმა. ვინ ჰკითხავს კლუბსო, იკითხავთ. საზოგადოდ არავინ, მაგრამ ბავარიელი ფეხბურთელი სხვა კლუბის სელექციონერს გადასვლაზე თუ დაელაპარაკება, სწორედ რომ კლუბის საქმეა.

ბერნდ შუსტერი კუფურთან „ბარსელონას" პრეზიდენტს გაუგზავნია და დაუბარებია, ცხრამეტი მილიონი დოლარი შეაძლიეო. გავიხსენოთ, რომ იანვარში კუფურმა ჟურნალისტებს უთხრა, „ბარსელონა" ჩემში ჩვიდმეტ მილიონს იხდიდა, მაგრამ „ბაიერნმა" უარი უთხრაო.

მიუნხენელებიც ამიტომ არიან გაბრაზებულნი, კუფურმა აკი იცოდა, რომ არ გავუშვებდით და ესპანელთა მოგზავნილ კაცთან რა ესაქმებოდაო. ჰოდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჭკუაზე მოსაყვანად ათი ათასი მარკა დააკისრეს.

ბავარიელთა დირექტორმა ული ჰიონესმა თავის ფეხბურთელთან ურთიერთობა რომ გაარკვია, კატალონიელთა გასაგონად თქვა: „ბატონ გასპარს ვურჩევ, ჩვენს ფეხბურთელებს თავი დაანებოს, არაფერი გამოუვა".

როგორც ირკვევა, ფიგუსა და კუფურის გარდა თვით დიეგო მარადონაც „ბარსელონას" მსხვერპლი ყოფილა.

მარადონას ყური მოუკრავს, კატალონიელები „ბოკა ხუნიორსის" მწვრთნელ კარლოს ბიანკისა და ამავე კლუბის ვარსკვლავ ხუან რამონ რიკელმეს თავისთან იწვევენო და ერთი ამბავი აუტეხია — არგენტინული კლუბის პრეზიდენტ მაურისიო მარსისთვის შეუთვლია, ბიანკი ბრწყინვალედ გაწვრთნის „ბარსელონას" და რიკელმეც საუკეთესო იქნება, მაგრამ გევედრები, კატალონიაში არც ერთი არ გაუშვაო.

ცხადია, მარსის სულაც არ აინტერესებს, როგორ შეეწყობიან ისინი „ბარსელონას" (თუ წავიდნენ), ჩვენთვის კი მარადონას ასეთი რეაქციის მიზეზი უინტერესო არ უნდა იყოს.

დიეგომ თქვა, „ბარსა" საუკეთესო კლუბია მსოფლიოში, მაგრამ იქ მუშაობა ჯოჯოხეთია, სამხრეთამერიკელთათვის კი ორმაგადო. ჩვენ მათთვის ოქროს ზოდები ვართ და როგორც უნდა, ისე გვიყენებენო.

**გიორგი დარჯანია**



დიეგო მარადონას „ბარსას" ჯავრი ჩარჩენია

## ფეხბურთის [illegible]

**იტალიელი** მწვრთნელი ალბერტო მალეზანი შესაძლოა „ესპანიოლს" ჩაუდგეს სათავეში. ესპანური სააგენტოების ცნობით, კატალონიური კლუბი მასთან მოლაპარაკებებს უკვე აწარმოებს. ამჟამად „ესპანიოლს" ფრანსისკო პაკო ფლორესი წვრთნის, თუმცა გუნდის ხელმძღვანელობა მისი მუშაობით უკმაყოფილოა. მალეზანიმ იანვარში „პარმას" თავკაცის პოსტი დატოვა. მან ამ გუნდში სამი სეზონი იმუშავა და გუნდს იტალიისა და უეფას თასი მოაგებინა. „პარმაში" მისვლამდე მალეზანი „ფიორენტინას" და „ვერონას" თავკაცობდა.

**რუმინელ ნახევარმცველ კოზმინ კონტრას შეძენის სურვილი იტალიის ჩემპიონატის ლიდერმა „რომამ" და ესპანურმა „ვალენსიამ" გამოთქვა. ეს ფეხბურთელი „ალავესში" 1999 წლიდან თამაშობს და ბასკური კლუბის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა. არ არის გამორიცხული, სეზონის ბოლოს რომაული კლუბი კაფუმ დატოვოს და მწვრთნელ ფაბიო კაპელოს ბრაზილიელის შემცვლელად სწორედ 26 წლის კონტრას მიწვევა სურს. იუწყებიან, რომ მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს, თუმცა სატრანსფერო თანხა არ გაცხადებულა.**

**გერმანულმა** „ვოლფსბურგმა" შვეიცარიული „სერვეტის" თავდამსხმელი მარტინ პეტროვი შეიძინა. ფეხბურთელმა ბუნდესლიგურ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ის ღირსებას მომავალი სეზონიდან დაიცავს. 21 წლის პეტროვს ბულგარული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევენ, იგი უკვე ნაკრებშიც მიიწვიეს. პეტროვის გადაბირება სხვა კლუბებსაც სურდათ, თუმც საბოლოოდ „ვოლფსბურგმა" იმარჯვა.

**ალჟირის ნაკრების მწვრთნელი აბდელ ჯედუ თანამდებობიდან გაათავისუფლეს მას შემდეგ, რაც მისი გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, კვირას კაიროში, ეგვიპტის ეროვნულ გუნდთან დამარცხდა. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია ახალ მწვრთნელს ეძებს. არ გამორიცხავენ, რომ უცხოელი სპეციალისტი მიიწვიონ. ალჟირის ნაკრები კი ხუთგუნდიან შესარჩევ ჯგუფში მეოთხე ადგილზეა. მათთან ერთად მაროკო, სენეგალი, ნამიბია და ეგვიპტე არიან.**

**გერმანელი** გერჰარდ კრაუტსენი ტუნისის ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას თავიდან ფრანგი სპეციალისტის, რენე ეშბრეს დანიშვნა სურდა, რომელიც ამჟამად იქაურ კლუბ „აფრიკა სპორტს" წვრთნის, მაგრამ ფრანგმა გუნდში დარჩენა ამჯობინა და ნაკრებში გადასვლაზე უარი განაცხადა. კრაუტსენმა ჯერჯერობით მხოლოდ ზაფხულამდე გააფორმა კონტრაქტი. გერმანელის ხელმძღვანელობით პირველ მატჩს ტუნისელები 25 მარტს მაროკოსთან ჩაატარებენ.

**გაფრთხილებთ!**

საშუალო ასაკის მამაკაცებს შორის მწეველებში იმპოტენციის განვითარების რისკი 72 პროცენტით მეტია, ვიდრე არამწეველებში.

**დაარქვით სიგარეტს სახელი, გადააგდეთ შხამი!**

თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრი

დამატებითი ინფორმაცია და უფასო კონსულტაცია: 30-64-44

## საფრანგეთი

### თასის მერვედფინალი

**რეიმსი (III) 1:0 ბასტია**

1:0 დუკორტიუ (44)

**კარკასონი (V) 0:3 ნანტი**

0:1 ვაირუა (28), 0:2 აჰამადა (32), 0:3 ზიანი (86)

**ვანი (IV) 1:2 ოსერი**

0:1 ჟ. სისე (35), 1:1 ბეგო (85), 1:2 გივარში (86)

**ამიენი (III) 0:0 (პენ.4:2) ლე მანი (II)**

**ფონტენეი (IV) 2:2დდ. (პენ.4:5, 1:1) ლიონი**

1:0 ლიონი (63), 1:1 გოვუ (85), 1:2 დელმოტი (95), 2:2 ბრეშე (119ს.პ.)

**ტრუა 1:0 ვასკეალი (II)**

**შატორუ (II) 0:2 გრენობლი (III)**

0:1 დებრონსი (11), 0:2 დოგბე (59)

**ვალანსი (III) 0:2 სტრასბური**

0:1 რემი (10), 0:2 ლუინდულა (55)

### მეორე დივიზიონი

**გადადებული მატჩი**

**ბოვე 1:1 ნანსი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოშო | 30 | 17 | 9 | 4 | 51:20 | 60 |
| მონპელიე | 30 | 15 | 12 | 3 | 39:19 | 57 |
| ლორიანი | 30 | 15 | 10 | 5 | 42:26 | 55 |
| ნანსი | 30 | 14 | 8 | 8 | 42:23 | 50 |
| ლავალი | 30 | 14 | 7 | 9 | 35:29 | 49 |
| ნიორი | 30 | 12 | 12 | 6 | 46:32 | 48 |
| შატორუ | 28 | 10 | 11 | 7 | 35:26 | 41 |
| ნიმი | 30 | 10 | 10 | 10 | 41:42 | 40 |
| ლე ავრი | 29 | 8 | 13 | 8 | 35:34 | 37 |
| ბოვე | 30 | 8 | 12 | 10 | 30:34 | 36 |
| გენიონი | 29 | 9 | 9 | 11 | 28:36 | 36 |
| ლე მანი | 30 | 7 | 14 | 9 | 29:34 | 35 |
| აიაჩო | 30 | 9 | 8 | 13 | 22:30 | 35 |
| კრეტეი | 30 | 8 | 10 | 12 | 28:32 | 34 |
| ვასკეალი | 30 | 8 | 10 | 12 | 28:32 | 34 |
| ნიცა | 30 | 10 | 4 | 16 | 31:44 | 34 |
| კაენი | 30 | 8 | 9 | 13 | 29:45 | 33 |
| მარტიგი | 30 | 6 | 13 | 11 | 25:38 | 31 |
| კანი | 30 | 6 | 10 | 14 | 34:49 | 28 |
| ანჟერი | 30 | 4 | 9 | 17 | 27:52 | 21 |

## თურქეთი

24-ე ტური: ფენერბაჰჩე — ანთალია 2:1; რიზე — ადანა 4:2; ტრაბზონი — იეთფა 2:4; ანკარაგიუჯიუ — იოზგათი 4:0; გალათასარაი — გენჩლერბირლიგი 2:1; ერზერუმი — ისთამბული 1:3; ბურსა — კოჯაელი 1:1; სამსუნი — დენიზლი 2:1; გაზიანთეფი — ბეშიქთაში 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 24 | 18 | 3 | 3 | 62:27 | 57 |
| გალათასარაი | 23 | 15 | 4 | 4 | 49:21 | 49 |
| გაზიანთეფი | 24 | 14 | 7 | 3 | 48:27 | 49 |
| ბეშიქთაში | 24 | 14 | 4 | 6 | 51:39 | 46 |
| სამსუნი | 24 | 11 | 6 | 7 | 40:33 | 39 |
| ტრაბზონი | 24 | 11 | 5 | 8 | 48:37 | 38 |
| ანკარაგიუჯიუ | 24 | 9 | 8 | 7 | 39:41 | 35 |
| რიზე | 24 | 10 | 4 | 10 | 34:27 | 34 |
| ისთანბული | 23 | 9 | 6 | 8 | 32:31 | 33 |
| გენჩლერბირ. | 24 | 10 | 3 | 11 | 31:35 | 33 |
| ანთალია | 24 | 8 | 7 | 9 | 34:38 | 31 |
| დენიზლი | 24 | 7 | 8 | 9 | 31:38 | 29 |
| იოზგათი | 24 | 6 | 8 | 10 | 32:36 | 26 |
| ბურსა | 24 | 6 | 7 | 11 | 34:45 | 25 |
| კოჯაელი | 24 | 5 | 9 | 10 | 30:42 | 24 |
| ადანა | 24 | 2 | 9 | 13 | 36:52 | 15 |
| იეთფა | 24 | 3 | 6 | 15 | 29:55 | 15 |
| ერზერუმი | 24 | 3 | 4 | 17 | 25:61 | 13 |

## იუგოსლავია

მე-20 ტური: ბუდუჩნოსტი — პარტიზანი 0:1; ჩუკარიჩკი — ზეტა 0:1; ცრვენა ზვეზდა — რადი 3:1; მილიციონარი — სუტიესკა 1:2; ჟელეზნიკი — ვოივოდინა 0:0; ნაპრედაკი — ოფკ 3:1; რადნიჩკი (კრაგუევაცი) — ზემუნი 0:2; სარტიდი — ჰაიდუკი 2:1; ობილიჩი — რადნიჩკი (ნიში) 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცრვენა ზვეზდა | 20 | 16 | 4 | 0 | 53:10 | 52 |
| პარტიზანი | 20 | 16 | 0 | 4 | 56:18 | 48 |
| ობილიჩი | 20 | 13 | 3 | 4 | 34:20 | 42 |
| ოფკ | 20 | 11 | 3 | 6 | 31:20 | 36 |
| სარტიდი | 20 | 9 | 2 | 9 | 32:31 | 29 |
| სუტიესკა | 20 | 8 | 4 | 8 | 23:32 | 28 |
| ჟელეზნიკი | 20 | 7 | 5 | 8 | 25:23 | 26 |
| ჰაიდუკი | 20 | 7 | 4 | 9 | 28:23 | 25 |
| ვოივოდინა | 20 | 6 | 6 | 8 | 20:19 | 24 |
| ზეტა | 20 | 5 | 9 | 6 | 24:28 | 24 |
| მილიციონარი | 20 | 7 | 2 | 11 | 18:25 | 23 |
| ნაპრედაკი | 20 | 6 | 5 | 9 | 21:33 | 23 |
| ბუდუჩნოსტი | 20 | 6 | 4 | 10 | 16:23 | 22 |
| ზემუნი | 20 | 5 | 7 | 8 | 19:29 | 22 |
| კრაგუევაცი | 20 | 6 | 4 | 10 | 18:32 | 22 |
| რადი | 20 | 6 | 3 | 11 | 24:36 | 21 |
| ჩუკარიჩკი | 20 | 6 | 2 | 12 | 22:31 | 20 |
| ნიში | 20 | 5 | 3 | 12 | 16:37 | 18 |

## პორტუგალია

### XXIV ტური

**კამპომაიორენსე 4:1 ამადორა**

1:0 აზევედუ (1), 2:0 ჟორჟინიუ სანტუში (12), 3:0 დეტინიუ სანტუში (28), 3:1 ლემოში (73), 4:1 დეტინიუ სანტუში (74)

**მარიტიმუ 2:1 ლეირია**

1:0 მარჩინსკი (10), 1:1 ვალენტე (26), 2:1 პაულუ სერჟიუ (88)

**ჟილ ვისენტე 1:1 ბრაგა**

0:1 ლუშენა (43), 1:1 ანდრე (90)

**ალვერკა 0:3 სალგეირუში**

0:1 ფერეირა (14), 0:2 პედროსა (27), 0:3 მორაიში (90)

**ფარენსე 1:2 ბეირა მარი**

1:0 სილვა (61), 1:1 ფეი (63), 1:2 ლობაო (86)

**სპორტინგი 2:0 ავეში**

1:0 შპეხარი (22), 2:0 ბარბოსა (72)

**ბელენენსეში 1:0 ბენფიკა**

1:0 ნანგი (51)

**ფერეირა 0:2 ბოავიშტა**

0:1 მარტელინიო (16), 0:2 დუდა (63)

**გიმარაეში 2:2 პორტუ**

0:1 მატიასი (18ს.პ.), 1:1 სიონი (50), 1:2 ხესუს პენა (60), 2:2 მატიასი (68)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 24 | 15 | 7 | 2 | 43:13 | 52 |
| სპორტინგი | 24 | 15 | 3 | 6 | 45:26 | 48 |
| პორტუ | 23 | 14 | 3 | 6 | 44:20 | 45 |
| ბრაგა | 24 | 12 | 8 | 4 | 38:28 | 44 |
| ბენფიკა | 24 | 13 | 5 | 6 | 40:25 | 44 |
| ბელენენსეში | 24 | 11 | 6 | 7 | 28:21 | 39 |
| სალგეირუში | 24 | 11 | 3 | 10 | 28:35 | 36 |
| ბეირა მარი | 24 | 10 | 5 | 9 | 29:31 | 35 |
| ფერეირა | 24 | 8 | 9 | 7 | 27:21 | 33 |
| ფარენსე | 24 | 8 | 8 | 8 | 27:30 | 32 |
| ალვერკა | 24 | 9 | 4 | 11 | 35:39 | 31 |
| ლეირია | 24 | 7 | 10 | 7 | 28:33 | 31 |
| მარიტიმუ | 23 | 8 | 6 | 9 | 23:24 | 30 |
| გიმარაეში | 24 | 5 | 8 | 11 | 30:40 | 23 |
| კამპომაიორენსე | 24 | 4 | 9 | 11 | 21:40 | 21 |
| ჟილ ვისენტე | 24 | 4 | 6 | 14 | 20:34 | 18 |
| ამადორა | 24 | 3 | 5 | 16 | 21:40 | 14 |
| ავეში | 24 | 2 | 7 | 15 | 19:46 | 13 |

## რუმინეთი

მე-16 ტური: ბაკეუ — სტიაუა 0:2; ბრაშოვი — უნივერსიტატია 1:2; პეტროლული — რაპიდი 1:2; ჩაპლაული — გაც მეტანი 1:1; არჯეში — ოცელული 2:0; დინამო — ნაციონალი 1:0; როკარი — ასტრა 1:0; გლორია — ფორესტა 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტიაუა | 16 | 10 | 4 | 2 | 30:17 | 34 |
| არჯეში | 16 | 8 | 4 | 4 | 22:18 | 28 |
| პეტროლული | 16 | 8 | 3 | 5 | 22:16 | 27 |
| დინამო | 16 | 8 | 3 | 5 | 32:27 | 27 |
| უნივერსიტატია | 16 | 8 | 3 | 5 | 18:17 | 27 |
| რაპიდი | 16 | 6 | 6 | 4 | 17:13 | 24 |
| ბრაშოვი | 16 | 7 | 3 | 6 | 13:11 | 24 |
| ფორესტა | 16 | 6 | 5 | 5 | 29:28 | 23 |
| როკარი | 16 | 7 | 2 | 7 | 26:28 | 23 |
| გლორია | 16 | 6 | 3 | 7 | 21:24 | 21 |
| ასტრა | 16 | 5 | 3 | 8 | 16:18 | 18 |
| ჩაპლაული | 16 | 4 | 6 | 6 | 19:26 | 18 |
| ოცელული | 16 | 4 | 5 | 7 | 18:21 | 17 |
| ნაციონალი | 16 | 5 | 2 | 9 | 20:25 | 17 |
| ბაკეუ | 16 | 4 | 4 | 8 | 19:25 | 16 |
| გაც მეტანი | 16 | 1 | 6 | 9 | 8:16 | 9 |

## ისრაელი

29-ე ტური: მაკაბი (თელ ავივი) — მაკაბი (ჰაიფა) 1:2; მაკაბი (ფეთახ თიკვა) — ჰაპოელი (თელ ავივი) 0:1; ირონი — ბეითარი 0:2; ბნეი იეჰუდა — აშდოდი 2:0; მაკაბი (ნეთანია) — ჰაპოელი (ფეთახ თიკვა) 5:1; ჰაპოელი (ჰაიფა) — ცაფრირიმი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მ. ჰაიფა | 29 | 19 | 9 | 1 | 51:19 | 66 |
| ჰ. თელ ავივი | 29 | 16 | 9 | 4 | 42:21 | 57 |
| ბეითარი | 29 | 16 | 8 | 5 | 37:20 | 56 |
| ჰ. ჰაიფა | 29 | 14 | 9 | 6 | 44:29 | 51 |
| მ. თელ ავივი | 29 | 12 | 9 | 8 | 49:28 | 45 |
| ჰ. ფეთახ თიკვა | 29 | 12 | 8 | 9 | 49:40 | 44 |
| მ. ფეთახ თიკვა | 29 | 10 | 5 | 14 | 31:35 | 35 |
| მ. ნეთანია | 29 | 9 | 8 | 12 | 40:45 | 35 |
| ირონი | 29 | 8 | 5 | 16 | 27:48 | 29 |
| ბნეი იეჰუდა | 29 | 6 | 8 | 15 | 29:45 | 26 |
| აშდოდი | 29 | 5 | 7 | 17 | 28:47 | 22 |
| ცაფრირიმი | 29 | 3 | 3 | 23 | 18:68 | 12 |

## ბრაზილია

### კარიოკას შტატი

1-ლი ტური: ოლარია — ფლუმინენსე 3:2; ფლამენგო — ბანგუ 2:1; ბოტაფოგო — ამერიკა (რიო დე ჟანეირო) 2:2; ვასკუ და გამა — კაბოფრიენსე 3:1; ამერიკანო — მადურეირა 3:1; ვოლტა რედონდა — ფრიბურგენსე 1:1

### პაულისტას შტატი

I ეტაპი: პალმეირასი — სან პაულუ 0:3; პორტუგეზა (პორტუ ალეგრი) — მოჯი მირიმი 1:1 (პენ. 4:3); ბოტაფოგო (რიბეირაო პრეტო) — სანტოსი 2:1; მატონენსე — პონტე პრეტა 2:0; გუარანი — სან კაეტანო 0:2; ბარბარენსე — პორტუგეზა (სანტისტა) 3:3 (პენ. 3:2); რიო ბრანკო — უნიაო სან ჟოაო 1:1 (პენ. 2:0); ინტერნასიონალი — კორინთიანსი 1:2

## საბერძნეთი

22-ე ტური: პანაჰაიკი — ოლიმპიაკოსი 1:5; იონიკოსი — იანინა 1:1; ოფი — ირაკლისი 1:0; ეთნიკოსი — პანიონიოსი 1:0; ათინაიკოსი — არისი 2:0; პანილიაკოსი — ქსანტი 1:0; პანათინაიკოსი — პაოკ 5:2; აეკ — კალამატა 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 22 | 19 | 2 | 1 | 66:16 | 59 |
| პანათინაიკოსი | 22 | 14 | 5 | 3 | 40:13 | 47 |
| აეკ | 22 | 13 | 3 | 6 | 42:27 | 42 |
| პაოკ | 22 | 11 | 7 | 4 | 48:36 | 40 |
| ირაკლისი | 22 | 11 | 3 | 8 | 34:27 | 36 |
| იონიკოსი | 22 | 9 | 7 | 6 | 33:29 | 34 |
| არისი | 22 | 10 | 4 | 8 | 24:24 | 34 |
| ქსანტი | 22 | 9 | 4 | 9 | 17:21 | 31 |
| ეთნიკოსი | 22 | 7 | 4 | 11 | 22:38 | 25 |
| პანიონიოსი | 22 | 5 | 9 | 8 | 23:29 | 24 |
| იანინა | 22 | 5 | 7 | 10 | 28:38 | 22 |
| პანაჰაიკი | 22 | 5 | 5 | 12 | 25:40 | 20 |
| ათინაიკოსი | 22 | 5 | 4 | 13 | 29:42 | 19 |
| პანილიაკოსი | 22 | 4 | 7 | 11 | 18:34 | 19 |
| კალამატა | 22 | 3 | 8 | 11 | 28:45 | 17 |
| ოფი | 22 | 3 | 7 | 12 | 22:40 | 16 |

## პოლონეთი

მე-16 ტური: პოლონია — ამიცა 3:0; რადომნკოვი — ვისლა 0:2; პოგონი — კატოვიცე 1:2; გროცლინი — პლოცკი 1:2; ოდრა — სტომილი 2:1; ვიძევი — რუხი 1:0; გურნიკი — შლიონსკი 2:0; ზაგლებე — ლეგია 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 16 | 12 | 2 | 2 | 43:13 | 38 |
| პოგონი | 16 | 11 | 2 | 3 | 23:12 | 35 |
| ლეგია | 16 | 8 | 6 | 2 | 26:14 | 30 |
| ზაგლებე | 16 | 9 | 1 | 6 | 27:20 | 28 |
| პოლონია | 16 | 8 | 3 | 5 | 22:15 | 27 |
| ამიცა | 16 | 7 | 3 | 6 | 29:26 | 24 |
| ოდრა | 16 | 6 | 3 | 7 | 16:24 | 21 |
| კატოვიცე | 16 | 4 | 8 | 4 | 12:10 | 20 |
| ვიძევი | 16 | 5 | 4 | 7 | 22:29 | 19 |
| სტომილი | 16 | 5 | 4 | 7 | 13:20 | 19 |
| გროცლინი | 16 | 4 | 5 | 7 | 15:21 | 17 |
| გურნიკი | 16 | 4 | 4 | 8 | 14:18 | 16 |
| შლიონსკი | 16 | 4 | 4 | 8 | 17:24 | 16 |
| რაძიონკოვი | 16 | 5 | 1 | 10 | 15:26 | 16 |
| რუხი | 16 | 4 | 3 | 9 | 16:25 | 15 |
| პლოცკი | 16 | 4 | 3 | 9 | 18:31 | 15 |

## დანია

მე-19 ტური: კოპენჰაგენი — ოლბორგი 1:1; ბრონდბიუ — ოდენსე 1:2; სილკებორგი — მიდტიულანდი 3:1; ვიბორგი — ჰერფიოლგე 3:0; ჰადერსლევი — ლიუნგბიუ 1:3; აკადემისკი — ორჰუსი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სილკებორგი | 19 | 9 | 8 | 2 | 30:24 | 35 |
| ვიბორგი | 19 | 10 | 4 | 5 | 34:18 | 34 |
| ლიუნგბიუ | 19 | 11 | 1 | 7 | 33:33 | 34 |
| ბრონდბიუ | 19 | 10 | 3 | 6 | 47:25 | 33 |
| კოპენჰაგენი | 19 | 8 | 7 | 4 | 31:17 | 31 |
| მიდტიულანდი | 19 | 8 | 6 | 5 | 32:28 | 30 |
| ოდენსე | 19 | 9 | 2 | 8 | 31:24 | 29 |
| ოლბორგი | 19 | 7 | 5 | 7 | 29:31 | 26 |
| ორჰუსი | 19 | 6 | 2 | 11 | 27:38 | 20 |
| ჰერფიოლგე | 19 | 4 | 5 | 10 | 23:40 | 17 |
| აკადემისკი | 19 | 4 | 7 | 8 | 26:29 | 19 |
| ჰადერსლევი | 19 | 1 | 4 | 14 | 19:55 | 7 |

## ჩეხეთი

მე-19 ტური: ჟიჟკოვი — სიგმა 2:2; ბლშანი — პლზენი 2:1; ბრნო — პრჟიბრამი 0:0; იაბლონეცი — ტეპლიცე 1:0; დრნოვიცე — ლიბერეცი 2:1; ბუდეიოვიცე — სპარტა 1:4; სლავია — ბანიკი 0:0; სინოტი — ბოჰემიანსი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 19 | 16 | 1 | 2 | 49:15 | 49 |
| სიგმა | 19 | 9 | 7 | 3 | 36:19 | 34 |
| პრჟიბრამი | 19 | 9 | 5 | 5 | 29:19 | 32 |
| ტეპლიცე | 19 | 9 | 3 | 7 | 31:21 | 30 |
| ჟიჟკოვი | 19 | 8 | 6 | 5 | 31:29 | 30 |
| ლიბერეცი | 19 | 8 | 4 | 7 | 29:26 | 28 |
| სინოტი | 19 | 6 | 8 | 5 | 25:21 | 26 |
| სლავია | 19 | 6 | 8 | 5 | 23:22 | 26 |
| დრნოვიცე | 19 | 7 | 5 | 7 | 21:21 | 26 |
| ბოჰემიანსი | 19 | 5 | 8 | 6 | 24:26 | 23 |
| იაბლონეცი | 19 | 5 | 7 | 7 | 17:26 | 22 |
| ბლშანი | 19 | 5 | 5 | 9 | 18:26 | 20 |
| ბანიკი | 19 | 4 | 8 | 7 | 18:30 | 20 |
| ბრნო | 19 | 5 | 3 | 11 | 16:25 | 18 |
| ბუდეიოვიცე | 19 | 3 | 6 | 10 | 23:41 | 15 |
| პლზენი | 19 | 2 | 6 | 11 | 16:39 | 12 |

## იტალია

### სერია B. XXVI ტური

**ტერნანა 0:1 ტორინო**

0:1 მასპერო (45)

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა

### XXIV ტური

**მიონხენგლადბახი 1:1 ნიურნბერგი**

1:0 ვან ლენტი (20), 1:1 ბელიაკოვი (62)

# რეალი დაცვას აძლიერებს

**მადრიდის** „რეალს" სხვა რგოლებთან შედარებით ყველაზე სუსტი დაცვის ხაზი რომ ჰყავს, ამას ბევრი ამტკიცებს. ამიტომაც „სამეფო კლუბის" ხელმძღვანელობა რომელიმე ძლიერი მცველის გადაბირებას ცდილობს. მადრიდელებს თვალი უჭირავთ პარმელ ფაბიო კანავაროზე და ლაციოელ ალესანდრო ნესტაზე. ახლახან კი „რეალში" მოხვედრის კიდევ ერთ რეალურ კანდიდატზე ალაპარაკდნენ.

„სამეფო კლუბს" სერია A-ს ლიდერ „რომას" არგენტინელი უკანახაზელი ვალტერ სამუელი მოსწონებია და როგორც ესპანური პრესა ირწმუნება, რომაულ კლუბთან უკვე მოლაპარაკებებსაც აწარმოებს. საუბარია ტრანსფერზე, რომლის ღირებულებაც 40 მილიონი დოლარია. თურმე, სწორედ ამდენს სთავაზობს „რეალი" „რომას" და თუ შეთანხმებას მიაღწიეს, ვალტერ სამუელი მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული მცველი გახდება. დღემდე კი, ასეთი ინგლისელი რიო ფერდინანდია, რომელიც „ლიდს იუნაიტედმა" „ვესტ ჰემისგან" 28 მილიონ დოლარად შეიძინა.



ვალტერ სამუელი

## უკრაინა

მე-14 ტური: მეტალურგი (მარიუპოლი) — დინამო 0:2; დნიპრო — ტავრია 3:0; კრივბასი — მეტალურგი (ზაპოროჟიე) 1:0; ნივა — ცსკა 1:3; მეტალისტი — კარპატი 2:2; სტალი — მეტალურგი (დონეცკი) 0:3; შახტარი — ვორსკლა 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 14 | 10 | 3 | 1 | 39:13 | 33 |
| დინამო | 14 | 10 | 3 | 1 | 26:9 | 33 |
| დნიპრო | 14 | 9 | 3 | 2 | 17:9 | 30 |
| მ. დონეცკი | 14 | 7 | 5 | 2 | 18:12 | 26 |
| ცსკა | 14 | 6 | 6 | 2 | 19:10 | 24 |
| კარპატი | 14 | 7 | 1 | 6 | 25:20 | 22 |
| ტავრია | 14 | 4 | 7 | 3 | 14:14 | 19 |
| მ. მარიუპოლი | 14 | 4 | 4 | 6 | 12:17 | 16 |
| მ. ზაპოროჟიე | 14 | 4 | 4 | 6 | 17:22 | 16 |
| მეტალისტი | 14 | 3 | 5 | 6 | 12:21 | 14 |
| კრივბასი | 14 | 3 | 4 | 7 | 12:20 | 13 |
| ნივა | 14 | 2 | 3 | 9 | 16:30 | 9 |
| ვორსკლა | 14 | 2 | 2 | 10 | 6:19 | 8 |
| სტალი | 14 | 1 | 2 | 11 | 8:25 | 5 |

## უნგრეთი

მე-7 ტური: ტატაბანია — დიორ ეტო 0:2; უიპეშტი — დებრეცენი 3:0; ზალაეგერსეგი — ჰონვედი 3:1; მტკ — ვიდეოტონი 2:1; შოპრონი — ფერენცვაროში 2:3; დუნაფერი — ვაშაში 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფერენცვაროში | 7 | 5 | 2 | 0 | 13:2 | 21 |
| მტკ | 7 | 4 | 3 | 0 | 12:3 | 21 |
| უიპეშტი | 7 | 4 | 0 | 3 | 14:12 | 17 |
| ვიდეოტონი | 7 | 4 | 1 | 2 | 10:6 | 15 |
| დიორ ეტო | 7 | 4 | 1 | 2 | 11:9 | 15 |
| დუნაფერი | 7 | 3 | 1 | 3 | 8:13 | 15 |
| ვაშაში | 7 | 3 | 1 | 3 | 12:9 | 14 |
| ჰონვედი | 7 | 3 | 1 | 3 | 14:12 | 11 |
| ტატაბანია | 7 | 1 | 1 | 5 | 6:17 | 10 |
| ზალაეგერსეგი | 7 | 2 | 2 | 3 | 9:11 | 9 |
| შოპრონი | 7 | 0 | 3 | 4 | 8:12 | 6 |
| დებრეცენი | 7 | 1 | 0 | 6 | 9:20 | 6 |

## არგენტინა

მე-6 ტური: სან ლორენსო — ურაკანი 1:1; ლოს ანდესი — ლანუსი 2:1; ესტუდიანტესი — ხიმნასია 2:1; ჩაკარიტა ხუნიორსი — ალმაგრო 0:2; ბოკა ხუნიორსი — ბელგრანო 1:1; ინდეპენდიენტე —ველეს სარსფილდი 0:1; არგენტინოს ხუნიორსი — რასინგი 2:0; ტალერესი — რივერ პლეიტი 3:1; უნიონი — ნიუელს ოლდ ბოიზი 3:2; როსარიო სენტრალი — კოლონი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 6 | 4 | 1 | 1 | 16:7 | 13 |
| უნიონი | 6 | 4 | 0 | 2 | 15:9 | 12 |
| სან ლორენსო | 6 | 3 | 2 | 1 | 8:6 | 11 |
| კოლონი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:6 | 11 |
| ტალერესი | 6 | 3 | 1 | 2 | 11:8 | 10 |
| არგ. ხუნიორსი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:9 | 10 |
| როსარიო | 6 | 2 | 3 | 1 | 10:9 | 9 |
| რასინგი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:8 | 8 |
| ესტუდიანტესი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:12 | 8 |
| ლანუსი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:8 | 7 |
| ოლდ ბოიზი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:10 | 7 |
| ხიმნასია | 6 | 2 | 1 | 3 | 9:9 | 7 |
| ინდეპენდიენტე | 6 | 2 | 1 | 3 | 6:8 | 7 |
| ჩაკარიტა | 6 | 2 | 1 | 3 | 6:10 | 7 |
| ლოს ანდესი | 5 | 1 | 3 | 1 | 6:6 | 6 |
| ბოკა ხუნიორსი | 6 | 1 | 3 | 2 | 8:10 | 6 |
| ბელგრანო | 6 | 1 | 3 | 2 | 3:5 | 6 |
| ველესი | 6 | 1 | 3 | 2 | 3:6 | 6 |
| ალმაგრო | 6 | 1 | 2 | 3 | 7:9 | 5 |
| ურაკანი | 5 | 1 | 1 | 3 | 8:13 | 4 |

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## აფრიკა. IV ტური

### A ჯგუფი

**ზამბია 2:0 ლიბია**

1:0 მვევა (13), 2:0 ლოტა (25)

**ტოგო 1:1 ანგოლა**

0:1 კუბაჟა (25), 1:1 ტური (60)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 4 | 4 | 0 | 0 | 9:0 | 12 |
| ანგოლა | 4 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 7 |
| ზამბია | 4 | 2 | 0 | 2 | 5:3 | 6 |
| ტოგო | 4 | 0 | 2 | 2 | 4:8 | 2 |
| ლიბია | 4 | 0 | 1 | 3 | 4:11 | 1 |

### B ჯგუფი

**სიერა ლეონე 0:2 სუდანი**

0:1 ჟოზეფი (43), 0:2 ელ ბაქითი (44)

**განა 0:0 ნიგერია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერია | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 9 |
| სუდანი | 4 | 3 | 0 | 1 | 5:3 | 9 |
| ნიგერია | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 7 |
| განა | 4 | 1 | 1 | 2 | 6:4 | 4 |
| სიერა ლეონე | 4 | 0 | 0 | 4 | 0:10 | 0 |

### C ჯგუფი

**სენეგალი 4:0 ნამიბია**

1:0, 2:0, 3:0 დიუფი (24, 44, 47), 4:0 კამარა (65)

**ეგვიპტე 5:2 ალჟირი**

1:0 ბარაქათი (6), 1:1 ტასფაუ (10), 2:1 საბრი (16), 2:2 ბელმადი (36), 3:2 ელ საქა (38), 4:2, 5:2 ელ საიდი (88, 89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენეგალი | 4 | 1 | 3 | 0 | 5:1 | 6 |
| ეგვიპტე | 4 | 1 | 3 | 0 | 6:3 | 6 |
| მაროკო | 4 | 1 | 3 | 0 | 2:1 | 6 |
| ალჟირი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |
| ნამიბია | 4 | 0 | 2 | 2 | 1:6 | 2 |

### D ჯგუფი

**კონგოს დრ 1:2 კოტ დივუარი**

0:1 გუელი (16), 0:2 ბაკაიოკო (44), 1:2 კიმოტო (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტუნისი | 4 | 3 | 1 | 0 | 11:3 | 10 |
| კოტ დივუარი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| მადაგასკარი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| კონგოს დრ | 4 | 1 | 0 | 3 | 3:11 | 3 |

კონგოს ნაკრები მოხსნილია ტურნირიდან

### E ჯგუფი

**ზიმბაბვე 2:0 მალავი**

1:0 მვარუვარუ (44), 2:0 კასინაიო (82)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამხრეთ აფრიკა | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 9 |
| გვინეა | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| ზიმბაბვე | 4 | 2 | 0 | 2 | 4:6 | 6 |
| მალავი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | 2 |
| ბურკინა ფასო | 4 | 0 | 1 | 3 | 4:7 | 1 |

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## აზია

### III ჯგუფი. III ტური

**პალესტინა 1:0 მალაიზია**

1:0 ალ გეში (36)

**ჰონკონგი 0:2 ყატარი**

0:1 ალ ენაზი (42), 0:2 ჟი-ჟი (67ს.პ.)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ყატარი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 9 |
| პალესტინა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| მალაიზია | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| ჰონკონგი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთ რგოლში

# კორეელთა პრელუდია

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის მსურველთა განცხადებების მიღების ბოლო ვადამდე, 10 აპრილამდე, რამდენიმე დღე რჩება, ჯერჯერობით კი ოლიმპიური მოძრაობის მესაჭის ორი მსურველის ვინაობაა გარკვეული.

ახლახან გავლენიანმა სამხრეთკორეელებმა, არანაკლებ გავლენიანი თანამემამულის კიმ უნ-იონგის მხარდამჭერთა გუნდი, უფრო სწორედ სოკ-ის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის შტაბი ჩამოაყალიბეს.

კორეელთა 30-კაციან ჯგუფში შედიან კულტურისა და ტურიზმის მინისტრი კიმ ჰან-გილი, იონსეის უნივერსიტეტის პრეზიდენტი კიმ ვუუ-შიკი და ერთ-ერთი გავლენიანი გაზეთის „ჩოსან ილბოს" თავმჯდომარე ბენგ ვუუ იანგი.

მათ ერთი მიზანი ამოძრავებთ — სამარანჩის შემდეგ ლოზანაში სოკ-ის შტაბბინაში კიმ იუნ-იონგის „გაბატონება". თავად უნ-იონგი ჯერჯერობით დუმს. არც ჰოს ამბობს და არც არას. ალბათ მოვლენათა განვითარებას ელოდება. თუმცა, როგორც მისი მომხრეები ამბობენ, მმართველი პარტიის კანონმდებლის მიერ მხარდამჭერთა ჯგუფის ჩამოყალიბება უნ-იონგის განცხადების პრელუდიაა.

ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია, 65 წლის სოკ-ის სამხრეთკორეელ წევრს, ისევე როგორც უნგრელ პალ შმიტსა და ამერიკელ ანიტა დეფრანცს, წარმატების ყველაზე ნაკლები შანსი აქვს. საქმეში ჩახედულნი მიიჩნევენ, რომ მთავარი ბრძოლები ბელგიელ ჟაკ როგსა და კანადელ დიკ პაუნდს შორის გაიმართება. თუმცა, ისინი ჯერ არ ჩქარობენ ლოზანაში განცხადების შეტანას.

საინტერესოა, რომ კიმი სოკ-ში 1986 წლიდან მოღვაწეობს. აღმასრულებელი კომიტეტის წევრი გახდა ორი წლის შემდეგ, ხოლო 1992 წლიდან ამ ორგანიზაციის ვიცე პრეზიდენტის სავარძელი დაიკავა. ამასთან, 1986 წლიდან საერთაშორისო სპორტულ ფედერაციათა გენერალურ ასოციაციას ხელმძღვანელობს.

სხვათა შორის, ამ ორიოდე კვირის წინათ კიმი ხელახლა აირჩიეს კორეის ოლიმპიური კომიტეტისა და ქვეყნის სპორტის საბჭოს მეთაურად.

მიუხედავად იმისა, რომ კიმი სპორტში საკმაოდ გავლენიანი ფიგურაა, მისი კარიერა უღრუბლო სულაც არ ყოფილა. სოლტ ლეიკ სიტის გახმაურებული მექრთამეობის სკანდალში თუ სკანდალებში მისი სახელი არაერთხელ ამოტივტივდა. კერძოდ, მას ბრალი წაუყენეს იმაში, რომ სოლტ ლეიკ სიტის სასარგებლოდ ხმის მიცემის სანაცვლოდ მის ვაჟ იონისთვის აშშ-ში მუშაობის უფლება უნდა მიეცათ. თუმცა, ბოლოლა კორეელმა ყველა ბრალდება უარყო.

# მაღალჩინოსანი ბეჭებზე გაკვრით იმუქრება
## ვინ იქნება სამში ერთი?

**კარგია** სოკ-ის კომისრობა. სხვა თუ არაფერი, მსოფლიოს ხუთ უდიდეს ქალაქს მაინც ნახავ, თანაც ისე, რომ მის კუთხე-კუნჭულს ზედმიწევნით დაგათვალიერებინებენ, ფეხქვეშაც გაგეგებიან, თავს მოგაწონებენ და მათი კუთხისთვის დამახასიათებელ სუვენირებსაც გისახსოვრებენ. ბოლოს იმ იმედით დაგემშვიდობებიან, რომ ოლიმპიურ თამაშებს ჩვენი ქალაქი უმასპინძლებსო. მაგრამ 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის მებრძოლ კანდიდატ ქალაქებს ხომ ერთმანეთზე უკეთესი წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე?

მაისის შუა რიცხვებში ლოზანაში ინსპექტორთა 17-კაციანი ჯგუფი სოკ-ის აღმასრულებელ კომიტეტს წარუდგენს თავის მოხსენებას, სადაც დაწვრილებით იქნება აღწერილი ამა თუ იმ ქალაქის, როგორც დადებითი, ისე ნაკლოვანი მხარეები. მოგვიანებით, იმავე მოხსენებაზე დაყრდნობით, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სრული შემადგენლობა მოსკოვის 13 ივლისის სოკ-ის 112-ე სესიაზე კენჭისყრით გადაწყვეტს, თუ რომელი ქალაქი იმსახურებს ოლიმპიადის მასპინძლობას: პეკინი, ოსაკა, სტამბოლი, პარიზი თუ ტორონტო? თუმცა, მანამდე კომისრებმა ზემოთ ჩამოთვლილ ქალაქებში ვოიაჟი უნდა დაასრულონ.

როგორც ვიუწყებოდით, მათ პეკინი და ოსაკა უკვე „შეისწავლეს", ამ ორიოდე დღის წინათ კი ტორონტოც დაზვერეს. ტორონტო იგივე „ტი ოუ", როგორც მას მოფერებით უწოდებენ, კანადის ყველაზე დიდი, ხოლო ჩრდილოეთ ამერიკის მეხუთე უმსხვილესი ქალაქთაგანია.

კანადელთა ამბიცია, მესამედ უმასპინძლონ ოლიმპიურ თამაშებს, დამოკიდებულია იმ 17-კაციან კომისართა ჯგუფზე, რომელსაც ჰოლანდიელი ჰეინ ვერბრიუგენი თავკაცობს. ტორონტოელები ვერბრიუგენისა და კომპანიის შთაბეჭდილებებით დატყვევებას აეროპორტიდანვე შეუდგნენ. „ტორონტო 2008"-ის ჩინოსნებს მიაჩნიათ, რომ სოლტ ლეიკ სიტის მექრთამეობის სკანდალმა მათ წისქვილზე დაასხა წყალი.

მოგეხსენებათ, ამ გახმაურებული სკანდალის შემდეგ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს რიგ დათმობებზე წასვლა მოუწია. კერძოდ, სოკ-ის ინდივიდ წევრებს აეკრძალათ ოლიმპიადის მასპინძლობისთვის მებრძოლ კანდიდატ ქალაქთა მონახულება, რათა აქედანვე გამოერიცხათ მათი შესაძლო მოქრთამვის მცდელობა. ამის თავიდან ასაცილებლად ოლიმპიზმის მამებმა რეფორმატორთა ჯგუფი „სოკ 2000" ჩამოაყალიბეს. სწორედ იმ რეფორმატორთა ჯგუფის წევრები არიან ისინი, ახლა ქალაქიდან ქალაქში, კონტინენტიდან კონტინენტზე რომ მოგზაურობენ და თავიანთ საქალაქეებს პლუს-მინუსებით აჭრელებენ. თუმცა, ონტარიოს პროვინციის დედაქალაქის მცხოვრებლები მშვიდად არიან და აცხადებენ, რომ ტორონტო საუკეთესოთა შორის საუკეთესოა.

— ჩვენ საუკეთესოს ვთავაზობთ. გვაქვს საუკეთესო პროექტი. ტორონტომ იოლად უნდა გაიმარჯვოს — ამბობს ნიჩბოსნობაში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი მარნი მაკბინი. თუმცა მაკბინმა იცის, რომ ჩვეულებისამებრ, პოლიტიკური ფაქტორებიც გარკვეულ როლს თამაშობენ, როდესაც სოკ-ი კანდიდატ ქალაქზე არჩევანს აკეთებს. ისიც კარგად უწყის, რომ პეკინი გაიმარჯვებს იმ შემთხვევაში, თუ ის შეცვლის თავის პოლიტიკას და კარს გაუღებს უცხოურ პროდუქციას თავის ბაზარზე. გარდა ამისა, ჩინელებს ადამიანთა უფლებების დარღვევაშიც ადანაშაულებენ. აზიელებს, მიუხედავად იმისა, რომ ფავორიტად მიიჩნევენ, ჯერ კიდევ ბევრი რამა აქვთ გამოსასწორებელი. ძირეული ძვრების გარეშე კი პეკინს ისეთივე ბედი ეწევა, როგორიც 1993 წელს. მაშინ ჩინელები 2000 წლის ოლიმპიადის მასპინძელ სიდნეისთან დამარცხდნენ. ამის მიზეზად კი მაშინაც ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებს ასახელებდნენ.

ასეა თუ ისე, ტორონტოელებს საკუთარი თავის რწმენა აქვთ. სწამთ, რომ ტორონტოს სხვებისგან განსხვავებით საუკეთესო ინფრასტრუქტურა გააჩნია, თუმცა მისი მთავარი სიძლიერე ოლიმპიური რკალის სიმჭიდროვეა. ვგულისხმობთ ოლიმპიურ სოფელს, რომელიც 28-დან 25 სპორტულ არენასთან სულ რაღაც ექვსი კილომეტრითაა დაშორებული. გარდა ამისა, კანადელებს ზურგს უმაგრებს მოხალისეთა 70-ათასიანი არმია, რომელმაც ოლიმპიადამდე შვიდი წლით ადრე გამოხატა ამის სურვილი. იმედიანადაა ტორონტოს საორგანიზაციო კომიტეტის მაღალჩინოსანი ჯონ ბიტოუც. „ჩვენ მათ ერთი დარტყმით ბეჭებზე გავაკრავთ" — ამბობს იგი.

ვინ ვის გააკრავს ბეჭებზე, ამას მომავალი გვიჩვენებს, მანამდე კი კომისრებს პარიზი და სტამბოლი აქვთ დასაზვერი.

იმასაც გეტყვით, რომ ამ ბრძოლაში ექსპერტები ოსაკასა და სტამბოლს აუტსაიდერებად მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლის ვინაობა სამიდან ერთ-ერთს შორის გაირკვევაო.

**ზიზა ზურასაშვილი**



მსოფლიოს თასი

# ჩვენი ხატია იანიცა... ხორვატთა დედოფალს 1256 ვარდი აჩუქეს



იანიცა კოსტელიჩი: თინეიჯერი და მსოფლიო თასის მფლობელი

**ალვწერთ** იანიცა კოსტელიჩის ზაგრებში დაბრუნების მხიარულ ისტერიას. მნახველთა თქმით, ამგვარი ამბავი ზაგრების აეროპორტში მას შემდეგ არ ყოფილა, რაც იქაურმა ფეხბურთელებმა საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატიდან ბრინჯაოს მედლები ჩაიტანეს. ოთხი ათასი ადამიანი, მეტწილად თინეიჯერობა დახვდა თვითმფრინავს. კოსტელიჩს ცალ ხელში ბროლის დიდი გლობუსი ეჭირა, მეორეში — პატარა და ასე, მსოფლიოს თასის ახალი მფლობელის რანგში წარუდგა თვისტომებს. ოვაციების ფონზე კოსტელიჩს 1256 ვარდი მიართვეს (ამდენი ქულა დააგროვა მან თასზე საბოლოოდ), ხალხი დროშებს აფრიალებდა და თავის ახალ გმირს თოვლის, თხილამურობის და სხვა ათასგვარი დედოფლის სახელით ამკობდა. ტელევიზიამ და რადიომ უამრავი გადაცემა გაუშვა ეთერში, რომელიც ქვეყნის ისტორიაში ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას ასახავდა, ათასჯერ განმეორდა ის ბოლო სასლალომე დაშვება, რომელმაც ხორვატი გოგოს გამარჯვება ოფიციალურად დაადასტურა, ხუთი მთავარი გაზეთის პირველ გვერდებზე, გასაგებია ვისი ფოტოც იქნებოდა, და ბოლოს, კოსტელიჩს მთავრობამაც მშვენიერი შეხვედრა მოუწყო.

რა მოხდა ასეთი, თასი ვის არ აუღია? აგერ, ჰერმან მაიერმა სამი დისციპლინა და ერთიანი ჩათვლა მოიგო, მაგრამ იმის მეოთხედ ზეიმსაც არავინ მოუწყობდა. მაგრამ ერთია ავსტრია და მეორე — ხორვატია, ანუ ერთია მილიონის შოვნა გაუხარდეს ბილ გეიტსს და მეორე — ვინმე ბოგანოს; ხოლო ხორვატია, მინდა გითხრათ, სამთოთხილამურობაში ფრიად ბოგანო ვინმეა. 4 მილიონ 700 ათასი კაცით დასახლებულ ქვეყანაში სამი პატარა ზამთრის კურორტი ყოფილა, ასე, ჩვენი ბაკურიან-გუდაურის გაბარიტებისა და მათზე სრულყოფილი ალპური ტურნირების გამართვაც თურმე დიდად პრობლემატური საქმეა. ხორვატებმა სახელი გაითქვეს კალათბურთში, ფეხბურთში, ხელბურთში, წყალბურთში, ხოლო თხილამურობაში აქამდე ღირებული არაფერი შეუქმნიათ. ერთი ხორვატიც არ ყოფილა მსოფლიოს თასის 30 საუკეთესოში და უცებ იანიცამ ეფექტურად გამოანათა. უცებ რომ ქართველი მსოფლიოს ჩემპიონი გახდეს, დაახლოებით ისეთი სიტუაციაა.

კოსტელიჩის წარმატებაში ბედის ხელი უსათუოდ ურევია. იგი შვედურ არეში ტრავმირებული ზურგითა და მუხლით, როგორც მერე გაირკვა, აგრეთვე აშლილი კუჭითა და მხოლოდ 39-ქულიანი მარაგით ჩავიდა. ავსტრიელი რენატე გოეჩლისთვის ალბათ, ერთი დისციპლინის წესიერად სრიალი კმაროდა, რომ წინ გაჭრილიყო, მაგრამ ეშმაკმა უწყის, რამ აუკანკალა მუხლები ამ ჯანიან მთიელ ქალბატონს, რომ სწრაფდაშვება, გიგანტური სლალომი და სუპერგიგანტი ჩააფლავა. სამივე შანსის დაკარგვის შემდეგ გოეჩლის ბოლო იმედი სლალომი იყო. მკრთალი იმედი, რადგან წლეულს სლალომის ყველა (!) ეტაპის მომგები კოსტელიჩი რაღა გადამწყვეტ მომენტში წაიტეხდა ფეხს, მაგრამ წაიტეხა... კუჭ, ფეხ და მხარმტკივანმა ხორვატმა მხოლოდ მე-11 ადგილი დაიკავა, ხოლო გოეჩლმა სასწაულებრივი ძლევენი კვლავ ვერ შეიფერა და რახან ასე ძლიერ ინდომა, დარჩა კიდეც მეორე ადგილზე.

სლალომი სონია ნეფმა მოიგო. ხუთჯერ მუხლმოტეხილი შვეიცარიელისთვის ეს ამბავი სეზონის კარგი დაგვირგვინება იყო, გიგანტური სლალომის ბროლის გლობუსთან ერთად.

მთავარი ყურადღება ლოგიკურად მაინც კოსტელიჩს ერგო. ჟურნალისტები ხორვატს ნაირნაირ კითხვებს აძლევდნენ და მათში ასეთიც იყო: 1256 ქულიდან 824 რომ მარტო სლალომში დააგროვეთ, ზოგიერთები ნაღდ ჩემპიონად არ გთვლიან და ამაზე რას იტყვითო. „რა მნიშვნელობა აქვს, ვინ სად სრიალებს — თქვა იანიცამ — სეზონის ბოლოს ვის მეტი ქულა აქვს, საკითხავი აი, ეს არის! ბედნიერი ვარ ამგვარი დასასრულით, ოღონდ სული და სხეული ერთად გამიშეშდა, ძლიერ დავიღალე, თუმცა დავამტკიცე, რომ ჩემპიონი ვარ".

ქალთაგან სწრაფდაშვება, სუპერგიგანტი, გიგანტური სლალომი და სლალომი შესაბამისად იზოლდე კოსტნერმა, რეჟინ კავანიუმ, სონია ნეფმა და იანიცა კოსტელიჩმა მოიგეს, ვაჟებში კი თითქმის მთელი სამთოთხილამურობა მეორე წელია, ერთი კაცის პირად საქმედ იქცა. ჰერმან მაიერმა შაბათს გიგანტურ სლალომში მთავარი კონკურენტი, მიხაელ ფონ გრუნინგენი დაჩაგრა და ამ სახეობის საერთო ჩათვლაც მოუგო. მის განკარგულებაში შარშანდელივით ბროლის დიდი და სამიც პატარა გლობუსი გადავიდა. ამასთან: მსოფლიოს თასზე მოგებული 41 ეტაპი დაუგროვდა, რაც ინგმარ სტენმარკის მონუმენტურ 86-ს გვარიანად ჩამორჩება, მაგრამ მაიერმა სტენმარკის სხვა რეკორდი გაიმეორა წლევანდელ სეზონში 13 ეტაპის მოგებით, რაც ბევრად მეტი იქნებოდა, ზოგი ეტაპი ბუნების ხუშტურის გამო რომ არ გაეუქმებინათ და ვალ დიზერში კიდევ მაიერი არ მოეხსნათ უწესო ქცევისთვის. პროცენტულად თუ შევხედავთ, სტენმარკი სჯობნის მაიერს. 22 წლის წინათ შვედმა 20 ეტაპიდან 13 მოიგო, ახლა მაიერმა — 24-დან 13, მაგრამ თვით სტენმარკს ფრანგი ჟან კლოდ კილი ერევა. შორეულ 67-ში ფრანგმა 16-დან 12 ეტაპი დაინარჩუნა.

ეს ისტორიაა, გასულ უქმეებზე კი მაიერის ტრიუმფი იყო და არეში მაყურებლად ჩასულმა სტენმარკმა თქვა: „მაიერი დიდი მოთხილამურეა, მაგრამ გამიხარდა, ჩემი რეკორდი რომ ვერ დაამხო".

**დავით ბულუა**

**ქალები. გიგანტური სლალომი**

**1. სონია ნეფი (შვეიცარია) 2:34,50; 2. ანია პაერსონი (შვედეთი) 2:36,29; 3. ილვა ნოვენი (შვედეთი) 2:36,30**

**გიგანტური სლალომის საბოლოო ჩათვლა**

**1. სონია ნეფი (შვეიცარია) 676 ქულა; 2. ანია პაერსონი (შვედეთი) 408; 3. მიხაელა დორფმაისტერი (ავსტრია) 341**

**სლალომი**

**1. სონია ნეფი (შვეიცარია) 1:50,38; 2. მარტინა ერტლი (გერმანია) 1:50,78; 3. ანია პაერსონი (შვედეთი) 1:50,79**

**სლალომის საბოლოო ჩათვლა**

**1. იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) 824 ქულა; 2. სონია ნეფი (შვეიცარია) 384; 3. მარტინა ერტლი (გერმანია) 346**

**საბოლოო საერთო ჩათვლა**

**1. იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) 1256; 2. რენატე გოეჩლი (ავსტრია) 1189; 3. რეჟინ კავანიუ (საფრანგეთი) 1105**

**ვაჟები. გიგანტური სლალომი**

**1. ჰერმან მაიერი (ავსტრია) 2:31,23; 2. ერიკ სკლოპი (აშშ) 2:32,37; 3. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 2:32,51**

**გიგანტური სლალომის საბოლოო ჩათვლა**

**1. ჰერმან მაიერი (ავსტრია) 622 ქულა; 2. მიხაელ ფონ გრუნინგენი (შვეიცარია) 612; 3. ერიკ სკლოპი (აშშ) 350**

**სლალომი**

**1. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 1:47,99; 2. მარიო მატი (ავსტრია) 1:48,18; 3. სებასტიენ ამიე (საფრანგეთი) 1:48,31**

**სლალომის საბოლოო ჩათვლა**

**1. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 625 ქულა; 2. მარიო მატი (ავსტრია) 506; 3. ჰაინც შილხეგერი (ავსტრია) 464**

**საბოლოო საერთო ჩათვლა**

**1. ჰერმან მაიერი (ავსტრია) 1618 ქულა; 2. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 875; 3. ლასე კიუსი (ნორვეგია) 866**



ვინუს უილიამსი — ამსიგრძე ფეხებით რას არ მიუსწრებ

# ფრონტის ხაზზე

**მასტერსის სერია**
**ინდიან უელსი (აშშ)**
**ჰარდი. საპრიზო 5 მილიონი $**

ინდიან უელსში ქალები უკვე გასცდნენ ადრეულ ეტაპებსა და იოლ მეტოქეებს, ამიერიდან დაძაბული და მნიშვნელოვანი მატჩების დრო დგება. მეოთხედფინალებისა და ერთმანეთთან კორტზე გაჯიბრების წინ ბევრმა მათგანმა ძალა პრესკონფერენციებზე მოსინჯა და მომავალ მეტოქეებს ერთიორი წინასწარ უთავაზა.

ყველაზე მეტად ტურნირზე მერვედ განთესილი ელენა დემენტიევა გამოირჩა. 19 წლის რუსი სეზონის დასაწყისში „პრინსის" ჩოგნიდან „იონექსზე" გადართვის გამო უხეიროდ თამაშობდა, თუმცა ბოლო კვირებია, ისევ მოუმატა. ოლიმპიურმა ვერცხლისმედალოსანმა ამჯერად მერვედფინალში თანამემამულე, 16 წლის ლინა კრასნარუცკაია დაამარცხა. კრასნარუცკაია მატჩის დასაწყისში 3:1 დაწინაურდა, მაგრამ მერე ზედიზედ 5 გეიმი წააგო და დილით ვარჯიშის დროს მიღებული ფეხის ტრავმის გამო თამაშზე უარი განაცხადა.

„ლინა უხერხული მეტოქეა, ის ბურთს უილიამსებსა და დევენპორტზე ძლიერად ურტყამს. ასე რომ, გამიმართლა, თანაც მე თანამემამულეებთან გაჯიბრება არ მიყვარს, თითქმის ყოველთვის ვაგებ" — აღნიშნა დემენტიევამ.

როდესაც სიტყვა მის მომდევნო მეტოქეზე, ვინუს უილიამსზე ჩამოვარდა, ამბიციური რუსის განცხადება მეტად აგრესიული გამოდგა: „თუ მეც მთელი ძალით ვითამაშებ და ისიც, აუცილებლად დავამარცხებ, ის ფიზიკურადაა ძლიერი, სამაგიეროდ მე — შინაგანად. ვინუსთან თამაში ბევრს ეშინია, მე კი ამ კატეგორიას არ მივეკუთვნები. ის კარგი ჩოგბურთელია, მაგრამ არა განსაკუთრებული, ისიც ჩემსავით გოგოა".

პირად შეხვედრათა ანგარიში დემენტიევასა და უფროს უილიამსს შორის აქამდე საყაიმო, 1:1 გახლავთ. რუსმა 1999-ში, ფედერაციის თასზე იმარჯვა, ამერიკელმა კი შური შარშან, სიდნეის ოლიმპიადის ფინალში იძია.

თავად ვინუსმა მეოთხედფინალის საგზური ავსტრალიელი რეიჩელ მაკქუილანის 6:4, 6:2 დამარცხებით მოიპოვა და ჟურნალისტები დაარწმუნა, მუხლზე სახვევი ყოველი შემთხვევისთვის მაქვს შემოჭერილი, სინამდვილეში არაფერი მაწუხებსო: „რაიმე რომ მტკიოდეს, აქ საერთოდ არ ვიასპარეზებდი. თავს შესანიშნავად ვგრძნობ და ახლა გაცილებით უკეთ ვთამაშობ, ვიდრე სეზონის დასაწყისში".

არანაკლებ საინტერესო უნდა გამოდგეს კიდევ ერთი მეოთხედფინალი უილიამსების ოჯახის წევრის მონაწილეობით — სერენას მეტოქე მსოფლიოს მეორე ჩოგანი ლინდსი დევენპორტი იქნება. უმცროსი უილიამსი შარშან აშშ-ის ღია პირველობაზე მარცხისთვის შურისძიებას გეგმავს: „იმ დღეს ლინდსიმ სრულყოფილად ითამაშა, მე კი საუკეთესო ფორმაში არ ვიყავი. ამჯერად უკეთესად მოვემზადები შეხვედრისთვის, მე ისეთი ადამიანი ვარ, ვინც ძველ შეცდომებზე სწავლობს".

ვარდისფერ კაბაში გამოწყობილმა სერენამ მერვედფინალში პატარა და მუშა მაგდალენა მალეევას მოუღო ბოლო. ვეტერან ბულგარელს ძალა და ფეხები არ დაუზოგავს, გამწარებული დარბოდა კორტის ერთი კიდიდან მეორეში, მაგრამ უილიამსის მძლავრი დარტყმების დაწევას ამ დღეს ბარე ორი კაცი სჭირდებოდა — 6:3, 6:2.

**მერვედფინალი: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ბარბარა შეტი (16, ავსტრია) 6:3, 7:6 (7:4); ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — ლაიზა რეიმონდი (აშშ) 6:4, 6:2; სილვია ფარინა (იტალია) — ანკე ჰუბერი (11, გერმანია) 6:3, 4:6, 6:4; კიმ კლაისტერსი (14, ბელგია) — აი სუგიამა (იაპონია) 6:4, 4:6, 6:2; ელენა ბოვინა (რუსეთი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:3, 2:6, 7:5**

თუ ქალებმა ტურნირის ეკვატორი უკვე გადალახეს, კაცებმა ორშაბათს მხოლოდ დაიწყეს ასპარეზობა. პირველმა წრემ მსოფლიოს მესამე ჩოგან პიტ სამპრასს დიდი შვება მოუტანა. ზედიზედ სამი მატჩის წაგების შემდეგ (რაც უკანასკნელად ამერიკელს 1997-ში დაემართა), უიმბლდონის შვიდგზის ჩემპიონმა გერმანელი დევიდ პრინოშილი დაამარცხა.

განსაკუთრებით შთამბეჭდავად „პისტოლ პიტი" მოწოდებაზე გაისარჯა. მატჩის არცთუ დიდი ხანგრძლივობის მიუხედავად, მან 19 ეისის დარტყმა მოასწრო, ამას ბადესთან ხეირიანი თამაშიც დაურთო და 6:4, 6:4 მოიგო.

„როდესაც ხშირად აგებ, ზედმეტად ნერვიულობ და საჭიროზე მეტად ცდილობ საქმის გამოსწორებას. საბედნიეროდ, წაგებათა სერია დავასრულე, აქ უკვე რამდენიმე დღეა, ვარ, აქაურ პირობებს კარგად შევეგუე და, ალბათ, ესეც დამეხმარა — განაცხადა სამპრასმა — ასაკი მემატება, მაგრამ, ვფიქრობ, ყველა ტურნირზე, სადაც ვასპარეზობ, ისევ ფავორიტად ვრჩები. გაზრდილი კონკურენცია და ახალგაზრდა მეტოქეების გამოჩენა მხოლოდ სტიმულს მმატებს. მე კიდევ რამდენიმე წელი ვაპირებ უმაღლეს დონეზე თამაშს".

სამპრასისგან განსხვავებით, ძალიან გაუჭირდა პირველ წრეში ტურნირის შარშანდელ ჩემპიონ ალექს კორეჩას. უკანა ხაზიდან მარათონული გათამაშებებით გამორჩეულ, უსაშველოდ გაჭიანურებულ მატჩში მან არგენტინელ გასტონ გაუდიოს სძლია — 4:6, 7:6 (7:2), 7:6 (7:4).

წინა დაძაბული სეზონით გასავათებულმა ესპანელმა დეკემბერ-იანვარში თავს შესანიშნავი შვებულება მოუწყო. ამან შედეგად ის მოიტანა, რომ ამჟამად კორეჩას სათამაშო პრაქტიკა აკლია და საუკეთესო ფორმაშიც არ გახლავთ. მიუხედავად ამისა, იგი არაფერს ნანობს.

„მეც ჩვეულებრივი ადამიანი ვარ და დასვენება მესაჭიროება, ოჯახის წევრებთან, გელფრენდთან მეტი დროის გატარება მსურს. ყველაზე სასიამოვნო ის იყო, რომ ამ ხნის მანძილზე საათს გამუდმებით არ დავცქეროდი. შემეძლო, დღეში 14 საათი მეძინა, შუადღეზე ავმდგარიყავი და შინ დილით დავბრუნებულიყავი. ჩოგბურთისთვის აუცილებელი დისციპლინა მეტად დამქანცველია".

**პირველი წრე: ანდრე აგასი (4, აშშ) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:3, 6:2; ნიკოლას მასიუ (ჩილე) — ხუან კარლოს ფერერო (12, ესპანეთი) 7:6 (7:3), 6:7 (4:7), 7:6 (8:6); არნო კლემანი (13, საფრანგეთი) — ენდრიუ ილი (ავსტრალია) 6:0, 6:3; კარლოს მოია (ესპანეთი) — მაიკლ ჩანგი (აშშ) 6:4, 6:4; სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) — მაქს მირნი (ბელარუსი) 7:6 (7:2), 6:3; ნიკოლას კიფერი (გერმანია) — როჯერ ფედერერი (შვეიცარია) 3:6, 7:5, 6:1**

**ავთანდილ სვანიძე**



RUGBY SUPER 12

ზე-12. მესამე ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შტორმი ველინგტონში

**ველინგტონი 15:27 კეიპტაუნი**
ველინგტონი: 2ლ: ლომუ, ლილი; 1გ და 1ს: ლილი
კეიპტაუნი: 3ლ: სკინსტედი, პაულსე, კემპსონი; 3გ და 2ს: ვან სტრაატენი

**დურბანი 30:29 დანიდინი**
დურბანი: 3ლ: ვან რენსბურგი, ჰალსტედი, მარტენსი; 3გ: ჯეიმსი, დიუ ტუა (2); 3ს: ჯეიმსი
დანიდინი: 2ლ: ტუილევუ (2); 2გ და 5ს: ბრაუნი

**სიდნეი 53:7 პრეტორია**
სიდნეი: 7ლ: უიტეკერი, ბერკი, უილიამსი, ინმენი, სტენიფორტი, პეინი (2); 6გ და 2ს: ბერკი
პრეტორია: 1ლ: მენფილდი; 1გ: სტეინი

**იოჰანესბურგი 17:19 კანბერა**
იოჰანესბურგი: 2ლ: ერასმუსი, ფოსი; 2გ და 1ს: კოენი
კანბერა: 1ლ: როფი; 1გ და 3ს: მორტლოკი; 1ა: კაფერი

**კრაისტჩერჩი 40:11 ჰამილტონი**
კრაისტჩერჩი: 4ლ: მაკდონალდი, სოოალო (2), გიბსონი; 4გ და 4ს: ბლეირი
ჰამილტონი: 1ლ: კოულმენი; 2ს: ჯეკსონი

**ოკლენდი 39:35 ბრისბენი**
ოკლენდი: 6ლ. აიი, კრიბი (2), ინსი, მულიენა (2); 3გ: სპენსერი (2), აიი; 1ს: სპენსერი
ბრისბენი: 4ლ: ლეითემი (2), ტიუნი, უილიამსი; 3გ და 3ს: ფლეიტლი



იოჰანესბურგი — კანბერა. რასი ერასმუსმა კანბერელი ოუენ ფინეგანი შებოჭა

**ზე-12-ის** მესამე ტური ერთობ საინტერესო გამოდგა. მხოლოდ ორმა გუნდმა მოიპოვა იოლი გამარჯვება, დანარჩენმა მატჩებმა კი ბოლომდე შეინარჩუნეს დაძაბულობა.

ლიდერმა სიდნეიმ 7 ლელო გაუტანა მაჩანჩალა პრეტორიას, რომელიც ტურნირის ერთადერთ გაუხარელ გუნდად რჩება. ბობ დვაიერის შეგირდთაგან ყველაზე მეტად „ხარები" მეტ ბერკმა აზარალა, რომელმაც 23 ქულა მიითვალა. ახლა სიდნეი ქულათა მაქსიმალური რაოდენობით ეწვევა სამხრეთ აფრიკას, სადაც იოჰანესბურგსა და დურბანს შეეჭიდება.

ტურნირის სამგზის ჩემპიონმა კრაისტჩერჩმა როგორც იქნა, გაიმარჯვა. გამხეცებულ მასპინძლებს ჰამილტონი ემსხვერპლა. ამ მატჩში ენდრიუ მერთენსის დაგეგმილი დაბრუნება არ შედგა, მაგრამ ბლეირმა მშვენივრად ურტყა და კრაისტჩერჩს უმერთენსობა ახლაღა დაავიწყა, თორემ წინა ორ ტურში...

ტური პარასკევ საღამოს გაიხსნა ველინგტონისა და კეიპტაუნის დაპირისპირებით. ახალი ზელანდიის დედაქალაქში „შტორმებმა" ნამდვილი შტორმი დაატეხეს თავს მასპინძლებს და პირველი საშინაო მარცხიც აგემეს, რითიც ნახევარფინალში გასვლის შანსები ერთობ შეუმცირეს. თამაში, თავისთავად, ველინგტონის იერიშებით დაიწყო, რომლის შემადგენლობაშიც ჯადოსნური ტრიო ირიცხება (ლომუ, კალენი, უმაგა). თუმცა ეს სამკუთხედი კეიპტაუნისთვის ბერმუდისად ვერ იქცა და ამაში უდიდესი წვლილი კორნე კრიხეს მიუძღვის. კრიხემ ლიდერის ბრწყინვალე თვისებები გამოავლინა და ოლიმპიური სიმშვიდით გაუძღვა თავისიანებს გამარჯვებისკენ.

პირველი ტაიმი საკმაოდ მოსაწყენი გამოდგა და გუნდებმა მხოლოდ საჯარიმოების გატანა მოახერხეს, რის შედეგადაც სტუმრები 6:3 დაწინაურდნენ. მეორე ნახევარი კი ბრწყინვალე სანახავი გამოდგა. იგი დაახლოებით 10 წუთის დაწყებული იყო, ჯონა ლომუმ რომ ჩაიგდო ბურთი ხელში და მეტოქის ლელოსკენ გაკურცხლა. გზად მან პაულსე და მონტგომერი ჩამოიშორა და მატჩის პირველი ლელოს ავტორიც გახდა, რომელიც დერილ ლილიმ გარდასახა. ალან სოლომონის შეგირდებს ყურები არ ჩამოუყრიათ და მალე ბობი სკინსტედის ლელოთი და ბრაამ ვან სტრაატენის გარდასახვით ისევ წინ გავიდნენ.

თუმცა წუთში კრისტიან კალენმა გაიბრწყინა. ველინგტონის მცველმა ბურთი ვან სტრაატენის უშნო დარტყმის შემდეგ დაიჭირა, რობი ფლეკს და კიდევ რამდენიმე მეტოქეს დაუსხლტა და ლილის სალელოვე პასი ხონჩით მიართვა — 15:13. მატჩის ბოლო წუთების შტუ(ო)რმს კი ველინგტონმა ვერ გაუძლო და თეთრი ბაირაღიც გამოკიდა. ჯერ ბრეიტონ პაულსემ სპრინტერის სიჩქარით გაირბინა მთელი მოედანი, მერე კი კემპსონმაც ივარგა და ვან სტრაატენმაც ორივე ლელო გარდასახა.

წინა ტურში დურბანში ბეწვზე წაგებებმა კანბერამ იოჰანესბურგში ასევე ბეწვზე მოიგო როდ კაფერის არეკნის წყალობით. ავსტრალიელთა მთავარი მწვრთნელი ედი ჯონსი აფრიკული ტურნეთი კმაყოფილი უნდა იყოს, რადგან ორ მატჩში ხუთი ქულის მოპოვება შეძლო. არადა, „კატებს" ცოტა მეტი იღბალი რომ ჰქონოდათ, ნამდვილად შეეძლოთ გამარჯვება. მეორე ტაიმში მათ რამდენჯერმე სანტიმეტრებიღა დააკლდათ მოწინააღმდეგის ლელომდე. მასპინძელთა 20-წუთიანმა დომინირებამ მხოლოდ ლუის კოენის ერთი საჯარიმო მოიტანა. ლელოს გაუტანლობით გამწარებულმა კოენმა ერთხელ არეკნის შეგდებაც სცადა, მაგრამ ხელი მოეცარა.

შესვენებამდე უპირატესობას მთლიანად აფრიკელები ფლობდნენ და რასი ერასმუსმა ლელოც გაიტანა. ავსტრალიელებს ქულების მოპოვების რეალური შანსი ერთადერთხელ მიეცათ და ისიც გამოიყენეს — სტირლინგ მორტლოკმა ლამის აუტის ხაზიდან შეძლო ბურთის ძელებს შორის გატარება. მეორე ორმოცწუთეულში ჯერ კოენმა გაიტანა საჯარიმო, მერე მორტლოკმა ორი, ანდრე ფოსმა ლელო მიითვალა, რასაც ჯო როფმა ულამაზესი ლელოთი უპასუხა და ანგარიში 17:16 გახდა მასპინძელთა სასარგებლოდ. ბოლოს კი როდ კაფერმა აუღელვებლად შეასრულა არეკნი და 17:19.

კანბერისთვის ქულით მჯობნმა დურბანმა ამდენივეთი მოუგო დანიდინსაც და სიდნეისთან ერთად ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდია. არადა, სამხრეთაფრიკელები ერთხანს, 16:29 ჩამორჩებოდნენ მეტოქეს, რომლის რიგებშიც დამრტყმელი ტონი ბრაუნი გამოირჩა. მან 7-დან 7 ცდა გამოიყენა და თავის გუნდს 19 ქულა შესძინა.

სან ანტონიო: დანკანი (28 ქულა, 11 მოხსნა), რობინსონი (14 ქულა, 12 მოხსნა)

კლიპერსი: მაკინისი (20)

**გოლდენ სტეიტი 79:84 დენვერი**

გოლდენ სტეიტი: ბლეილოკი (20), ჯემისონი (15)

დენვერი: ვან ექსელი (17), ლაფრენცი (16 ქულა, 16 მოხსნა)

„შარლოტ ჰორნეთსმა“ თუ ასე გააგრძელა, მალე დაამხობს ცენტრალურ დივიზიონში „მილუოკი ბაქსის“ მეფობას. „კრაზანები“ შესანიშნავ ფორმაში არიან, შაბათს შინ თავად „მილუოკი“ დაკბინეს, ორშაბათს მას დივიზიონის გამოკვეთილი აუტსაიდერი „ჩიკაგოც“ მიაყოლეს და ახლა ლიდერს ერთი მოგებითღა ჩამორჩებიან. რეგულარული სეზონის დამთავრებამდე კი კიდევ ხუთი კვირა რჩება, რაც საკმარისი დროა ცხრილში მნიშვნელოვანი ცვლილებების მოსახდენად.

ისე კი, რა ცვლილებებიც არ უნდა მოხდეს ცენტრალური დივიზიონის ცხრილში, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, „ჩიკაგოს“ არაფერი შეეხება. „ბულზი“ აგერ მესამე წელია, მყარად დაფუძნებულა ცხრილის ფსკერზე და მანამდე პირველადგილოსანი ახლა ბოლოდან პირველ ადგილს არასდიდებით არ თმობს.

ამ ორშაბათს „ხარებმა“ თავიანთ სამარცხვინო მონაგარს მორიგი მარცხი წაუმატეს, თუმც ზედმეტი არც იმის თქმა იქნება, რომ საკუთარი ღირსება (თუკი შერჩენიათ ასეთი რამ) არ დაუკარგავთ, ისე წააგეს. „შარლოტთან“ შეხვედრის დასაწყისი კი მათ სრულ განადგურებას მოასწავებდა. მასპინძელთა ლიდერმა ჯამალ მაშბურნმა პირველივე წუთებიდან მიჰყო ხელი სტუმართა კალათის მოოხრებას და საწყისი მეოთხედი რომ დასრულდა, „შარლოტი“ 35:20 იგებდა, მაშბურნს კი აქტივში 10 ქულა, 5 პასი და 3 მოხსნა ჰქონდა. „კრაზანები“ მეორე მეოთხედშიც აგრესიულად ესხმოდნენ თავს „ხარებს“, თუმც არც ესენი იყვნენ ჯაბანნი და გამოფხიზლებულმა „ბულზმა“ მეორე თორმეტწუთეულში სხვაობა ხუთ ქულამდე დაიყვანა. მესამე მეოთხედიც მასპინძელთა შტურმით დაიწყო და „კრაზანები“ მანამ არ დაცხრნენ, სანამ უპირატესობა 23 ქულამდე არ გაზარდეს. „ჩიკაგო“ მაინც არ თმობდა, „ხარები“ საკუთარი ტყავიდან ძვრებოდნენ, მაგრამ შვიდ ქულაზე ახლოს ველარ მიუახლოვდნენ მეტოქეს. „შარლოტმა“ ზედიზედ მესამედ, ბოლო 14 მატჩიდან კი მეთორმეტედ მოიგო. მაშბურნმა კი კარიერაში სარეკორდო 14 პასით დაამთავრა შეხვედრა და სამმაგ დუბლამდე ორი მოხსნა დააკლდა.

„შარლოტისგან“ განსხვავებით, არცთუ კარგ დღეშია „მაიამი ჰითი“. თითქოს, ალონზო მურნინგის ავადმყოფობა არ ეყოფოდათ, ფლორიდელებს ერთი კვირის წინ პირველი მექულე ედი ჯონსი გამოაკლო ტრავმამ, ამ ორი დღის წინ კი ოლსტარდაჭაშნიკებული თავდამსხმელი, „პირუტყვად“ წოდებული ენტონი მეისონი და დუეინ ქოზველი მწვრთენლ პატ რაილსეურჩნენ და დაისაჯნენ. რაილი მკაცრი კაცია, ვარჯიშის გაცდენას არავის პატიობს და არც ამათ შერჩათ.

ამგვარად, რაილის „მინესოტასთან“ ორადორი რიგიანი კაცილა შემორჩა — ბრაიან გრანტი და ტიმ ჰარდევეი. მასპინძლებმა ეს უკანასკნელი იოლად ამოკეტეს, ეულად მებრძოლი გრანტი კი კევინ გარნეტსა და მის რაზმთან ვერას გახდა. „მაიამიმ“ „მოახერხა“ და პირველი ტაიმი მხოლოდ ათი ქულით წააგო, იმ იმედით, რომ დარჩენილ დროში დაეწეოდა მეტოქეს, მაგრამ ხელი მოეცარა. ფლორიდელები მესამე მეოთხედის შემდეგ უკვე 17 ქულას აგებდნენ, რაც ფაქტობრივად საბოლოო წაგებას ნიშნავდა.

„ვფიქრობ, დაცვაში ცუდად არ ვირჯებოდით, მაგრამ როცა სროლების ორ მესამედს აცილებ, ვერანაირი დაცვა ვერ გიშველის“ — ამბობდა ნამატჩევს წაგებულთა შორის საუკეთესო ბრაიან გრანტი. გამარჯვებულთაგან საუკეთესო კევინ გარნეტმა კი ზედიზედ მერვე ორმაგი დუბლი შეასრულა, რაც როგორც პირადი, ასევე „მინესოტას“ რეკორდია.

„ლოს ანჯელეს კლიპერსს“ ნარკოტესტებში ჩაფლავებული და დისკვალიფიცირებული ლიდერი ლამარ ოდომი აკლდა, თუმც რომც ჰყოლოდა, ვეჭვობთ, რაიმე დაეკლოთ „სან ანტონიოსათვის“, რომელმაც ზედიზედ მეშვიდე გამარჯვება მიითვალა და დასავლეთის საერთო ცხრილის სათავეში მოექცა.

„დენვერს“ დაუბრუნდნენ ლიდერები — ნიკ ვან ექსელი და ანტონიო მაკდაიესი (12 ქულა), მაგრამ ნაავადმყოფარმა დუეტმა მაინდამაინც ვერ გამოიჩინა თავი. ვან ექსელმა 20 სროლიდან ექვსი ჩააგდო. მაკდაიესმა — 19-დან ხუთი. თუმც „დენვერმა“ მაინც იმარჯვა „გოლდენ სტეიტის“ ლიდერის, ანტაუნ ჯემისონის ხელმრუდობის წყალობით. ლიგის ბომბარდირთა ათეულის წევრმა ვან ექსელსაც „აჯობა“ და მაკდაიესსაც, 23 სროლიდან 18 ააცილა და თავისი გუნდი ზედიზედ მეშვიდე წაგებისთვის გაწირა.

**ირაკლი ფირცხვილი**



REUTERS

მინესოტა — მაიამი. რაჯო დევისი მინესოტელებს, ლაფონსო ელისს (№3) და ვალი შჩერბიაკს გაუძვრა

## თურქეთი

XX ტური

ანტბირლიკი — ეფესი 74:109, ბეშიქთაში — ქომბასანი 79:69, ბუიუქ კოლეჯი — დარუშაფაკა 72:67, ქარშიაკა — ტროი 69:85, მაიდენოსი — ტელეკომი 83:90, გალათასარაი — ფენერბაჰჩე 75:86

**ულქერი 100:77 ალთაი**

ულქერი: ლოლისი (15), ჰენდლოგტენი (13), ფაჩულია (20 წუთი, 5 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი, 2 ჩაჭრა, 2 დაფარება), გოლიოვიჩი (18), ერდენაი (22), გიულერი, ილდირიმი (10), სარიჯა (17)

ალთაი: დემირი (1), დემირჯი (3), გენჩი (6), აქაინი, ქარაქოჩი (12), ბოშნიაკი (21), ქარამანი (13), ულუბეი (14)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ულქერი | 20 | 17 | 3 | 1783:1504 | 37 |
| დარუშაფაკა | 20 | 16 | 4 | 1603:1453 | 36 |
| ეფესი | 20 | 16 | 4 | 1741:1525 | 36 |
| ტელეკომი | 20 | 15 | 5 | 1699:1548 | 35 |
| ფენერბაჰჩე | 20 | 13 | 7 | 1657:1544 | 33 |
| ბეშიქთაში | 20 | 12 | 8 | 1680:1596 | 32 |
| ტროი | 20 | 11 | 9 | 1705:1664 | 31 |
| ქარშიაქა | 2C | 9 | 11 | 1732:1739 | 29 |
| ქომბასანი | 20 | 8 | 12 | 1631:1778 | 28 |
| გალათასარაი | 20 | 6 | 14 | 1476:1570 | 26 |
| ბუიუქ კოლეჯი | 20 | 6 | 14 | 1428:1695 | 26 |
| მაიდენოსი | 20 | 6 | 14 | 1513:1587 | 26 |
| ანტბირლიკი | 20 | 3 | 17 | 1556:1934 | 23 |
| ალთაი | 20 | 2 | 18 | 1516:1789 | 22 |


# იყიდება

☎ (231) 7 17 58

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.



# ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიკოსთან"


## ესპანეთი

XXIV ტური

ბარსელონა — ესტუდიანტესი 76:90, ორენსე — ბრეოგანი 80:99, კასერესი — კოსტაბლანკა 75:89, ხუვენტუდი — პამესა 84:81, ხიხონი — ტაუ 60:81, კახა სან ფერნანდო — კანარიასი 74:71, რეალი — ფუენლაბრადა 81:58, კანტაბრია — უნიკახა 84:88, ფორუმი — ხირონა გადაიდო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 24 | 21 | 3 | 2135:1830 | 45 |
| უნიკახა | 24 | 19 | 5 | 2060:1839 | 43 |
| რეალი | 24 | 19 | 5 | 1920:1741 | 43 |
| ტაუ | 24 | 18 | 6 | 2055:1781 | 42 |
| პამესა | 24 | 17 | 7 | 1977:1842 | 41 |
| ფუენლაბრადა | 24 | 14 | 10 | 1961:1890 | 38 |
| ესტუდიანტესი | 24 | 14 | 10 | 1952:1918 | 38 |
| ფორუმი | 23 | 12 | 11 | 1884:1861 | 35 |
| სან ფერნანდო | 24 | 11 | 13 | 1846:1865 | 35 |
| კასერესი | 24 | 10 | 14 | 1808:1888 | 34 |
| ხირონა | 23 | 10 | 13 | 1810:1831 | 33 |
| ბრეოგანი | 24 | 9 | 15 | 1904:1962 | 33 |
| კანარიასი | 24 | 9 | 15 | 1843:1999 | 33 |
| ხუვენტუდი | 24 | 8 | 16 | 1884:1965 | 32 |
| კანტაბრია | 24 | 8 | 16 | 1758:2001 | 32 |
| კოსტაბლანკა | 24 | 6 | 18 | 1797:2034 | 30 |
| ორენსე | 24 | 6 | 18 | 1802:1980 | 30 |
| ხიხონი | 24 | 5 | 19 | 1810:1979 | 29 |

## სლოვენია

I-VI ადგილები. XXIII ტური

როგლა — ოლიმპია 76:122, პივოვარნა — კრაშკი ზიდარი 76:73

**კრკა 95:86 სლოვანი**

კრკა: კორტნი (26), ანზულოვიჩი (17), დრობნიაკი (17), დონჩიჩი (9), პეტროვი (9), არაპოვიჩი (8), გრუმი (5), დევისონი (2), იევტოვიჩი (2)

სლოვანი: ნოვაკი (12), ლაკოვიჩი (18), ტაკელი (7), უმრეხელიძე (27 წუთი, 4 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი), ჯურკოვიჩი (11), კოვაჩი, ბოისა (12 წუთი, 5 ქულა, 5 მოხსნა), მარავიჩი (14), კოკალი, ცძიტიშვილი (24 წუთი, 15 ქულა, 5 მოხსნა)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპია | 23 | 22 | 1 | 2225:1516 | 45 |
| კრკა | 23 | 22 | 1 | 2039:1708 | 45 |
| პივოვარნა | 23 | 16 | 7 | 2036:1920 | 39 |
| სლოვანი | 23 | 13 | 10 | 1906:1841 | 36 |
| როგლა | 23 | 11 | 12 | 1916:2018 | 34 |
| კრაშკი ზიდარი | 23 | 11 | 12 | 1731:1868 | 34 |

## იტალია

XXVI ტური

ბენეტონი — სიენა 72:64, ვარეზე — კინდერი 108:107, ფორტიტუდო — ადეკო 80:56, ტრიესტი — მონტეკატინი 86:80, კორდივარი — სკავოლინი 79:67, კანტუ — აეროპორტი 84:92, რიმინი — იმოლა 87:91, მიულერი — აველინო 79:88, რეჯანა — სნაიდერო 94:81

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კინდერი | 26 | 23 | 3 | 2314:1939 | 49 |
| ფორტიტუდო | 26 | 18 | 8 | 2085:1875 | 44 |
| სკავოლინი | 26 | 17 | 9 | 2254:2102 | 43 |
| ბენეტონი | 26 | 17 | 9 | 2185:2063 | 43 |
| აეროპორტი | 26 | 17 | 9 | 2146:2081 | 43 |
| სიენა | 26 | 14 | 12 | 2077:2032 | 40 |
| კორდივარი | 26 | 14 | 12 | 2109:2090 | 40 |
| მიულერი | 26 | 13 | 13 | 2378:2409 | 39 |
| სნაიდერო | 26 | 12 | 14 | 2152:2167 | 38 |
| აველინო | 26 | 11 | 15 | 2150:2203 | 37 |
| ადეკო | 26 | 11 | 15 | 2193:2343 | 37 |
| რეჯანა | 26 | 10 | 16 | 2211:2260 | 36 |
| რიმინი | 26 | 10 | 16 | 2252:2340 | 36 |
| ტრიესტი | 26 | 10 | 16 | 2036:2130 | 36 |
| მონტეკატინი | 26 | 10 | 16 | 2163:2278 | 36 |
| კანტუ | 26 | 9 | 17 | 2082:2183 | 35 |
| ვარეზე | 26 | 9 | 17 | 2319:2449 | 35 |
| იმოლა | 26 | 9 | 17 | 2238:2400 | 35 |

## საბერძნეთი

XVIII ტური

მარუსი — არისი 94:71, მაკედონიკოსი — ირაკლიონი 83:86, ნიარ ისტი — პერისტერი 72:82, აეკ — მილონი 95:74, პაოკ — პანიონიოსი 84:78, ირაკლისი — ოლიმპიაკოსი 77:75, დაფნი — პანათინაიკოსი 62:85

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პერისტერი | 18 | 17 | 1 | 1454:1281 | 35 |
| ოლიმპიაკოსი | 18 | 16 | 2 | 1489:1290 | 34 |
| პანათინაიკოსი | 18 | 15 | 3 | 1511:1291 | 33 |
| აეკ | 18 | 14 | 4 | 1511:1335 | 32 |
| ირაკლისი | 18 | 12 | 6 | 1516:1481 | 30 |
| პანიონიოსი | 18 | 10 | 8 | 1534:1414 | 28 |
| პაოკ | 18 | 9 | 9 | 1338:1383 | 27 |
| მარუსი | 18 | 8 | 10 | 1560:1533 | 26 |
| ირაკლიონი | 18 | 6 | 12 | 1480:1579 | 24 |
| ნიარ ისტი | 18 | 5 | 13 | 1417:1514 | 23 |
| დაფნი | 18 | 5 | 13 | 1415:1501 | 23 |
| არისი | 18 | 5 | 13 | 1379:1525 | 23 |
| მილონი | 18 | 3 | 15 | 1439:1673 | 21 |
| მაკედონიკოსი | 18 | 1 | 17 | 1360:1603 | 19 |

# შედეგები

## ციგურაობა

მსოფლიოს ჩემპიონატი ცალკეულ დისტანციებში

სოლტ ლეიკ სიტი (აშშ)

### ვაჟები

500 მ (ორი გარბენის ჯამში): 1. ჰიროიაში შიმიზუ (იაპონია) 68,96; 2. ჯერემი უოზერსპუნი (კანადა) 69,29; 3. კეისი ფიცრენდოლფი (აშშ) 69,76

1000 მ: 1. ჯერემი უოზერსპუნი (კანადა) 1:08,28 (მსოფლიოს რეკორდი); 2. ოდნე სონდრალი (ნორვეგია) 1:08,50; 3. სერგეი კლევჩენია (რუსეთი) 1:08,59

1500 მ: 1. დერეკ პარა (აშშ) 1:46,20; 2. ერდენ ვენემარსი (ჰოლანდია) 1:46,22; 3. ალექსანდრ კიბალკო (რუსეთი) 1:46,42

5000 მ: 1. ბობ დე იონგი (ჰოლანდია) 6:19,58; 2. [illegible] ვერჰეიენი (ჰოლანდია) 6:22,4[illegible]; 3. ჯანი რომი (ჰოლანდია) 6:25,00

10000 მ: 1. კარლ ვერჰეიენი (ჰოლანდია) 13:12,49; 2. ბობ დე იონგი (ჰოლანდია) 13:13,81; 3. ვადიმ საიუტინი (რუსეთი) 13:17,83

### ქალები

500 მ (ორი გარბენის ჯამში): 1. კატრიონა ლემეი დოუნი (კანადა) 74,72; 2. მონიკ გარბრეხტ-ენფელდტი (გერმანია) 75,20; 3. სვეტლანა ჟუროვა (რუსეთი) 74,24

1000 მ: 1. მონიკ გარბრეხტ ენფელდტი (გერმანია) 1:14,13 (მსოფლიოს რეკორდი); 2. საბინ ფოლკერი (გერმანია) 1:14,14; 3. კატრიონა ლემეი დოუნი (კანადა) 1:14,50

1500 მ: 1. ანი ფრიზინგერი (გერმანია) 1:54,58; 2. მაკი ტაბატა (იაპონია) 1:54,76; 3. სინდი კლასენი (კანადა) 1:55,08

3000 მ: 1. გუნდა ნიმან-შტირნემანი (გერმანია) 4:00,34; 2. ანი ფრიზინგერი (გერმანია) 4:01,98; 3. კლაუდია პეხშტაინი (გერმანია) 4:02,13

5000 მ: 1. გუნდა ნიმან-შტირნემანი (გერმანია) 6:52,44 (მსოფლიოს რეკორდი); 2. კლაუდია პეხშტაინი (გერმანია) 6:58,11; 3. მაკი ტაბატა (იაპონია) 7:05,49

## ძიუდო

პრაღის (ჩეხეთი) გრან პრი

### ვაჟები

60 კგ: 1. როლანდ შტეგმიულერი (გერმანია); 2. ოსკარ პენიასი (ესპანეთი); 3. არტურ კლიში (პოლონეთი) და ტაცუაკი ეგუსა (იაპონია)

66 კგ: 1. მუსა ნასტუევი (უკრაინა); 2. რენატ მირზალიევი (უკრაინა); 3. ხავიერ დელგადო (ესპანეთი) და ჰენდრიკ შუმახერი (გერმანია)

73 კგ: 1. დანიელ ფერნანდესი (საფრანგეთი); 2. კრისტოფ მასინა (საფრანგეთი); 3. ორლანდო ფუენტესი (აშშ) და გენადი ბილოდიდი (უკრაინა)

81 კგ: 1. ალექსეი ბუდოლინი (ესტონეთი); 2. მაარტენ არენსი (ჰოლანდია); 3. სერგეი აშვანდენი (შვეიცარია) და დომინიკ ჰიშიე (შვეიცარია)

90 კგ: 1. ვალენტინ გრეკოვი (უკრაინა); 2. დმიტრი ბუდოლინი (ესტონეთი); 3. დავიდ ალარსა (ესპანეთი) და ტადაიოში ტაკეშიტა (იაპონია)

100 კგ: 1. არიელ ზეევი (ისრაელი); 2. ზოლტან პალკოვაჩი (სლოვაკეთი); 3. მიხაელ იურაკი (გერმანია) და ელკო ვან დერ გეესტი (ჰოლანდია)

მძიმე წონა: 1. ფრანკ მიოლერი (გერმანია); 2. აიტამი რუანო (ესპანეთი); 3. იანუშ ვოინაროვიჩი (პოლონეთი) და ჰაჯიმურად მუსლიმოვი (რუსეთი)

### ქალები

48 კგ: 1. ტომოკო ოდა (იაპონია); 2. ხანესა არენასი (ესპანეთი); 3. იულია მატიასი (გერმანია) და სევერინ პეში (გერმანია)

52 კგ: 1. კაზუე ნაგაი (იაპონია); 2. ანა კარასკოსა (ესპანეთი); 3. მარინ რიშარი (საფრანგეთი) და იოლანტა ვოინაროვიჩი (პოლონეთი)

57 კგ: 1. დებორა გრავენსტაინი (ჰოლანდია); 2. ივონ ბონიში (გერმანია); 3. აიაკო ოკაზაკი (იაპონია) და მიხაელა სუკალოვა (ჩეხეთი)

63 კგ: 1. სარა ალვარესი (ესპანეთი); 2. იუკო უედა (იაპონია); 3. რადკა სტუშაკოვა (ჩეხეთი) და ელიზაბეტ ვილებოორდსე (ჰოლანდია)

70 კგ: 1. ანეტ ბომი (გერმანია); 2. ჩისა ნაკაზავა (იაპონია); 3. საგატ აბიკეევა (ყაზახეთი) და ამანდა კოსტელო (დიდი ბრიტანეთი)

78 კგ: 1. კატარინა როდრიგესი (პორტუგალია); 2. ანასტასია მატროსოვა (უკრაინა); 3. ენარ პარა (ესპანეთი) და იენი კარლი (გერმანია)

მძიმე წონა: 1. სანდრა კიოპენი (გერმანია); 2. მარა კოვაჩევიჩი (იუგოსლავია); 3. სიმო კალენდერი (დიდი ბრიტანეთი) და სუსანა სომოლინოსი (ესპანეთი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# შაქარმა შეინმა შენანი შეარცხვინა

## მოსლი ველტერის მეფედ რჩება

**საპრესკონფერენციო** დარბაზში დაქანცული შენან ტეილორი შევიდა. მარცხენა თვალი მცირედ დალილავებული ჰქონდა.

„შეინის დარი, ერთმანეთს გრამებით მიყოლებულ წონებში, დღეს დედამიწის ზურგზე არავინ მეგულება" — თქვა ტეილორმა მოსლიზე, რომელმაც იგი პრეს-კონფერენციამდე ერთი ხნით ადრე ხუთ რაუნდში, ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა და WBC-ს პირველი ქვესაშუალო წონის ქამარი შეინარჩუნა.

დამარცხებულს ეტყობოდა, რომ საშინლად გულდაწყვეტილი იყო, მაგრამ მაინც ამაყობდა, ძლიერ მეტოქეს ყინჩად რომ დაუხვდა. მისმა მწვრთნელმა, ჯეფ ფენეჩმა კი საქვეყნოდ აღიარა, მეხუთე რაუნდის შემდეგ შეგირდს კაპიტულაციამ ვაიძულეო:

„ეს ბიჭი ცოცხალი მჭირდება. მინდა კიდევ იბრძოლოს და ამიტომაც შევაწყვეტინე ჩხუბი. ეს ჩემი გადაწყვეტილება იყო, პატარა ბავშვის კი არა" — თქვა მან.

შეინ მოსლიმ კი დარბაზში მილიონ დოლარიანი ღიმილით შეანათა. მეტსახელად „შაქარმა" ერთხელაც დაამტკიცა, რომ ქვეყნად ბადალი არ ჰყავს.

„დიახ, დიახ, აი, ესაა ის მარჯვენა, შენან ტეილორს რომ მივცხე. არ ელოდა. ისე მივცხე, რომ მივაძინე. ძალიან სწრაფად და ღონივრად შევასრულე ილეთი. ისე სწრაფად, რომ მოქნეული ვერც კი დაინახა" — ატრაბახდა ჩემპიონი.

ხოლო, მამამისმა და იმავდროულად მწვრთნელმა, ჯეკ მოსლიმ სიამაყით განაცხადა, რომ შეინმა ერთხელაც აჩვენა მსოფლიოს თავისი განუმეორებელი სტილი:

„შეინის სტიქია მძლავრი კრივია. ის ურტყამს სხეულში, უმიზნებს თავში... ცხადია, მისი ღონე შენანმა საკუთარ ტყავზე მთელი სიგრძე-სიგანით იწვნია".

მართლაც, ტეილორმა მეტოქის ძალა კარგად იცოდა, მაგრამ ასეთს ნამდვილად არ ელოდა. მოსლი ეგრეთწოდებული ველთერის წონის დიდ მოკრივედ ჩამოყალიბდა და აკი აგემა კიდეც ნოკაუტი (თუნდაც ტექნიკური) კაცს, რომელიც ბოგირებს ცხოვრებაში არ მინარცხებია.

„მთელი გულით ვიჩხუბე, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ერთდროულად ორ ადამიანს ვებრძოდი. რა ვთქვა? ერთადერთი, რაც ახლა ვიცი, ისაა, რომ დედამიწაზე უძლიერესმა კაცმა მაჯობა" — ხელები გაშალა ტეილორმა.

პრომოუტერმა სედრიკ კუშნერმა ტეილორს მაინც შეუქო შემართება და დასძინა, შეინ მოსლი ამ ბრძოლის მერე უკვე ისტორიაშია შესულიო:

„მომავალში აქ, ლას ვეგასის „სიზორზ პალასში", პრეს-კონფერენციები რომ გაიმართება და წარსულის უდიდეს მოკრივეებს მოიგონებენ, მათ, რომელთაც ოდესღაც ამ რინგზე უჩხუბიათ, აუცილებლად დაასახელებენ „შაქარს", შეინ მოსლის".

შემდეგ, მოსლიმ ფელიქს ტრინიდადს მოუწოდა, შენთან ბრძოლა მწადია და გამოდიო, მაგრამ დასძინა: „თუ ტრინიდადს არ სცალია, არა უშავს. ჩემი ქამარი უამრავ ადამიანს სწადია და უსაქმოდ არავინ დამტოვებს".

**ტუტა სიხარულიძე**



შეინ მოსლი შენან ტეილორის ცემის შემდეგ

ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

12 მარტი

**რეინჯერსი 3:3 პიტსბურგი**

**(1:0 1:0 1:3 0:0)**

**1:0 ნედვედი 5 (18), 2:0 კამენსკი 37 (13), 2:1 ლემიე 45 (27), 2:2 იაგრი 55 (42), 2:3 ლანგი 57 (29), 3:3 ლიჩი 59 (18)**

**სან ხოსე 3:0 მონრეალი**

**(2:0 0:0 1:0)**

**1:0 ნოლანი 13 (21), 2:0 მარლო 2:0 (23), 3:0 მატო 60 (12)**

# დედლაინი: ლინდროსის ბოლო იმედი

წლევანდელი სეზონი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ უკვე შეიძლება, იგი წარმატებულად ჩაითვალოს. მოგეხსენებათ, ლიგაში ეს რამდენიმე კრიტერიუმით განისაზღვრება და უმთავრესი ბომბარდირთა მიერ 100-ქულიანი ზღვრის დაძლევა გახლავთ. ადრე ეს პრობლემა როდი იყო, დიდ გრეცკის 200 ქულაც კი მოუგროვებია, დღემდე ჯან-ლონით სავსე ლემიესაც სულ ერთი ნაბიჯი აკლია ამ ნიშნულამდე — 199 ქულა მისი პერსონალური რეკორდია. ბოლო ხანს კი ბომბარდირებს გაცილებით გაუჭირდათ და როცა შარშან მცირე ტრავმის გამო ვერც იარომირ იაგრმა აჩვენა შესაბამისი შედეგი, ბევრმა ეს ტრაგედიად აღიქვა. მაგრამ წლეულს საქმე სხვაგვარადაა, ჩემპიონატის დასრულებამდეც ხომ ჯერ კიდევ მთელი თვეა. პირველმა 100-ქულიან ზღვარს ისევ და ისევ იაგრმა უწია, თანაც ეს ჩინებულად მოახერხა. ამ უქმეებზე კალგარისთან შეხვედრაში პიტსბურგელმა ჰეთ თრიქი შეასრულა, ამას 2 პასიც დაამატა და სწორედ ბოლო, ცარიელ კარში გატანილი გოლის წყალობით მიაღწია მიზანს. ისე, თავის მიღწევას იგი ჯო საკიკთან კონკურენციას უნდა უმადლოდეს. კოლორადოელმა სეზონი ისე დაიწყო, რომ ერთი ხანობა შეფერხებულ იაგრს 20 ქულითაც კი გაუსწრო, რამაც ჩეხს დამატებითი სტიმული მისცა. უნდა ითქვას, რომ 100 ქულამდე საკიკსაც სამიღა აკლია.

იაგრი ამით როდი დაკმაყოფილდა. რეინჯერსთან ორშაიბიანი ჩამორჩენა სწორედ მან და ლემიემ დაფარეს. თანაც მარიო, რომელმაც კალგარის ულამაზესი გოლი გაუტანა, ამჯერად უმცირესობაში გამოირჩა. შემდეგ უკვე პიტსბურგი დაწინაურდა, მაგრამ რეინჯერსმა მაინც შეძლო ქულის მოპოვება ბრაიან ლიჩის გოლის წყალობით.

სან ხოსემ კი 7-მატჩიანი უილბლო სერია შეწყვიტა. ტრავმებით გაწამებულმა მონრეალმა მეტოქეს ვერაფერი დაუპირისპირა. შეხვედრის მსვლელობისას კანადელებს კიდევ ერთი ლიდერი, მარტინ რუჩინსკი გამოაკლდათ, რომელიც თავისი უხეშობით ცნობილმა ბრაიან მარჩენტმა გამოთიშა თამაშიდან.

ახლა ისევ წლევანდელ სეზონზე ვთქვათ. მეორე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი მისი შედეგიანობის და წარმატების განსაზღვრისა 50 გოლის გატანა გახლავთ. შარშან ეს მხოლოდ ფლორიდელმა პაველ ბურემ მოახერხა და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ იგი წლეულსაც გაიმეორებს ამ მიღწევას. გუნდისგან განსხვავებით, რუსი ჰოკეისტი ღირსეულად გამოიყურება და ამ უქმეებზე უკვე 48 შაიბამდე გაზარდა თავისი მონაგარი. მართალია, კოლუმბუსთან (6:7) უხვგოლიან თამაშში ბურე ჩრდილში იყო, სამაგიეროდ, კვირას თავი გამოიჩინა და აილენდერსთან (4:1) სეზონში მესამე ჰეთ თრიქი და პასი მიითვალა. აღსანიშნავია, რომ მის გარდა წლეულს სამსამჯერ აჩვენეს ასეთი შედეგი იაგრმა, ალექსეი კოვალიოვმა და ვაშინგტონელმა პეტერ ბონდრამ. ეს უკანასკნელიც ამ უქმეებზე გამოირჩა რეინჯერსთან.

სნაიპერთა ცხრილი დღესდღეობით ასე გამოიყურება: ბურე — 48 გოლი, იაგრი — 42, ბონდრა — 41, საკიკი, მარკუს ნესლუნდი და კოვალიოვი — 40. ეს იმედს გვაძლევს, რომ 50-იან ნიშნულს ბურეს გარდა სხვებიც შესწვდებიან.

უქმეების მატჩებისგან კი გამოსარჩევია ფლორიდა — კოლუმბუსი, სადაც ბურეს ფუნქცია კოლუმბუსის მცველმა დერონ ქუინტმა შეასრულა. თავისი ამპლუის მოთამაშეთა შორის მან მეორემ გააკეთა ჰეთ თრიქი ამ სეზონში, გადამწყვეტი შაიბა კი მისმა პარტნიორმა რობერტ კრონმა ოვერტაიმში უმცირესობაში შეაგდო. ჯონ მედენი მეხუთე ნიუჯერსელი შეიქნა, რომელმაც წლეულს 20 გოლი გაიტანა, ხოლო ტამპელმა ბრედ რიჩარდსმა ახალბედათა შორის პირველმა მოაგროვა 50 ქულა.

მკითხველი, ალბათ, დაპირებულ ტრეიდებს ელოდა — გუშინ ხომ ლიგაში დედლაინის დღე იყო. ჩვენი დროით ეს დღევანდელი დილა იქნება, ამიტომ ბოლო სიახლეები ჩვენთვის ჯერ უცნობია. ისე, გუნდების ასეთი პასიურობა მართლაც გასაკვირია. ამ უქმეებზე მხოლოდ ნიუ ჯერსიმ იაქტიურა, რომელმაც თავის საჩემპიონო შემადგენლობას აილენდერსის 36 წლის ცნობილი მეკარე ჯონ ვანბისბრუკი შემატა. „ბიზერი" წლების განმავლობაში ფილადელფიის ღირსებას იცავდა, ახლა კი, როგორც ჩანს, მარტინ ბროდოს შემცვლელი იქნება. სან ხოსემ და პიტსბურგმა კი მცველები გაცვალეს და ჯეფ ნორტონი აგერ უკვე მესამედ აღმოჩნდა „ზვიგენთა" რიგებში, ხოლო ბობი დოლასი მეორედ გახდა „პინგვინი".

თუმცა, მიმომხილველთა აზრით, ბოლო საათებში შესაძლო რამდენიმე მნიშვნელოვანი და სენსაციური გაცვლა მოხდეს. უპირველეს ყოვლისა, ეს ერიკ ლინდროსს ეხება. ტორონტოსგან დაწუნებულმა ჰოკეისტმა მხოლოდ სენტ ლუისი დააინტერესა და დღესდღეობით ამ კლუბში სამედიცინო გამოკვლევას გადის, რაც ბევრ რამეზე მეტყველებს. ლინდროსის დარად მთელი სეზონის განმავლობაში გაფიცული მაიკ პეკაც არ კარგავს იმედს, რომ წლეულს მაინც გავა ყინულზე. ბუფალოელს სამმა კლუბმა, მათ შორის რეინჯერსმაც, დაადგა თვალი. მეტწილად სწორედ ამ ორ მოთამაშეზე ჭორაობენ, თუმცა ფინიქსელთა ლიდერებს — კეიტ ტკაჩუკსა და ჯერემი რენიკსაც ხშირად ახსენებენ. მავანნი კი ირწმუნებიან, პიტსბურგი ნეშვილის მეკარის, მაიკ დანემის ყიდვას აპირებსო. ვნახოთ, რა გადაწყდება ბოლო დღეს. მოგეხსენებათ, შარშანაც დედლაინის დღეს მოხდა ძირითადი მოვლენები — 12 ტრეიდი განხორციელდა და 23 ჰოკეისტი გაიცვალა. რეკორდი კი ორი წლის წინ დამყარდა: 20 გაცვლა, 38 მოთამაშე.

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS

რეინჯერსი — პიტსბურგი. რობერტ ლანგის დარტყმული ვერც რეინჯერსის მეკარე გი ებერმა მოიგერია და ვერც კიმ იონსონმა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბაჩო კორინთელის ფოტო

# ბაზა შენდება

მს ორლობე არ გეგონოთ, ანდა ყვირილას პირად ბიჭების თამაშობა. ეს გახლავთ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონ თბილისის „დინამოს" საწვრთნელი ბაზა დიღომში. რა არის, რომ კლუბის ახალმა უფროსობამ საყოველთაო რემონტი წამოიწყო და გასახდელებიც კი სულ ახალი უნდა აშენდეს. ჰოდა, სპორტული ჩანთებიც ამიტომ გამოუდვიათ მზის გულზე მოვარჯიშე დინამოელებს. გაზაფხული მოსულა, კარგ ამინდში ვარჯიშიც საამოა და ჩანთასაც არა უშავს — არ დასველდება.



AP ბუენოს აირესიდან

# დიეგო ესალმება

ბოკას „ბომბონიერას" ლოჟაში, რა თქმა უნდა, დიეგო არმანდო მარადონა ცეკვავს. კლაუსურას მორიგ მატჩში „ბოკა ხუნიორსი" პატარა „ბელგრანოს" ხვდება. წლევანდელი აპერტურას მომგები „ბოკა" სეზონის მეორე ჩემპიონატშიაც კარგად ირჯება, მარადონა კი ალბათ ამბობს, თქვენ შემოგევლოთ ჩემი მთვრალი სიცოცხლეო.

# მსმც ცელი



AP ნიუ იორკიდან

მორიგ ჩრდილოამერიკულ მატჩში პიტსბურგელ მცველ დარიუშ კასპარაიტისს ყვანჯი ცელივით გამოუსვამს ნიუიორკელ იან ჰლავაჩისთვის. წამოქცეული რეინჯერი ძლივს აუკრეფიათ, კასპარაიტისი კი გაუძევებიათ. თამაში კი ფრედ, 3:3 დასრულებულა.



AP ჩიკაგოდან

# სიგიჟე ახლოა

ახლოვდება ამერიკის სტუდენტური კალათბურთის მთავარი ამბავი — „მარტის სიგიჟე" ანუ დიდი ოთხეულის შერკინება. აიოვას უნივერსიტეტის გუნდმა უკვე გადადგა ნაბიჯი დიდი ოთხეულისკენ, რახანლა დიდი ათეულის ჩემპიონატში გაიმარჯვა. გადამწყვეტ თამაშში აიოველებმა ინდიანელებს სძლიეს 63:61. დიდი ათეულის მოგება ენბეურ ენაზე კონფერენციის ჩემპიონობას უდრის. გამარჯვების მთავარი სუვენირი კი, რა თქმა უნდა, კალათის ბადეა, რომელსაც აგრე მონდომებით ჭრის აიოველი როდ ტომპსონი.



REUTERS ბერლინიდან

# ბერლინური ზეიმი

ბერლინში ახალი პროექტის დაფუძნება აღნიშნეს. პროექტს „სპორტი კარგი საქმეებისთვის" ჰქვია და მის პრეზენტაციაზე მსოფლიოს უგამორჩენილესმა სპორტსმენებმა მოიყარეს თავი. პრენცლაუენბერგის უბნის სპორტულ მოედნებზე ბობი ჩარლტონი და ბორის ბეკერი თავბურთს თამაშობდნენ. მეკლდეურთა სალაღობო შეჯიბრში კი ახლო წარსულის ორ უგანთქმულეს მძლეოსანს, ედვინ მოზესსა და დეილი ტომპსონს ბერლინის მერმა ებერჰარდ დეპგენმა დაუმშვენა მხარი.



REUTERS ბერლინიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge